ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავების პერიოდში ჩატარებული შეხვედრების

სხდომათა ოქმები

დირექტორი: მამუკა სალუქვაძე

პროექტის ხელმძღვანელი: ელენა დარჯანია

სითი ინსტიტუტი საქართველო

2019

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 23 ოქტომბერი 10:00 საათი

ალ. ყაზბეგის N12, თბილისი

სამინისტროს ცენტრალური შენობა, სართული II, ოთახი 36

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

სამინისტროს მხრიდან:

გიორგი დიდიძე - რეგიონული და მთის განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

კახა ფოცხიშვილი - სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ზურაბ გუმაშვილი - რეგიონული და მთის განვითარების დეპარტამენტის, რეგიონული განვითარების სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი

იოსებ სალუქვაძე - კონსულტანტი ურბანული განვითარების, სოციალურ-გეოგრაფიული და სტრატეგიული დაგეგმარების საკითხებში

შოთა მურღულია - დარგობრივი ექსპერტი ეკონომიკის მიმართულებით

სოფიო თოდუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალური გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ ოქმი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება სამინისტროს მხრიდან შეხვედრის მონაწილეებს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

სამინისტროს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ გაეცნენ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მიერ შეხვედრამდე გაგზავნილ საპროექტო მასალებს.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. სამინისტროში მიმდინარე ან/და დაგეგმილი პროექტები, რომლებიც უნდა იყოს ასახული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტში, რათა პროექტის დასასრულს არ შეიქმნას ურთიერთსაწინააღმდეგო ვითარება პროექტებთან მიმართებაში.

   სამინისტროს პოზიცია:
   - ერთ-ერთი მსხვილი პროექტი - ავტობანი - დასრულებულია.
   - სამინისტროში მიმდინარეობს და დაგეგმილია პროექტები რამდენიმე რეგიონში ამ რეგიონების განვითარების მიმართულებით - ADB-ს "Livable Cities" (კახეთი და სამეგრელო) და „Pilot Integrated Regional Development Programme" (კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა, რომლების ფარგლებშიც მრავალი პროექტი განხორციელდება), თუმცა, ისინი არ მოიცავენ შიდა ქართლის მხარეს, გორის მუნიციპალიტეტს თუ ქ. გორს. იმ შემთხვევაში, თუ დამატებით პროექტებთან დაკავშირებით გადამოწმდება კოლეგებთან, მიეწოდება საპროექტო ჯგუფს.
   - რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ფარგლებში განხორციელებული პროექტების თაობაზე სრული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მუნიციპალიტეტიდან, რამეთუ მუნიციპალიტეტები თავად მიმართავენ სამინისტროს თავიანთი განაცხადით.
   - ამ ეტაპზე ერთ-ერთი მოქმედი პროგრამა არის „თვინინგის" („დამმობილების") პროგრამა, რომელთანაც საპროექტო ჯგუფს უკვე აქვს შეხება ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

2. სპეციალური დანიშნულების ობიექტების განთავსება საპროექტო ტერიტორიაზე უნდა იყოს დეკონცენტრირებული თუ ქალაქში თავმოყრილი.

   სამინისტროს პოზიცია:
   - ამ ეტაპზე სამინისტროში არ განიხილება სპეციალური ობიექტების განთავსება ქალაქ გორში, თუმცა სხვა უწყებებს აქვთ გარკვეული გეგმები რომელიც უნდა გადამოწმდეს მათთან.

3. სახელმწიფო მიწების გასხვისება პრობლემას წარმოადგენს, რადგან მათი განვითარება ყოველთვის არ პასუხობს მუნიციპალიტეტის საჭიროებებს. საპროექტო ჯგუფმა გამოავლინა ის არეალები, სადაც უნდა დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები პროექტის დასრულებამდე.

   სამინისტროს პოზიცია:

- საპროექტო ჯგუფმა უნდა ითანამშრომლოს სახელმწიფო ქონების მართვაზე პასუხისმგებელ სამსახურთან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში. დასახელდა სავარაუდო საკონტაქტო პირიც.
- სამინისტრო ასევე მაქსიმალურად ითანამშრომლებს საპროექტო ჯგუფთან და აცნობებს სიახლეებს კომპეტენციის ფარგლებში.

4. **კონკურენტუნარიანი მიმართულებები გორის მუნიციპალიტეტის რეგიონის დონეზე** - თუ რა კონკურენტუნარიანი მიმართულებები შეიძლება განვითარდეს სახელმწიფო პოლიტიკის თვალსაზრისით.

სამინისტროს პოზიცია:

- ამ ეტაპზე შიდა ქართლში ამ მიმართულებით მუშაობა არ მიმდინარეობს, თუმცა გამოიკვეთა სოფლის მეურნეობის - ჩირის წარმოება და ტურიზმის მიმართულება. ამჟამად საუბარი მიმდინარეობს მიდგომებზე. მაგრამ კონკრეტული პროექტები ჯერ არ არის ხელმისაწვდომი.
- აღნიშნული საკითხი ადგილობრივი ხელისუფლების მიერაც უნდა იყოს შემოთავაზებული.

5. **განვითარების გეგმების რეალური პროცესის დაწყება გორის მუნიციპალიტეტში**

სამინისტროს პოზიცია:

- საქართველოს რამდენიმე რეგიონში განახლდა განვითარების გეგმები. შემუშავებულია 2014-2021 წლების შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია, რომელიც ზოგადი ტიპის დოკუმენტია (რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს მათ შორის ქ. გორსაც ეხება) და მასში არ არის საუბარი კონკრეტულ პროექტებზე/აქტივობებზე.

ზოგადი რეკომენდაციები სამინისტროს მხრიდან:

- ამოქმედდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, რომლის მიხედვითაც, ისეთი სტრატეგიული დოკუმენტი როგორიც მიწათსარგებლობის გენერალური გეგმაა, ექვემდებარება სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას (სგშ). საპროექტო ჯგუფმა და დამკვეთმა (გორის მუნიციპალიტეტმა) უნდა გაითვალისწინონ და გაიარონ აღნიშნული კანონით მოთხოვნილი პროცედურები.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერებით ადასტურებენ შეხვედრის მონაწილეები:

გიორგი დიდიძე
რეგიონული და მთის განვითარების
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ზურაბ გუმაშვილი
რეგიონული და მთის განვითარების დეპარტამენტის
რეგიონული განვითარების სამმართველოს
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

კახა ფოცხიშვილი
სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე

ელენა დარჯანია
პროექტის ხელმძღვანელი,
მთავარი ქალაქმგეგმარებელი

სოფიო თოდუა
უმცროსი ქალაქმგეგმარებელი

იოსებ სალუქვაძე
კონსულტანტი ურბანული განვითარების,
სოციალურ-გეოგრაფიული და
სტრატეგიული დაგეგმარების საკითხებში

შოთა მურღულია
დარგობრივი ექსპერტი ეკონომიკის მიმართულებით

ნინო ხოსიტაშვილი
მხარეთა შორის ურთიერთობის
უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის
გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 23 ოქტომბერი 16:00 საათი

ა. წერეთლის N144, თბილისი

სართული VII, ოთახი 704

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

სამინისტროს მხრიდან:

დავით ბიბილაშვილი - ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

ნუცი ოდიშარია - სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი

ქეთევან გოგინაშვილი - ჯანდაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი

ლევან სიგუა - დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის დეპარტამენტის დევნილთა საკითხების სამმართველოს უფროსი

გოჩა აბულაძე - სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი

მამუკა სალუქვაძე - ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს" დირექტორი, დარგობრივი ექსპერტი გარემოს დაცვის ნაწილში

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, (შემდგომში სამინისტრო) იმ პოზიციების დაფიქსირება და

შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება სამინისტროს მხრიდან შეხვედრის მონაწილეებს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

სამინისტროს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ გაეცნენ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მიერ შეხვედრამდე გაგზავნილ საპროექტო მასალებს.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. **ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებისთვის მიწის რესურსის გამოყოფის საჭიროება და შესაბამისი გათვლითი სტანდარტი.**

   სამინისტროს პოზიცია:

   - ქ. გორში წარმოდგენილია მრავალფეროვანი ჯანმრთელობის დაცვის ობიექტები და ახალი ტერიტორიების გამოყოფა, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საანგარიშო პერიოდისათვის, საჭირო არ არის. თუმცა, აღინიშნა, რომ მოთხოვნა მოდის მიმდებარე სოფლებზე, რასაც სამინისტროში შესული წერილები მოწმობს. აღნიშნული პოზიცია შეჯერდება გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და ეცნობება საპროექტო ჯგუფს.

2. **სოციალური მომსახურების ობიექტებისათვის მიწის რესურსის გამოყოფის საჭიროება და შესაბამისი გათვლითი სტანდარტები.**

   სამინისტროს პოზიცია:

   - სოციალური მომსახურების ობიექტებზე მოთხოვნა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან;
   - სოციალური მომსახურების ობიექტების მშენებლობა, სამინისტროს მხრიდან, არ იგეგმება. სერვისების განთავსება ხდება არსებულ შენობა-ნაგებობებში. სამინისტრო წარმოადგენს მომსახურების შემსყიდველს და არ მონაწილეობს ასეთი ობიექტების შერჩევასა თუ მშენებლობაში;
   - სახელმწიფო ატარებს ინკლუზიურობის პოლიტიკას. ამდენად, ყველაფერი უნდა იყოს ადაპტირებული შშმ პირებისთვის. იუსტიციის სამინისტრო ახალ კანონზე უკვე მუშაობს;
   - სამინისტროს მიერ სერვისებზე მოთხოვნის გათვლა შეუძლებელია;
   - სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვთა ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულია ქვეპროგრამები და მოთხოვნები მათ მიმართ. ასეთი ქვე-პროგრამებიდან ერთ-ერთია სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა;
   - ხანდაზმულთათვის სერვისების მიწოდების მხრივ, ამჟამად გორში მუშაობს შინ მოვლის პროგრამა, რომელიც ე.წ. „კარგ პრაქტიკადაა" მიჩნეული;
   - გაურკვეველია, თუ როგორ გადაწყდება იმ სახლების საკითხი, რომლის ერთადერთი მცხოვრები და მესაკუთრეც არის სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის ბენეფიციარი.
   - სოციალური მომსახურების ობიექტების კუთხით, გამოითქვა მზაობა, რომ საპროექტო ჯგუფს მიეწოდება ყველა იმ სერვისის ჩამონათვალი, რომლის დანაკლისიც ქ. გორში არსებობს.

3. **იძულებით გადაადგილებული პირების დასახლებების განვითარება და მოთხოვნა ახალ სამოსახლო ტერიტორიებზე.**

სამინისტროს პოზიცია:

- ბოლო 2 წლის განმავლობაში ქ. გორში განსახლებულთა რაოდენობამ 480 ოჯახამდე შეადგინა - აშენდა ახალი საცხოვრებელი კორპუსები ცხინვალის გზატკეცილზე. შესაბამისად, ამ ეტაპზე, ქალაქ გორში დამატებითი საცხოვრისის საჭიროება არ არსებობს;
- ქ. გორში იძულებით გადაადგილებული პირები არიან საცხოვრებლების (ბინების და კოტეჯების) მესაკუთრეები. ამდენად, კოტეჯების დასახლება უკვე განიხილება როგორც ჩვეულებრივი უბანი, რომლის ცვლილებასაც ამიერიდან განაგებს მხოლოდ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და არა სამინისტრო;
- ამ ეტაპზე, სამინისტროს ხელთ არსებული ინფორმაციით, ახალი საცხოვრისის მშენებლობის მოთხოვნა ქ. გორში არ არის. ამასთან, მსგავსი გაანგარიშების წარმოება რთულია, რადგანაც ეს დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ზოგად ვითარებაზე, ასევე სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია დაბრუნების უფლების განხორციელების ხელშეწყობაზე;
- ახალ საცხოვრებელ ფონდზე მოთხოვნის საკითხი მეჯერდება პასუხისმგებელ პირებთან და ეცნობება საპროექტო ჯგუფს.

სასწრაფო დახმარების ობიექტების განთავსება:

- ქ. გორში შენდება ახალი ობიექტი - სასწრაფოების დეპო. სხვა დამატებითი ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების საჭიროება არ არსებობს;
- ქ. გორის ტერიტორია მთლიანად იფარება მიმსახურებით. ამ კუთხით, არ არსებობს ახალი გზების და მისასვლელების მოწყობის ან გზათა კატეგორიების შეცვლის საჭიროება.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერებით ადასტურებენ შეხვედრის მონაწილეები:

დავით ზიბილაშვილი
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

ნუცი ოდიშარია
სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი

ქეთევან გოგინაშვილი
ჯანდაცვის დეპარტამენტის
პოლიტიკის სამმართველოს უფროსი

ლევან სიგუა
დევნილთა და ეკონომიგრანტთა პოლიტიკის დეპარტამენტის
დევნილთა საკითხების სამმართველოს უფროსი

გოჩა აბულაძე
სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და
გადაუდებელი დახმარების ცენტრის ლოჯისტიკის
დეპარტამენტის უფროსი

ელენა დარჯანია
პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი

მამუკა სალუქვაძე
ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“
დირექტორი, დარგობრივი ექსპერტი გარემოს დაცვის ნაწილში

ნინო ხოსიტაშვილი
მხარეთა შორის ურთიერთობის
უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 24 ოქტომბერი 10:00 საათი

სანაპიროს N4, თბილისი

სართული V

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

სამინისტროს მხრიდან:

თამარ მაისურაძე - ტურისტული პროდუქტისა და მცირე ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველოს უფროსი

ზვიად კელენჯერიძე - ტურისტული პროდუქტისა და მცირე ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

შოთა ბრელიძე - საინფორმაციო მომსახურების სამმართველოს უფროსი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი

იოსებ სალუქვაძე - კონსულტანტი ურბანული განვითარების, სოციალურ-გეოგრაფიული და სტრატეგიული დაგეგმარების საკითხებში

შოთა მურღულია - დარგობრივი ექსპერტი ეკონომიკის მიმართულებით

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, (შემდგომში სამინისტრო) საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის იმ პოზიციების დაფიქსირება და

შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება სამინისტროს მხრიდან შეხვედრის მონაწილეებს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

სამინისტროს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ გაეცნენ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მიერ შეხვედრამდე გაგზავნილ საპროექტო მასალებს.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. **ტურიზმი ქ. გორში და გორის მუნიციპალიტეტში:** რას სთავაზობს გორი ვიზიტორს და როგორია სააგენტოს ხედვა გორის მუნიციპალიტეტის მიმართ:

სამინისტროს პოზიცია:

- ტურისტული სერვისის თვალსაზრისით რადიკალური სხვაობაა მუნიციპალიტეტისა და ქალაქის ტურისტულ სანახაობებს შორის. ქალაქში წამყვანი როლი ამჟამად სტალინის მუზეუმს უჭირავს. გორის ციხეს აქვს უდიდესი რესურსი, რომელიც, ციხის ირგვლივ რეაბილიტირებული ისტორიული ქუჩების მიუხედავად, თითქმის არ არის ათვისებული. იყო იდეა, ციხეზე მოწყობილიყო ისტორიული (ქვეყნის მასშტაბით არსებული ისტორიული თავდაცვითი ნაგებობების - ციხეებისა და ციხექალაქების- მინიატურების პარკი, რომელიც რეგიონების ჭრილში იქნებოდა წარმოდგენილი) სამხედრო ტექნიკის ექსპოზიცია;
- გორის მუნიციპალიტეტი და შიდა ქართლის მხარე მრავალფეროვან ტურისტულ სანახაობას სთავაზობს ვიზიტორებს, ძირითადად, სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებით;
- მთელი საქართველოს მასშტაბით ხორციელდება 2 დიდი პროექტი, ესენია:
  1) ღვინის გზის პროექტი ღვინის ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით;
  2) საფეხმავლო ბილიკების მარკირება. გორის მუნიციპალიტეტში არსებული ბილიკები დაუკავშირდება სხვა მუნიციპალიტეტებს.

2. **ვიზიტორების და ტურისტების მომსახურება, მოთხოვნა კვებისა და ღამისთევის ობიექტებზე.**

სამინისტროს პოზიცია:

- კვების და განთავსების ობიექტების თვალსაზრისით გორი ძალიან ღარიბია. გორში ვიზიტორთა დაყოვნება მხოლოდ 2-3 საათიანი პერიოდით განისაზღვრება;
- არის მოსაზრება, რომ გორის ციხე გახდეს ერთ-ერთი ტურისტული მიმართულება - თუკი განხორციელდება გორის ციხის კონცეფცია, რომელიც გულისხმობს ქვეყნის გეოგრაფიისა და ციხის ნაგებობის ადგილმდებარეობის ექსპოზიციას და სხვა ტურისტულ სერვისებს (კაფე, ავტოპარკინგი, საინფორმაციო ცენტრი), შესაძლოა ამან გაზარდოს ტურისტთა დაყოვნება კიდევ დამატებით 3 საათით, რაც განაპირობებს კვების და ღამისთევის სერვისების მიმართ მოთხოვნას და მიწოდებას;

- გასათვალისწინებელია გორის ულამაზესი ქუჩების სწორად დაგეგმვა ტურისტული მიზიდულობის თვალსაზრისით;
- იმისათვის რომ ვიზიტორის მხრიდან მოთხოვნა გაჩნდეს გორში თუნდაც ერთი ღამით დარჩენაზე, აუცილებელია ყველა ტურისტული პროდუქტის კომპლექსურად შეთავაზება;
- სასტუმროების განთავსება შეიძლება არ იყოს გათვლილი დიდ ინვესტიციაზე, მაგრამ საოჯახო ტიპის სასტუმროების განთავსება აუცილებელია. მთავარია მოხდეს სერვისის სწორად და ხარისხიანად მიწოდება.

3. **საბჭოთა მემკვიდრეობის, აგრო და რელიგიური ტურიზმის თვალსაზრისით** როგორია ტურისტული ეროვნული ადმინისტრაციის ხედვა.

სამინისტროს პოზიცია:

- შესაძლოა, ჯერ ისევ საფრთხედ მიიჩნევა საბჭოთა მემკვიდრეობის ტურიზმი, მაგრამ ეს არის ის ძლიერი მხარე, რომელიც კონკურენტუნარიანს ხდის ქალაქს სხვა ქალაქის და ქვეყნების ჭრილში. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სტალინის მუზეუმს ბევრი ჩინელი ვიზიტორი ყავს დღეს დღეობით. ამ კუთხით გორს კარგი ბმა ექნება თბილისთან და ბორჯომთან, როგორც კომუნისტური წარსულის ამსახველი ტური.
- აგრო ტურის თვალსაზრისით, აუცილებელია ამის მულტიფუნქციური მიწოდება. ის გარემოება, რომ გორში არ არსებობს ადგილობრივი ხელნაკეთი ნივთები, ამცირებს აგრო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას. ამისათვის ასევე კარგია გორის მიმდებარე სოფლების ადაფტირება ტურისტებზე.
- რელიგიური ტურის მხრივ გორში ეს ნაკლებად მოთხოვნადია, ძირითადად ხდება ტრადიციული ღონისძიებები.

4. **ექსტრემალური ტურიზმის სახეობებისთვის** - საპროექტო ჯგუფი მოიაზრებს მიტოვებული კომბინატის ტერიტორიას, თუმცა საინტერესოა როგორის ტურისტული ეროვნული ადმინისტრაციის ხედვა.

სამინისტროს პოზიცია:

- თუ მიტოვებულ ტერიტორიებს - ბრაუნფილდებს ექნებათ მრავალჯერადი განვითარების შესაძლებლობა, შეიძლება განხილულ იქნას ექსტრემალური ტურიზმის სახეობის განვითარება.

5. **რა გამოცდილება და პრაქტიკა არსებობს კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის წარმატებით ურთიერთქმედების ჭრილში.**

სამინისტროს პოზიცია:

- თუ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს ექნებათ გარკვეული შეზღუდვები და მოხდება ტურიზმის სწორად დაგეგმარება ეს იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი. ეს მოგვცემს იმ ქაოტური მდგომარეობის თავიდან აცილების საშუალებას რაც ხდება მესტიაში.

ზოგადი რეკომენდაციები სამინისტროს მხრიდან:

- კემპინგის ტურიზმის თვალსაზრისით გორს დიდი პოტენციალი გააჩნია, თუ ეს კომპლექსურად იქნება განხილული ქვეყნის მასშტაბით მინიმუმ 4-5 ლოკაციაზე.
- გორში ერთ-ერთ დიდ პრობლემას წარმოადგენს უსახლკარო ძაღლების რაოდენობა, როგორც ვიზიტორებისთვის ასევე მკვიდრი მოსახლეობისთვის.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერებით ადასტურებენ მუხვადრის მონაწილეები:

ელენა დარჯანია
პროექტის ხელმძღვანელი,
მთავარი ქალაქმგეგმარებელი

იოსებ სალუქვაძე
კონსულტანტი ურბანული განვითარების,
სოციალურ-ეკონომიკური და სტრატეგიული დაგეგმარების საკითხებში

შოთა მურღულია
დარგობრივი ექსპერტი ეკონომიკის მიმართულებით

ნინო ხოსიტაშვილი
მხარეთა შორის ურთიერთობის
უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

თამარ მაისურაძე
ტურისტული პროდუქტისა და მცირე
ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველოს უფროსი

ზვიად კელენჯერიძე
ტურისტული პროდუქტისა და მცირე
ინფრასტრუქტურის განვითარების
სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

შოთა ბრელიძე
საინფორმაციო მომსახურების სამმართველოს უფროსი

სხდომის ოქმი №1

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის
გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 25 ოქტომბერი 14:00 საათი

აღმაშენებლის გამზირი N150, თბილისი

სართული IX

სხდომას უძღვებოდა: უმცროსი ქალაქმგეგმარებელი - სოფიო თოდუა

სხდომას ესწრებოდნენ:

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მხრიდან:

მერაბ ჩალათაშვილი - სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის უფროსი

ნანა ზაუტაშვილი - სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი

ანა ქემოკლიძე - სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მხრიდან:

სოფიო თოდუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, (შემდგომში სამინისტრო) - სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალური გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება სააგენტოს მხრიდან შეხვედრის მონაწილეებს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

სააგენტოს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ გაეცნენ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მიერ შეხვედრამდე გაგზავნილ საპროექტო მასალებს.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. **დასაზუსტებელია ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის ფარგლებში განსახილველი ტერიტორიის რუკა, რომელზეც დატანილია მონაცემები (shp ფაილები) ამ ტერიტორიის ფარგლებში არსებული მიწისქვეშა წყლების (მტკნარი სასმელი და მინერალური) საბადოებისა და ლიცენზირებული ობიექტების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია, საპროექტო საზღვარში მოხვედრის შემთხვევაში, ასახული უნდა იქნას დოკუმენტში.**

სააგენტოს პოზიცია:

- სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ ხორციელდება სასარგებლო წიაღისეულის ყველა საბადოსა და ობიექტის მონაცემთა დაზუსტება ადგილზე როვერის მეშვეობით და GIS სისტემის ელექტრონულ ბაზაში მათი საბოლოო დაფიქსირება. აღნიშნული მონაცემები მიეწოდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს GEO-CORS ელექტრონულ სისტემაში დასაფიქსირებლად.
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში ხვდება მიწისქვეშა მინერალური წყლის 3 ჭაბურღილი და 1 წყარო. ასევე ლიცენზირებული ობიექტები, რომელთა შესახებ დეტალური მონაცემები (shp ფაილები) სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მხრიდან გამოგზავნილი იქნება შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვნის შესახებ თქვენი უწყებიდან ელექტრონული წერილის მიღების შემდგომ.

2. **დოკუმენტაციაში უნდა დაფიქსირდეს მიწისქვეშა წყლის საბადოების ამჟამინდელი სტატუსი.**

სააგენტოს პოზიცია:

- მდ. ლიახვის ნაპირზე არსებული სანაპირო ინფილტრაციული წყალასაღები „ლიახვის უბანი" გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მონაცემებით არის არამუშა დრენაჟი. აღნიშნული წყალასაღების შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას.

3. **ქალაქის საპროექტო საზღვრებში განახლებული ინფორმაცია გრუნტის წყლების შესახებ.**

სააგენტოს პოზიცია:

- საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მიწისქვეშა წყლის ყველა საბადოსა და ობიექტს აქვს შესაბამისი სანიტარიული დაცვის ზონები, რომელთა დადგენა ხორციელდება სპეციალისტთა ჯგუფის მიერ დეტალური კვლევების საფუძველზე და რომლის ფარგლებში განსახორციელებელი და ამკრძალავი ღონისძიებები განისაზღვრება კანონმდებლობით. ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გასათვალისწინებელია აღნიშნული ჩასატარებელი სამუშაოების აუცილებლობა გორის მუნიციპალიტეტის ფარგლებში გავრცელებული გრუნტის წყლების რაოდენობისა და მათი დაბინძურების ან დაშრეტისგან დაცვის თვალსაზრისით.

ზოგადი რეკომენდაციები სააგენტოს მხრიდან:

- საპროექტო ტერიტორიის საზღვრებში მიწისქვეშა წყლის ობიექტების არსებობის შემთხვევაში, საჭიროა, კვლევების საფუძველზე თითოეულისთვის დადგინდეს სანიტარიული დაცვის ზონები.

- აზომვით ნახაზებზე რუკის მიხედვით დატანილი უნდა იქნას მიწისქვეშა წყლის ყველა ობიექტი (ლიცენზირებული და არალიცენზირებული). მონაცემების მიღება შესაძლებელია სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოდან წერილობითი მიმართვის გზით (სააგენტოში მუდმივად მიმდინარეობს მონაცემთა ბაზის განახლება).
- წიაღისეული რესურსით სარგებლობა (გარდა პირადი მოხმარებისა), წიაღის შესახებ კანონის თანახმად, ექვემდებარება ლიცენზირებას, რომლის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება აუცილებელია. ლიცენზიის გამცემი ორგანო არის სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო.
- გეოლოგიური ფონდების სამმართველოში ინახება ნაშრომები (ანგარიშები) საქართველოში XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე ჩატარებული გეოლოგიური კვლევების შესახებ. შექმნილია მათი ელექტრონული ვერსია და შესაძლებელია სასურველი ინფორმაციის მიღება (ელექტრონულად) შემდეგ ბმულზე: https://nam-geofund.archival-services.gov.ge/
- წინასაპროექტო კვლევით დოკუმენტში მითითებული სამინისტროების დასახელებები არასწორია, თუმცა საპროექტო ჯგუფის მხრიდან განიმარტა, რომ 2017 წელს ჩატარებული წინასაპროექტო სამუშაოების პერიოდში სამინისტროების სახელწოდებები შეესაბამება 2017 წლის სახელმწიფო სტრუქტურების სახელწოდებებს.
- სააგენტო დაინტერესდა რამდენად აქვს საპროექტო ჯგუფს ინფორმაცია საპროექტო საზღვარში სხვა წიაღისეულის არსებობის შესახებ, რაზეც ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მხრიდან განიმარტა, რომ წინასაპროექტო კვლევამ გამოავლინა აღნიშნული მონაცემები.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერებით ადასტურებენ შეხვედრის მონაწილეები:

ნინო ხოსიტაშვილი
მხარეთა შორის ურთიერთობის
უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი:

სოფიო თოდუა
უმცროსი ქალაქმგეგმარებელი

ძერაბ ჩალათაშვილი
სასარგებლო წიაღისეულის
მართვის დეპარტამენტის უფროსი

ნანა ზაუტაშვილი
სასარგებლო წიაღისეულის მართვის
დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი

ანა ქემოკლიძე
სასარგებლო წიაღისეულის მართვის
დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისა“ და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 25 ოქტომბერი 17:00 საათი

პოლიტკოვსკაიას N14, თბილისი

სართული III

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

სამინისტროს მხრიდან:

მედეა ჩაჩხიანი - ტექნიკური დეპარტამენტის გარემოს დაცვის განყოფილების უფროსი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი

სოფიო თოდუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო), შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალური გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება სამინისტროს მხრიდან შეხვედრის მონაწილეებს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

სამინისტროს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ გაეცნო „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მიერ შეხვედრამდე გაგზავნილ საპროექტო მასალებს.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. **გორის ნაგავსაყრელის სტატუსი**ს შესახებ. არსებობს მოსაზრება, რომ გორის ტერიტორიაზე დაიკეტება ამჟამად მოქმედი მუნიციპალური მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელი, თუმცა რა სტატუსი ექნება მას.

   სამინისტროს პოზიცია:
   - ნაგავსაყრელი დაიხურება 2023 წლისთვის და შემდგომში განხორციელდება დახურვისშემდგომი მოვლა. ვადები შეთანხმებული იქნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.
   - ჩვენი კომპანიის პასუხისმგებლობის ქვეშ 54 ნაგავსაყრელია. საიდანაც დღეის მდგომარეობით 31 მოქმედია, ხოლო 23 დახურული. ქვეყნის მასშტაბით ნაგავსაყრელების ოპტიმიზაციის მიზნით ზოგიერთ პოლიგონზე ნარჩენების შეტანა 2012 წლიდან აღარ ხდებოდა, ამიტომ 2014 წლამდე ასეთი ტიპის ნაგავსაყრელებს შეჩერებულის სტატუსი აქვთ. გორის ნაგავსაყრელი დაიხურება შიდა ქართლის პროექტის ფარგლებში, თუმცა როგორი ფორმით და რა ვადებში მოხდება პროექტის განხორციელება ჯერ-ჯერობით უცნობია. მიუხედავად ამისა, დღის წესრიგში დგას მისი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარება. ცალსახად ცნობილია რომ გორის ნაგავსაყრელი 2023 წლამდე იფუნქციონირებს.
   - ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობისთვის თავდაპირველად შეირჩევა რამდენიმე ადგილი, შემდგომში შერჩეული ალტერნატივების განხილვა მოხდება ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის მიერ და საბოლოოდ ერთი ადგილი იქნება აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად დამტკიცებული მომდევნო კვლევების განხორციელების მიზნით. ამავე პროექტის ფარგლებში შიდა ქართლში არსებული ყველა ნაგავსაყრელი დაიხურება. რეგიონებიდან ნარჩენების ტრანსპორტირებისთვის მანძილების დაბალანსება მოხდება გადამტვირთი სადგურიების საშუალებით. საქართველოს მასშტაბით რეგიონებში გამიზნულია ევრო სტანდარტების და აღჭურვილობის მქონე 7-8 დიდი თანამედროვე ნაგავსაყრელის მოწყობა გადამტვირთი სადგურებით.
   - ნაგავსაყრელების ყოველდღიური ოპერირების შედეგად, მდგომარეობა გაცილებით უკეთესია ვიდრე ეს იყო 2013 წლამდე. სისტემატიურობა აღნიშნულ სფეროში გადამწყვეტია გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პერიოდულად ადგილი აქვს გარკვეული პრობლემების წამოჭრას და ეს უფრო თბილ/ცხელ სეზონს უკავშირდება. პრობლემები ცივ ამინდებში ნაკლებია. ძირითადად დგას მაწანწალა ძაღლების პრობლემა და ქვეყანაში არ არსებობს სხვადასხვა სპეციფიური ნარჩენების მართვა, მაგალითად ცხოველური და სხვა ნარჩენების მართვა.
   - ახალი ნაგავსაყრელის ადგილმდებარეობის დადგენას ჭირდება კვლევები. ძირითადად ორი მსხვილი დამფინანსებელი თანამშრომლობს ჩვენს კომპანიასთან -

EBRD და KFW. ფინანსირების წყაროს განსაზღვრის შემდეგ მოხდება რამდენიმე ლოკაციის შერჩევა. საპროექტო არეალში, აუცილებლად გასათვალისწინებელი იქნება ის რომ, დაახლოებით 30 წლის განმავლობაში ეს ადგილი იქნება დაკვირვების ფაზაში (აქვე აღინიშნა, რომ 30 წელი წერია ევრო დირექტივაში, თუმცა ნარჩენების ნართვის კოდექსში ზუსტი ვადა არ არის მითითბული და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში სამინისტრო მიიღებს ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას). გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული დახურვის და დახურვისშემდგომი მოვლის დოკუმენტაციაში განსაზღვრული იქნება გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის ფარგლებში. გარკვეული წლების შემდეგ კი ეს ადგილები შეიძლება გამოყენებული იქნას სარეკრეაციო ზონისთვის, გოლფის მოედნისთვის.

- შიდა ქართლში ჩატარებული ნარჩენების მორფოლოგიური კვლევის მიხედვით, შემადგენლობაში ორგანული ნარჩენების რაოდენობა 40%-ს აღემატება, ამიტომ ნაგავსაყრელი წარმოადგენს მეთანის ემისიის წყაროს და საჭირო იქნება ემისიების კონტროლი დახურვის და დახურვისშემდგომ ფაზებზე სამინისტროსთან შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში, ამიტომ ეს შეიძლება იყოს 5, 10 ან 20 წელი, ზუსტი ვადები ჯერ უცნობია.

2. **წინასაპროექტო კვლევებმა აჩვენა, რომ დაყრილი ნაგავი სცდება ნაგავსაყრელის კანონით განსაზღვრულ 500 მეტრიან ბუფერულ ზონას,** ანუ მთლად საზღვარი არი არის დაცული. ამასთან დაკავშირებით ხომ არ არსებობს რაიმე რეკომენდაცია, აქედან ხომ არ უნდა იყოს ათვლილი ნაგავსაყრელის ტერიტორია.

სამინისტროს პოზიცია:

- თუ მსუბუქი ფრაქციების გაფანტვა ხდება ნაგავსაყრელიდან მის გარე პერიმეტრს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის" ადგილობრივი თანამშრომლები ასუფთავებენ, ხოლო თუ საუბარია ნაგავსაყრელის გარეთ სტიქიური ნაგავსაყრელების დასუფთავებაზე, ეს უკვე მუნიციპალიტეტის ვალდებულებაა.
- ოფიციალური ნაგავსაყრელების გარდა, ქვეყანაში ასევე იყო 3000 მდე სტიქიური ნაგავსაყრელი - სისტემის გაუმართაობის გამო ხალხის მიერ თვითნებურად შექმნილი ნაგავსაყრელი. დღეს-დღეობით შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია" ეხმარება მუნიციპალიტეტებს ურნების და სხვა საჭირო აღჭურვილობის შეძენაში, რაც თავის მხრივ შეამცირებს ნარჩენების სტიქიურ ნაგავსაყრელებზე განთავსებას და ხელს შეუწყობს ასეთი ნაგავსაყრელების საბოლოო ელიმინაცია.
- 2012 წლიდან აღარ ხდება არაფორმალური სექტორის ნაგავსაყრელების ტერიტორიაზე შეშვება მათივე უსაფრთხოების დაცვის მიზნით. ერთი ოჯახი რომელიც გორში იყო დაფიქსირებული, როგორც არაფორმალური სექტორის წარმომადგენლები, დასაქმდა ნაგავსაყრელზე.
- ნაგვის გაფანტვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს უპატრონო ძაღლების დიდი რაოდენობა, რაც ნაგავსაყრელის ნორმალური ოპერირების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია.
- ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენს ცხოველური ნარჩენები, რომლის მოგვარების მექანიზმი და ტექნოლოგიები ქვეყანაში ჯერ-ჯერობით არ არსებობს.

3. **არის თუ არა შესაძლებელი** რომ გორის არსებული ნაგავსაყრელი გახდეს რეგიონული ნაგავსაყრელი. „გადამტვირთი სადგურებისთვის" უნდა გამოიყოს თუ არა მიწები.

სამინისტროს პოზიცია:

- ჯერ-ჯერობით უცნობია რომელი ლოკაცია შეირჩევა ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობოსთვის. როგორც აღვნიშნე აღნიშნული საქმიანობის დასაწყებად საჭიროა მთელი რიგი მოსამზადებელი პერიოდი და აუცილებლად მოხდება წინასწარ მოლაპარაკება ადგილობრის თვითმმართველობებთან.
- ლოკაციების შერჩევის დროს, ჩვენი კომპანიის მხრიდან უპირატესობა ენიჭება ძველ დაბინძურებულ ტერიტორიებს გადამტვირთი სადგურების მშენებლობისთვის, თუმცა ამ ეტაპზე გორის პოლიგონთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული ინფორმაციის მოწოდება შეუძლებელია.

4. **მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმას აქვს დამატებით რეგულაციების შემოტანის შესაძლებლობა,** როგორია სამინისტროს ხედვა ამასთან დაკავშირებით, არის თუ არა დამატებითი რეგულაციების შემოღების საჭიროება.

სამინისტროს პოზიცია:

- არსებობს ნარჩენების მართვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, თუმცა გორის მუნიციპალიტეტს წესით წარდგენილი უნდა ქონდეს ნარჩენების მართვის გეგმა. 2019 წლის თებერვლიდან სეპარირებული შეგროვების ვალდებულება შემოდის მთელ საქართველოში, რაც გულისხმობს რეციკლირებადი ნარჩენების სეპარირებას რამდენიმე ფრაქციის მიხედვით - მეტალი, მუყაო, შუშა და პლასტიკი, თუმცა გაურკვეველია ფრაქციების ზუსტი რაოდენობა, ეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადასაწყვეტია. მათი ნაგავსაყრელზე განთავსების ეტაპობრივი შემცირება არის სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანი.
- 2020 წლიდან აღნიშნულ პოლიგონზე ცხოველური ნარჩენების განთავსება აიკრძალება რადგან უკვე არსებობს ცხოველური ნარჩენების მართვის ტექნიკური რეგლამენტი. დღეს ჩვენი კომპანია ეხმარება მუნიციპალიტეტებს მათთვის რთულად მოსაგვარებელი საკითხების გადაწყვეტაში.
- 2019 წლის დეკემბერში შემოდის მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება, რაც გულისხმობს, რომ მწარმოებელი არის ვალდებული მის მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ნარჩენად ქცევის შემდგომ გარემოსთვის უსაფრთხოდ განთავსებაზე.
- შემდეგ წელს აგრეთვე დაიწერება ბიოდეგრადირებადი ნარჩენების სტრატეგია და ნელ ნელა ხდება საკანონმდებლო საფუძველის სრულყოფა.

5. **მოიაზრება თუ არა გადამუშავების ცენტრების გორში განთავსება,** თუ 2019 წლიდან შემოდის სეპარირების ვალდებულება. გორს აქვს ბევრი ბრაუნფილდი (ყოფილი საწარმო ტერიტორია), სადაც შეიძლება რეკომენდაციის სახით საპროექტო დოკუმენტში განისაზღვროს ნარჩენების გადამუშავების ადგილად, როგორია სამინისტროს ხედვა ამ საკითხზე.

სამინისტროს პოზიცია:

- გადამუშავების ცენტრების გორში განსათავსების შესახებ ჯერ არანაირ ინფორმაციას არ ვფლობთ, თუმცა, თუ როგორც თქვენ აღნიშნავთ გორში არის ბევრი

„ბრაუნფილდი“, აუცილებელია ასეთ ადგილების მონიშვნა და რეკომენდაციების შემუშავება.

6. **თუ არის განსაზღვრული გორში** რა მოცულობის ნარჩენები შეიძლება წარმოიქმნას და მიწის რა რესურსია საჭირო მისი გადამუშავებისათვის, რომ მოხდეს მისი წინასწარი გათვლა.

სამინისტროს პოზიცია:

- ამის გათვლა წინასწარ შეუძლებელია. რეკომენდირებულია, შეირჩეს სახელმწიფო ან მუნიციპალურ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერებით ადასტურებენ შეხვედრის მონაწილეები:

მედეა ჩაჩხიანი
ტექნიკური დეპარტამენტის გარემოს
დაცვის განყოფილების უფროსი

ელენა დარჯანია
პროექტის ხელმძღვანელი,
მთავარი ქალაქმგეგმარებელი

სოფიო თოდუა
უმცროსი ქალაქმგეგმარებელი

ნინო ხოსიტაშვილი
მხარეთა შორის ურთიერთობის
უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის ოქმი №1

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის
გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 26 ოქტომბერი 11:00 საათი

აღმაშენებლის N150, თბილისი

სართული III, ოთახი 220

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

სამინისტროს მხრიდან:

ირაკლი დიხამინჯია - ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი

ლევან მარგიანი - ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის II რანგის უფროსი სპეციალისტი

დავით ჯოხაძე - ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის II რანგის უფროსი სპეციალისტი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი

იოსებ სალუქვაძე - კონსულტანტი ურბანული განვითარების, სოციალურ-გეოგრაფიული და სტრატეგიული დაგეგმარების საკითხებში

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო), საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მხრიდან შეხვედრის მონაწილეებს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ გაეცნენ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მიერ შეხვედრამდე გაგზავნილ საპროექტო მასალებს.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. **ხედვა ან/და მიმდინარე პროექტები იძულებით გადაადგილებულ პირთა ქ. გორში ინტეგრაციის მიმართულებით.**

   სამინისტროს პოზიცია:
   - აღინიშნა, რომ გორში ახალი კორპუსების მშენებლობის პროექტი უკვე დასრულებულია. ამ მიმართულებით რაიმე ახალი პროექტი ამ ეტაპზე არ იგეგმება.

2. **აღნიშნულ დასახლებებში ინფრასტრუქტურის (მათ შორის, საცხოვრებელი სახლების) განახლების საჭიროება.**

   სამინისტროს პოზიცია:
   - აღინიშნა, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოები ამ ეტაპზე არ იგეგმება. როგორც ყოველთვის, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მიმდინარეობს მხოლოდ ის მცირედი სამუშაოები, რომლებიც არ იწვევს იერსახის ცვლილებას.
   - პრობლემას წარმოადგენს დაუკანონებელი საკუთრების შემთხვევები და ინფორმაციის ნაკლებობა მფლობელთა ვინაობის შესახებ, აუცილებელია ამის ინფრასტრუქტურულად გამოვლენა და დატანა რუკაზე.

3. **იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ახალი საბინაო ფონდის მშენებლობა ქ. გორის ტერიტორიაზე.**

   სამინისტროს პოზიცია:

   - მოთხოვნა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან, რის შესაბამისადაც ხორციელდება სახელმწიფო ჩართულობა.
   - დღეის მდგომარეობით გორში, სულ მცირე, 3 წელი ინფრასტრუქტურული მოთხოვნის საჭიროება არ იქნება, რადგან უკვე ჩაბარდა 480 საცხოვრებელი ბინა. დანარჩენი კომპაქტური დასახლების შემთხვევაში (კოტეჯები, ძველი ამორტიზირებული შენობები) არსებობენ ბენეფიტები და თუ როგორ გადაწყდება მათი განვითარება ეს უკვე გორის მერიის პრეროგატივაა.

4. **გორში გამავალი მაგისტრალური არხი რამდენად აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს.**

სამინისტროს პოზიცია:

- აღინიშნა, რომ ამ მხრივ მდგომარეობა რთულია, რომლის მოგვარებასაც ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად ართულებს არასაკმარისი სახსრები და ტექნიკურად უზრუნველყოფის საკითხი.
- ყველა საცხოვრებელი არ არის უზრუნველყოფილი კანალიზაციისა და წყალმომარაგების სისტემის სათანადო აღჭურვით. ზოგან ფიქსირდება ბიოტალი, ზოგან კი ჭაბურღილზე დამოკიდებული წყალი, რაც ზაფხულში დებეტის დაწევის შემთხვევაში დიდ პრობლემას უქმნის მოსახლეობას, რამეთუ ამ წყალს გამოიყენებენ სასმელადაც და სოფლის სამურნეო საქმიანობისთვისაც.
- სასმელი წყლის ასეთი პრობლემა ძირითადად ფიქსირდება კოტეჯების დასახლებაში.
- ერთი-ერთი დასახლება მცოცავ გრუნტზე დგას და იშლება, კანალიზაციის მილი მიწდორში მიედინება - არხი დაუსრულებელია.
- ისეთ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ბენეფიტებს, საკითხის მოგვარებას უზრუნველყოფს გორის მერია, ხოლო დაუკანონებელი ქონების შემთხვევაში, არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებას უზრუნველყოფს ჯანდაცვის სამინისტროს დევნილთა დეპარტამენტი, კომპლექსურად მიმართულებების მიხედვით - იქნება ეს გაერთიანებული წყალი, ენერგო პრო თუ უბრალოდ სარეაბილიტაციო კომპანია.

5. **თუ მიმდინარეობს ან იგეგმება ახალი პროექტის განხორციელება გზების გაყვანის მხრივ.**

სამინისტროს პოზიცია:

- აღინიშნა, რომ გზების გაყვანის ახალი პროექტის შესახებ არ ფლობენ ინფორმაციას, რამეთუ მუნიციპალური განვითარების ფონდი ამ საკითხს არ კურირებს. რომელი სახელმწიფო სტრუქტურა არის ამაზე პასუხიმგებელი გაურკვეველია.
- მუნიციპალური განვითარების ფონდი კურირებს პირველად და აუცილებელ მოთხოვნას - ჰიგიენა, წყალი და კანალიზაცია.
- აღინიშნა, რომ გზის და წყალკანალიზაციის პრობლემა არსებობს, თუმცა ამ ეტაპზე რაიმე პროექტი არ ხორციელდება.

6. **ინფორმაციას ჭაბურღილების ადგილმდებარეობის შესახებ.**

სამინისტროს პოზიცია:

- გამომდინარე იქიდან, რომ ჭაბურღილების განთავსება რიგ შემთხვევებში ხორციელდებოდა კერძო ან დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით, მუნიციპალური განვითარების ფონდი არ ფლობს ინფორმაციას კონკრეტული ადგილების შესახებ, თუმცა იციან ჭაბურღილის ადგილმდებარეობა რაიონის ჭრილში.
- აღნიშნულ ინფორმაციას ფლობს ადგილობრივი მერია.
- ასევე პრობლემას წარმოადგენს ამ კუთხით გაზის საკითხი, გასარკვევია არის თუ არა ყველგან გაზიფიცირება დასრულებული, ასევე დგას მუნიციპალური ტრანსპორტის და გზების განათების საჭიროება.

7. **ომის დროს თანხების მობილიზებაში მონაწილე დონორი ორგანიზაციების მხრიდან რაიმე ახალი პროექტის განხორციელება.**

სამინისტროს პოზიცია:

- აღინიშნა, რომ დონორ ორგანიზაციებთან კომუნიკაციისა და ახალი პროექტების შესახებ ინფორმაციას ფლობს დევნილთა დეპარტამენტი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ზოგადი საკითხები სამინისტროს მხრიდან:

სამინისტროს მხრიდან გაჩნდა ინტერესი, თუ როგორ მოხდება ამორტიზებული და ინფრასტრუქტურულად გასამართი ობიექტების ასახვა გენერალურ გეგმაში. რაზეც საპროექტო ჯგუფმა განმარტა შემდეგი: მსგავს შემთხვევაში განხორციელდება 2 მიმართულება - 1) უნდა მოხდეს სამოსახლო ზონების, მიწის რესურსის დათვლა სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი კატეგორიებისთვის (კორპუსი თუ კოტეჯის ტიპი), და 2) გაკეთდეს თემატური რუკა სარეაბილიტაციო არეალებისთვის, რომლებიც შემდგომში უნდა განხორციელდეს. გენერალური გეგმა ამას ასახავს სივრცითი კუთხით და ვერ უზრუნველყოფს საცხოვრისის განსხვავებას სტატუსის მიხედვით.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერებით ადასტურებენ შეხვედრის მონაწილეები:

ირაკლი დიხამინჯია
ტექნიკური ზედამხედველობის
დეპარტამენტის უფროსი

ლევან მარგიანი
ტექნიკური ზედამხედველობის
დეპარტამენტის II რანგის უფროსი სპეციალისტი

დავით ჯოხაძე
ტექნიკური ზედამხედველობის
დეპარტამენტის II რანგის უფროსი სპეციალისტი

ელენა დარჯანია
პროექტის ხელმძღვანელი,
მთავარი ქალაქმგეგმარებელი

იოსებ სალუქვაძე
კონსულტანტი ურბანული განვითარების,
სოციალურ-გეოგრაფიული და
სტრატეგიული დაგეგმარების საკითხებში

ნინო ხოსიტაშვილი
მხარეთა შორის ურთიერთობის
უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 31 ოქტომბერი 10:00 საათი

სანაპიროს N4, თბილისი

სართული II, სათათბირო დარბაზი

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

სამინისტროს მხრიდან:

ვასილ ლიპარტელიანი - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების სამმართველოს უფროსი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი

გოგი აბაშიძე - კონსულტანტი

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხრიდან, (შემდგომში სამინისტრო) იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება სამინისტროს მხრიდან შეხვედრის მონაწილეს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

სამინისტროს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ გაეცნო „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ შეხვედრამდე გაგზავნილ საპროექტო მასალებს.

1. **მსხვილი სასპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობის გეგმები ქ. გორის ტერიტორიაზე;**
   სამინისტროს პოზიცია:
   - მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა სპორტისა და სარეკრეაციო სივრცეების გარეშე ვერ იქნება სრულყოფილი დოკუმენტი. გორს დიდი რესურსი გააჩნია სპორტული სივრცეების თვალსაზრისით.
   - სპორტული ინფრასტრუქტურა სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 4 აპრილს N601 განკარგულებით დაამტკიცა, უპირველესი მიმართულებაა, ვინაიდან დოკუმენტის შემუშავებამდე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სპორტული ინფრასტრუქტურა სავალალო მდგომარეობაშია და საზოგადოების ძირითადი მოთხოვნაც სპორტის სფეროში უკავშირდებოდა შესაბამისი სპორტული დარბაზებისა და მოედნების არსებობას. სამინისტროს უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში ჩამოყალიბებული სპორტული ინფრასტრუქტურის თემატური ჯგუფის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობდა სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას მომდევნო 10-15 წლის განმავლობაში, ჯერ არ არის დამტკიცებული. ამდენად, რთულია გორში სამომავლო გეგმებზე საუბარი სპორტული ინფრასტრუქტურის კუთხით, თუმცა გორს ამის საჭიროება და პოტენციალი გააჩნია.
   - ამ სამოქმედო გეგმის ფარგლებში გამოიცა საქართველოს მთავრობის რამდენიმე კონკრეტული განკარგულება, რის საფუძველზეც, მაგალითად, მათ შორის, ქ. გორში მიმდინარეობს სპორტის სასახლის მშენებლობა, რომელიც ახლო მომავალში გაიხსნება;
   - სამინისტროს მიერ 2018-2019 წლებში სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა მხოლოდ თბილისში იგეგმება.
   - ზოგადად აღინიშნა, რომ სპორტული ობიექტების კუთხით პრობლემა არსებობს. დღეისათვის ქვეყანაში რეგისტრირებული 500-მდე სპორტული ობიექტია, რომელშიც ერთიანდება მოედნები, სტადიონები და დარბაზები. ამავე დროს, შესადარებლად თუ ავიღებთ ფინეთის მაგალითს, მოსახლეობის თითქმის იდენტური რაოდენობის შემთხვევაში იქ 30 000-მდე სპორტული ობიექტი ფიქსირდება.
   - სამინისტროს მხრიდან გამოითქვა მზაობა, რომ საპროექტო ჯგუფს მიეწოდება აღნიშნული სამოქმედო გეგმა და ასევე ინფორმაცია იმ სპორტული ობიექტების მშენებლობის შესახებ, რომელიც იგეგმებოდა კონკრეტულად ქალაქ გორის ტერიტორიაზე ამ სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემთხვევაში.
   - შეთანხმების საფუძველზე, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმაში რეკომენდაციის სახით განისაზღვრება მიწის რესურსი სამომავლოდ ქ. გორში სპორტული ობიექტების განსათავსებლად.

2. **მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მოქმედება გათვლილია 15 წლის ვადით, სამინისტროს მხრიდან რა ვადით არის შესაძლებელი მიწის რესურსის გათვლების გაკეთება, რომელიც შესაბამისად აისახება მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში.**
   სამინისტროს პოზიცია:
   - გათვლა შესაძლებელია 20 წელზე, თუმცა ამ ეტაპზე ეს არ იქნება მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებული სამომავლო გათვლა.
   - სამინისტრო ამჟამად ხელმძღვანელობს სამოქმედო გეგმისა და მისი დასაბუთების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით.
   - აღინიშნა, რომ არსებობს 2 სამოქმედო სტანდარტი - 1)სპორტული ინფრასტრუქტურის საერთაშორისო სტანდარტი, რომელსაც ადგენს შესაბამისი სპორტის სახეობის საერთაშორისო ფედერაცია, რომლითაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო მაშინ, როდესაც უწევს საერთაშორისო ღონისძიებების გამართვა. 2)ეროვნული სტანდარტი, რომელიც ჯერ დადგენილი არ არის.

- მეორე წელია მუშაობენ სპორტული ინფრასტრუქტურის მართვისა და ექსპლუატაციის ეროვნულ სტანდარტებზე და არის სურვილი, რომ დამტკიცდეს მთავრობის მიერ, როგორც ტექნიკური რეგლამენტი.
- სამინისტროს მხრიდან გამოითქვა მზაობა, რომ საპროექტო ჯგუფს მიეწოდება ინფორმაცია სტანდარტების შესახებ.
- რჩევის სახით აღინიშნა, საპროექტომ გამოიყენოს ცოცხალი პორტალის-sportstat.gov.ge რუკა, რომელიც რეორგანიზაციამდე არსებული ინფრასტრუქტურისა და სტანდარტების სამმართველოს ფარგლებში შეიქმნა და მუდმივად განახლებადია.
- სამინისტროს მხრიდან გამოითქვა მზაობა, რომ საპროექტო ჯგუფს მიეწოდება პორტალის-sportstat.gov.ge განახლებული მონაცემები.

3. **თუ არსებობს პოლიტიკური დამოკიდებულება სკოლების სასპორტო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით.**

სამინისტროს პოზიცია:

- სასკოლო სპორტი წარმოადგენს მასობრივი სპორტის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას.
- სამინისტროს მიერ აღიარებულ სპორტულ ორგანიზაციებში ერთ-ერთი არის ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია, რომელიც ეროვნულ დონეზე სრულად პასუხისმგებელია სასკოლო სპორტის განვითარებაზე. თუმცა ეს არ უკავშირდება სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს (ამას კურირებს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო), ეს არის სასკოლო საშეჯიბრო და საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა სახელმძღვანელოების და ბროშურების გამოცემას სპორტის, ფიზიკურ აქტივობასა და ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშრებით. ასევე, ამ ორგანიზაციის მიერ იმართება სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, რომელიც ყოველ წელს ტარდება და რომელშიც დაახლოებით 1 700-მდე სკოლის 100 000-მდე ბავშვია ჩართული.

4. **არსებობს თუ არა რაიმე ახალი მოთხოვნა სკოლებისათვის ტერიტორიული კუთხით.**

სამინისტროს პოზიცია:

- ახალ საავტორიზაციო მოთხოვნებში განსაზღვრულია თუ რა პარამეტრებს უნდა აკმაყოფილებდეს სკოლა, მათ შორის სასპორტო ინფრასტრუქტურის ნაწილში.
- სასკოლო სპორტული ოლიმპიადის კუთხითაც სასურველია გათვალისწინებული იყოს მოედნები, რამეთუ ახალი სკოლების შემთხვევაში ეს აუცილებელი მოთხოვნაცაა რასაც არეგულირებს კანონი. შარშან უკვე მიმდინარეობდა მუშაობა ავტორიზაციის სავალდებულო მოთხოვნაზე.

5. **ქ. გორში სპორტული და ექსტრემალური ტურიზმის განვითარების პოტენციალი ყოფილი ბრაუნფილდების ტერიტორიაზე;**

სამინისტროს პოზიცია:

- ოთხი წლის წინ დაინერგა სპორტული ორგანიზაციების აღიარების სისტემა, რაც გულისხმობს რომ გარკვეული კრიტერიუმების ფარგლებში სამინისტრო თანამშრომლობს გარკვეულ სპორტულ ორგანიზაციებთან. ასეთი 82 სპორტული ორგანიზაციაა - ოლიმპირი კომიტეტი, პარალიმპიური კომიტეტი, ფედერაციები, ასოციაციები და კავშირები, რომლებშიც არ შედის ისეთი ექსტრემალური სპორტის სახეობა, როგორიცაა ე.წ. Off Road, რომელიც ჯერ ჯერობით ვერ აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რაც სამინისტროს მხრიდან აღიარებისთვის არის სავალდებულო.
- ექსტრემალური სპორტის სტატუსითაც, სამინისტრო იძლევა რეკომენდაციას, მაგრამ გადასაწყვეტია კონკრეტულად სპორტის რომელი სახეობები იქნება მისაღები კონკრეტული ლოკაციებისთის.
- ექსტრემალური სპორტის სახეობაა სკეიტბორდი, რომელსაც არ აქვს გარემოზე დამაზიანებელი შედეგი. სახეობა პირველად შევიდა ოლიმპიურ პროგრამაში. იმედი

გვაქვს 2020 წელს იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გასამართ ოლიმპიადაზე მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქართველი სკეიტბორდის სპორტსმენებიც. ასევე საინტერესო იქნება ველოსპორტის სახეობა ე.წ. MBX.

- სამინისტრომ მუნიციპალიტეტს მიაწოდა რეკომენდაცია, ითანამშრომლოს მხოლოდ სამინისტროს მიერ აღიარებულ სპორტულ ორგანიზაციებთან (ფედერაციები, ასოციაციები, კავშირები, კომიტეტები და სხვა) ან მასში შემავალ რეგიონულ ორგანიზაციებთან.
- გორში არ არის სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნის რესურსი, შესაძლებელია, რომ წინასწარ შერჩეულ ფედერაციას დროებით სარგებლობაში გადაეცეს მიწის ფართი შემდგომი განვითარებისთვის.
- სამინისტროს მხრიდან გამოითქვა მზაობა, რომ საპროექტო ჯგუფს მიეწოდება სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების ნუსხა.
- ასევე გამოითქვა მზაობა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაეხმარება საპროექტო ჯგუფს შესაბამის სპორტის ფედერაციასთან შეხვედრის ორგანიზებაში.

6. **ქ. გორის სპორტულ ქალაქად ჩამოყალიბების შესაძლებლობა;**
   სამინისტროს პოზიცია:
   - ქალაქ გორისთვის სპორტული ქალაქის სტატუსის მინიჭების იდეა მისაღებია, რასაც ასევე ხელს შეუწყობს ახლად მშენებარე სპორტის სასახლე. ასევე, სამომავლოდ საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობა დაეხმარება გორს ამ სტატუსის მიღებაში, რაც ასევე განაცხადის წარდგენის შემდეგ ფასდება შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული კომისიის მიერ.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერებით ადასტურებენ შეხვედრის მონაწილეები:

ელენა დარჯანია
პროექტის ხელმძღვანელი,
მთავარი ქალაქმგეგმარებელი

გოგი აბაშიძე
კონსულტანტი

ნინო ხოსიტაშვილი
მხარეთა შორის ურთიერთობის
უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

ვასილ ლიპარტელიანი
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
განვითარების სამმართველოს უფროსი

სხდომის ოქმი №1

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 26 ოქტომბერი 15:00 საათი

უზნაძის N52, თბილისი

სართული III, ბიბლიოთეკა

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

სამინისტროს მხრიდან:

ზურაბ ხუციშვილი - უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი

დიმიტრი ფურცელაძე - სამშენებლო-საპროექტო სამსახურის არქიტექტორი, სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო

მარიამ გილაშვილი - სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი

იოსებ სალუქვაძე - კონსულტანტი ურბანული განვითარების, სოციალურ-გეოგრაფიული და სტრატეგიული დაგეგმარების საკითხებში

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება სამინისტროს მხრიდან შეხვედრის მონაწილეებს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

სამინისტროს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ გაეცნენ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მიერ შეხვედრამდე გაგზავნილ საპროექტო მასალებს.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. **ახალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების განთავსება ქ. გორის ტერიტორიაზე.**
   სამინისტროს პოზიცია:
   - სასკოლო ობიექტებზე მოთხოვნა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან. თუმცა, მომავალში ახალი სკოლების მშენებლობისათვის საჭირო მიწის რესურსი გასათვალისწინებელია. ამ თვალსაზრისით, რადგანაც დღეს შეუძლებელია ზუსტი პროგნოზირება, როდის აშენდება ახალი სკოლები, შესაძლებელია ახალი მიწის ნაკვეთების შერჩევა და მათი დროებითი დატვირთვა სხვა ფუნქციებით.
   - ავარიული შენობის შემთხვევაში, შეიძლება დაიგეგმოს მისი რეაბილიტაცია და ამავდროულად შენობის ფართის გაზრდა შენობის მიმატების გზით. ამ ეტაპზე არსებობს მხოლოდ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სარეაბილიტაციო საქმიანობისთვის.

2. **საჯარო სკოლისა და საბავშვო ბაღის ტერიტორიის ფართობის საანგარიშო მონაცემი ერთ მოსწავლეზე/აღსაზრდელზე.**
   სამინისტროს პოზიცია:
   - აღინიშნა, რომ სკოლის მიხედვით 1 მოსწავლეზე გათვლილია 4 კვ/მ, სადაც ასევე იგულისხმება სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი და სასადილო სივრცე.
   - გათვლების მიზნით, სამინისტრო ამ ეტაპზე ისევ ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის სნიპებით.
   - სკოლის ბაზაზე სასკოლო მზაობის ცენტრების შექმნის შედეგად, სასკოლო ფართის ზრდის პროცენტული მაჩვენებელი დამოკიდებულია ბავშვების რაოდენობაზე, ამისთვის ჯერ რაიმე სტანდარტი არ არსებობს.

3. **სკოლამდელი აღზრდის ობიექტების განთავსება ქ. გორის ტერიტორიაზე.**
   სამინისტროს პოზიცია:
   - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლამ (ISET) განახორციელა **'სკოლამდელი განათლების სტანდარტების და ავტორიზაციის პროცედურების განფასების კვლევა"**, მათ შორის გორშიც. აღნიშნული კვლევის მიხედვით, გორში არსებობს სულ 185 ჯგუფი და კიდევ საჭიროა დამატებით 100 ჯგუფის გახსნა. თუმცა, აუცილებელია ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან შეთანხმება, არის თუ არა შესაბამისი ფინანსური რესურსი აღნიშნული საჭიროების მიუხედავად.
   - ბაღებში ბავშვთა რაოდენობის გადაჭარბების ერთ-ერთ მიზეზს ბაღის შენობებში საცხოვრებლად მყოფი დევნილები (ან იძულებით გადაადგილებული პირები) წარმოადგენენ, რაზეც საპროექტო ჯგუფმა აღნიშნა, რომ შესაბამის სამინისტროსთან და

მუნიციპალური განვითარების ფონდთან შეხვედრებისას გამოიკვეთა ამ პრობლემის მოგვარების საკითხი - იძულებით გადაადგილებულ პირთათვის 480 აშენებული ბინით.

- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის მიხედვით, გათვალისწინებულია ხუთი ტექნიკური რეგლამენტის შემუშავება. აქედან ოთხი უკვე მიღებულია და დარჩენილია მხოლოდ ინფრასტრუქტურის ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც არეგულირებს სკოლამდელი აღზრდის ობიექტების შენობა-ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურულ საკითხებს.
- საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ბავშვების სასკოლო მზაობის ხელშესაწყობად შესაძლებელია, სკოლის ბაზაზე სასკოლო მზაობის ცენტრების გახსნა. რამდენიმე ასეთი ცენტრი უკვე არსებობს გორის მუნიციპალიტეტში. ასეთი ცენტრების განთავსება შესაძლებელია სკოლის ბაზაზე, ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ შენობაში, რომელიც შესაბამის სტანდარტებს დააკმაყოფილებს. შესაძლებელია, რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით, სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის გაიხსნას შესაბამისი ცენტრები, რაც გამოათავისუფლებს ბაღში უფროსი ასაკის ჯგუფებს და ახალი ბაღების მშენებლობა აღარ იქნება აუცილებელი. სკოლის ბაზაზე ასეთ ცენტრებს შესაძლოა ქონდეთ იზოლირებული შესასვლელი და საპირფარეშო, რომელიც გულისხმობს მხოლოდ 3 საათიან დატვირთვას კვების გარეშე.
- გორის მუნიციპალიტეტის განათლების სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი საბავშვო ბაღების სააგენტო, ნინო ბერიანიძის ხელმძღვანელობით დახმარებას გაუწევს საპროექტო ჯგუფს საჭირო ინფორმაციის მიღებაში.

4. **რამდენიმე სკოლა და სათამაშო მოედანი ხვდება მაღალი ძაბვის გადამცემი ბაზების ზონაში. თუ არის შემუშავებული რაიმე სტანდარტი ამ კუთხით.**

სამინისტროს პოზიცია:

- აღინიშნა, რომ შესაძლოა ენერგო პრო ჯორჯიას ქონდეს გარკვეული სტანდარტი ამ საკითხთან დაკავშირებით.
- საპროექტო ჯგუფმა გამოთქვა მზაობა, რომ აღნიშნული სკოლების მითითებით სამინისტროს წარმომადგენლებს გადაეგზავნებათ რუკა.

5. **თუ არსებობს რაიმე სტრატეგია ან ხელშეწყობა საოკუპაციო ხაზთან სოფლების დაცლის თავიდან აცილების მიზნით.**

სამინისტროს პოზიცია:

- აღნიშნული სოფლებიდან სტუდენტები ფინანსდებიან სოციალური პროგრამების ფარგლებში.
- ასევე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის მოქმედებს სპეციალური პროგრამები.

6. **უმაღლესი განათლების ობიექტები.**

სამინისტროს პოზიცია:

- უმაღლესი განათლების ობიექტების დამატებით განთავსება ამ ეტაპზე საჭიროებას არ წარმოადგენს.
- რეკომენდირებულია, საპროექტო ჯგუფი დაუკავშირდეს უშუალოდ უნივერსიტეტებს მათი მოთხოვნების გასაზიარებლად.

7. **შიდა ქართლისთვის ხომ არ არსებობს პროფესიული განვითარების პროგრამა, რაც აუცილებელს გახდის დამატებითი ობიექტისთვის მიწის რესურსის გათვლას.**

სამინისტროს პოზიცია:

- რჩევის სახით აღინიშნა, რომ საპროექტო ჯგუფმა იხელმძღვანელოს რეგიონული სტრატეგიებით.
- საპროექტო ჯგუფმა დააფიქსირა სურვილი, რომ, ამ მიმართულებით, რაიმე ახალი პროექტის ან პროგრამის მიღების შემთხვევაში, მოხდეს საპროექტოს ინფორმირება.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერებით ადასტურებენ შეხვედრის მონაწილეები:

ელენა დარჯანია
პროექტის ხელმძღვანელი,
მთავარი ქალაქმგეგმარებელი

იოსებ სალუქვაძე
კონსულტანტი ურბანული განვითარების,
სოციალურ-გეოგრაფიული და სტრატეგიული
დაგეგმარების საკითხებში

ნინო ხოსიტაშვილი
მხარეთა შორის ურთიერთობის
უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

ზურაბ ხუციშვილი
უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების
დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი

დიმიტრი ფურცელაძე
სამშენებლო-საპროექტო სამსახურის არქიტექტორი,
სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის სააგენტო

მარიამ გილაშვილი
სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის
უფროსი სპეციალისტი

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის
გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 1 ნოემბერი 15:00 საათი

ორთაჭალა, თბილისი

სახანძრო ნაწილის შენობა, სართული III

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან:

შალვა გიგაური - შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს კოორდინაციის განყოფილების უფროსი ინსპექტორი

ლეონილა წაქაძე - ზედამხედველობის დეპარტამენტის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის პოლიტიკის დაგეგმვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

მიხეილ რთველაძე - ზედამხედველობის დეპარტამენტის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის პოლიტიკის დაგეგმვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი

გოგი აბაშიძე - კონსულტანტი

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან შეხვედრის მონაწილეებს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

საგანგებო სამსახურის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ გაეცნენ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მიერ შეხვედრამდე გაგზავნილ საპროექტო მასალებს.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. ქ. გორში სახანძრო-სამაშველო სამსახურის ახალი ობიექტების განთავსების საჭიროება, მოთხოვნები და სტანდარტები
   სამსახურის პოზიცია:
   - სახანძრო-სამაშველო მომსახურების მხრივ, ინფრასტრუქტურის გაუმართაობის/დეფიციტის პრობლემა მთელ საქართველოშია, მათ შორის გორშიც. დღეს ქალაქ გორის ტერიტორიაზე არის მხოლოდ ერთი დეპო.
   - აუცილებელია მიწის რესურსის გათვლა ახალი პუნქტების განსათავსებლად მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. საპროექტო ჯგუფი პროექტირების მომდევნო ეტაპზე კვლავ გაივლის კონსულტაციას სამსახურთან. შესაძლებელია, აუცილებელი იყოს საველე გასვლის ორგანიზებაც, მიწის ნაკვეთის შესარჩევად.
   - ყველა სახანძრო ნაწილი 10 წუთის სავალზე უნდა იყოს განთავსებული ობიექტამდე.
   - განაშენიანების დაგეგმვისას აუცილებელია სახანძრო-სამაშველო მანქანებისთვის კორპუსამდე მისასვლელი გზების სწორი დაგეგმარება და კორპუსებს შორის სათანადო მანძილის გათვალისწინება.
   - ჰიდრანტის განთავსების სტანდარტიდან გამომდინარე, აუცილებელია ამ სტანდარტების დაცვა წყალ გაყვანილობის ქსელის დაგეგმარებისას, რომელიც შესაბამისად აისახება მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში - ჰიდრანტი არ უნდა იყოს განთავსებული ქუჩის შუაში ან მანქანების სავალზე და სადგომზე. მასთან მიწვდომადობა აუცილებელია დროის ნებისმიერ მონაკვეთში.
   - პროექტირების მომდევნო ეტაპებზე, საპროექტო ჯგუფი სამსახურს მიაწვდის ძირითადი საინჟინრო ქსელების სქემას.

2. არსებობს რაიმე ახალი სამოქმედო სტანდარტი, თუ არსებული სნიპებით იხელმძღვანელოს საპროექტო ჯგუფმა.
   სამსახურის პოზიცია:
   - სამსახურმა საპროექტო ჯგუფს ელექტრონული სახით მიაწოდა სახელმძღვანელო ნორმები, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა შეირჩეს მიწის ნაკვეთები ახალი დეპოს განსათავსებლად.

3. გზების კატეგორიების ცვლილების საჭიროება.
   სამსახურის პოზიცია:
   - გზის კატეგორიაზე რაიმე კონკრეტული მოთხოვნა არ არსებობს. მთავარია გზა იყოს მინიმუმ მოხრეშილ მდგომარეობაში, რომ არ შეფერხდეს მანქანების მისვლადობა ნებისმიერ ამინდში.
   - აღნიშნულთან დაკავშირებით, საპროექტო ჯგუფმა გამოთქვა მზაობა, რომ სამსახურს მიეწოდება საგზაო მონახაზი, რომელიც შემუშავდება საპროექტო ჯგუფის მიერ.

ზოგადი რეკომენდაციები და განხილული საკითხები სამსახურის მხრიდან:

- გამოითქვა ინტერესი, გორში განაშენიანების სართულიანობის შესახებ, რაზეც საპროექტო ჯგუფმა განსაზღვრა შემდეგი: გორში ძირითადად იქნება საშუალო და დაბალი განაშენიანება, ხოლო იქ სადაც უკვე ჩამოყალიბებულია უბნები კორპუსების სახით, განესაზღვრება 8-9 სართულის სიმაღლის (30 მ) მაღალი განაშენიანება.
- გამოითქვა ინტერესი, გორში სამრეწველო ზონის არსებობის შესახებ, რაზეც საპროექტო ჯგუფმა განსაზღვრა შემდეგი: კვლევების საფუძველზე ამ ეტაპზე, გორში ახალი სამრეწველო ზონების საჭიროება არ არის. თუ მოთხოვნა გაჩნდება, ეს დაკმაყოფილდება ყოფილი საწარმოო ტერიტორიებით.
- სამსახურის მხრიდან აღინიშნა, რომ ქ. გორის ერთ-ერთ კულტურულ უბანში (წერეთლის ქუჩა) განხორციელდა ახალი გზის დაგება, რის გამოც ქუჩაზე არსებული ჰიდრანტი გზის ქვეშ მოექცა. მსგავსი შემთხვევის სიხშირიდან გამომდინარე, სულ არსებული 40 ჰიდრანტიდან მოიძებნა მხოლოდ 23, რომელთაგან ზოგი მუშა მდგომარეობაშია და ზოგს წნევა არ ყოფნის.
- გაზის და დენის განთავსების ადგილთან დაკავშირებით, საპროექტო ჯგუფმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციის სახით მათი განთავსებისთვის განისაზღვრება მიწისქვეშა განლაგება.
- ბუნებრივი აირის გამანაწილებლის განთავსების თაობაზე, საპროექტო ჯგუფმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი გადაწყდება გორში გაზის მიმწოდებელთან-„სოკართან" კონსულტაციების შემდეგ.
- სასწრაფო და სახანძრო დანიშნულების ობიექტების განთავსებასთან დაკავშირებით, საპროექტო ჯგუფმა აღნიშნა, რომ სასწრაფოს დეპო განთავსებული იქნება ცალკე, გორში მათ მიერ უკვე შერჩეულ ადგილას.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერებით ადასტურებენ შეხვედრის მონაწილეები:

შალვა გიგაური
შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის
მთავარი სამმართველოს კოორდინაციის
განყოფილების უფროსი ინსპექტორი

ლეონილა წაქაძე
ზედამხედველობის დეპარტამენტის სახელმწიფო
სახანძრო ზედამხედველობის პოლიტიკის დაგეგმვის
სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

მიხეილ რთველაძე
ზედამხედველობის დეპარტამენტის სახელმწიფო
სახანძრო ზედამხედველობის პოლიტიკის დაგეგმვის
სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

ელენა დარჯანია
პროექტის ხელმძღვანელი,
მთავარი ქალაქმგეგმარებელი

გოგი აბაშიძე
კონსულტანტი

ნინო ხოსიტაშვილი
მხარეთა შორის ურთიერთობის
უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს - სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის
გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 31 ოქტომბერი 10:00 საათი

სანაპიროს N4, თბილისი

სართული II, სათათბირო დარბაზი

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

სააგენტოს მხრიდან:

დემნა ხელაია - სააგენტოს უფროსის მოადგილე

ანა გემაზაშვილი - სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი

გოგი აბაშიძე - კონსულტანტი

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) - სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს მხრიდან, იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება სააგენტოს მხრიდან შეხვედრის მონაწილეებს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

სააგენტოს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ გაეცნენ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ შეხვედრამდე გაგზავნილ საპროექტო მასალებს.

1. **ქ. გორის ტერიტორიაზე სასაკლაოების, სამაცივრე მეურნეობის მოწყობის საჭიროების შესახებ. დადებითი პოზიციის დაფიქსირების შემთხვევაში, სააგენტოსთან კონსულტაციის გავლის შემდგომ, შეირჩევა კონკრეტული ტერიტორი(ებ)ი ასეთი პოლიგონის სამომავლო მოწყობისთვის.**

სურსათის ეროვნული სააგენტოს პოზიცია:

- მაცივრების მოწყობასთან დაკავშირებით სახელმწიფო გეგმები უცნობია სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის.
- აღინიშნა, რომ ქალაქის ცენტრში არ შეიძლება სასაკლაოს მოწყობა. მისი განთავსება შესაძლებელია მხოლოდ ქალაქის გარეთ, თუმცა ლოგიკური დაშორებით ქალაქიდან მოხმარებისა და მიწვდომადობის თვალსაზრისით.
- სასაკლაოს და ფერმის მოწყობისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ქარის მიმართულება.
- აუცილებელია სანიტარულ-დამცავის ზონების გათვალისწინება კერძო და სახელმწიფო საკუთრების შემთხვევაში.

2. **არსებობს თუ არა რაიმე სტანდარტი ფერმის შემთხვევაში. რა რაოდენობის სულადობა განსაზღვრავს მის სტატუსს. რაიმე რეკომენდაცია ფერმასთან დაკავშირებით ზონების თვალსაზრისით.**

სურსათის ეროვნული სააგენტოს პოზიცია:

- ოჯახურ და ფერმერულ მეურნეობებს შორის, ქალაქ გორში უმეტესად ადგილი აქვს ოჯახურ წარმოებას.
- საქართველოს კანონის „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის" მიხედვით, ოჯახური წარმოება არის არაორგანიზებულად ან პირადი მოხმარების მიზნით სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება ან პირველადი წარმოება, ხოლო ოჯახური წარმოების სუბიექტი არის ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკების წარმოებას ან/და პირველად წარმოებას არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით. აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სახელმწიფო კონტროლი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც წარმოადგენენ ოჯახური წარმოების სუბიექტებს.
- აღნიშნული კანონი ადგენს მოთხოვნებს სურსათის /ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში.

3. **ზოგადად, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა იძლევა გარკვეული რეგულაციების შემოღების შესაძლებლობას. ხომ არ არის აღნიშნულის საჭიროება, რომლითაც დადგინდება კონკრეტული ტერიტორიული განსაზღვრება ფერმერული საქმიანობის დასადგენად ნაკვეთების ფართობის მიხედვით. როგორია სურსათის ეროვნული სააგენტოს პოზიცია ახალი ზონის საჭიროებასთან დაკავშირებით ოჯახური მეურნეობისთვის, სამომავლოდ ქალაქის ცენტრში არარეგულირებადი სამეურნეო საქმიანობის თავიდან აცილების მიზნით, მაშინ როდესაც ქ. გორს საქალაქო და კულტურული ტურიზმის პოტენციალი გააჩნია.**

სურსათის ეროვნული სააგენტოს პოზიცია:

- აღინიშნა, რომ ძალადაკარგულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 6 ოქტომბრის 234/ნ ბრძანება „საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონებისა და სანიტარიული კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ".

- საქართველოს კანონით „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“ განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ბიზნეს ოპერატორებზე - პირებზე, რომლებიც საქმიანობენ სურსათის /ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში, მათ შორის დარეგისტრირებულ ფერმერულ მეურნეობაზე და არ მოიცავს ოჯახური წარმოების სუბიექტს.
- სურსათის ეროვნული სააგენტო მიესალმება ისეთი მიდგომების შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს სასაკლაოსა და ფერმერული ობიექტების სწორად განთავსებას. სწორად რეგულირებული საქმიანობა მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ დღეს-დღეობით არ არსებობს კანონი, რომლითაც განისაზღვრება სულადობის მიხედვით საჭირო ფართის ოდენობა ფერმერული თუ ოჯახური მეურნეობისთვის, რაზეც საპროექტო ჯგუფმა აღნიშნა, რომ არსებული მდგომარეობა შესაძლოა დარეგულირდეს საპროექტო გადაწყვეტების ჭრილში.

4. **სააგენტოს დაგეგმილი ან მიმდინარე პროექტები, მათ შორის, სოფლის მეურნეობის მიმართულებით. საოკუპაციო ხაზთან მომიჯნავე სოფლების დაცლის თავიდან აცილების მიზნით საწარმოები უნდა განთავსდეს ქ. გორის მიმდებარე სოფლებში თუ ქალაქ გორში.**

სურსათის ეროვნული სააგენტოს პოზიცია:

- პირველადი წარმოების განთავსება ქალაქში დაუშვებელია.
- მეორადი წარმოება და სასათბურე მეურნეობა დასაშვებია ქალაქში.
- ამ ეტაპზე სააგენტოს არ აქვს რაიმე მიმდინარე ან დაგეგმილი პროექტი.
- დღეის მდგომარეობით სურსათის ეროვნული სააგენტო აკონტროლებს საწარმოო პროცესის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვას სასაკლაოს ტერიტორიის ფარგლებში. 2020 წლიდან 2026 წლამდე ეტაპობრივად ამოქმედდება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N 605 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის ცხოველური ნარჩენები) და მეურეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორების აღიარების წესების შესახებ“, რომელშიც მათ შორის გაწერილია მოთხოვნები ცხოველური ნარჩენების მართვის შესახებ სურსათის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში.
- სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ 2017 წლის 29 დეკემბრის N 605 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის ცხოველური ნარჩენები) და მეურეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორების აღიარების წესების შესახებ“ მიეწოდება საპროექტო ჯგუფს.

5. **სასაკლაოს ნარჩენების პოლიგონის მოწყობის სტანდარტი და მოსაზრება სამინისტროს მხრიდან.**

სურსათის ეროვნული სააგენტოს პოზიცია:

- აღინიშნა, რომ სასაკლაოს ნარჩენების პოლიგონის მოწყობის სტანდარტის შესახებ ინფორმაციას ფლობს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

6. ევროპასთან ინტეგრაციის ფარგლებში გასათვალისწინებელი რეგულაციები, რომლებიც ასახული უნდა იყოს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში. არსებობს თუ არა რაიმე მოსაზრება ევროპული სტანდარტების და ნორმების შესაბამისად.

სურსათის ეროვნული სააგენტოს პოზიცია:

- ევროპული სტანდარტებიდან გამომდინარე, ევროპაში სურსათის მწარმოებელი საწარმოებისათვის (სასაკლაოს გარდა) სანიტარიული დაცვის ზონების საჭიროება არ არსებობს.

7. თუ განხორციელებულა რაიმე კვლევა მოთხოვნებსა და საჭიროებებზე დონორი ორგანიზაციების მხრიდან.

სურსათის ეროვნული სააგენტოს პოზიცია:

- სურსათის ეროვნულ სააგენტო არ ფლობს ინფორმაციას აღიშნულ საკითხზე.
- რეკომენდაციის სახით საპროექტო ჯგუფს მიეწოდა გორში ადგილობრივი კვალიფიციური წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც შესაბამის კონსულტაციებს გაუწევს საპროექტო ჯგუფს.

ზოგადი რეკომენდაციები საპროექტოს ჯგუფის მხრიან:

- საპროექტო ჯგუფმა გამოთქვა მზაობა, პროექტის ფარგლებში, ითანამშრომლოს სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან და აღნიშნა, რომ უცხოური მაგალითების საფუძველზე, საპროექტო არეალში, შესაძლოა მოხდეს აღნიშნული საქმიანობის ადაფტირებული მაგალითების განსაზღვრა და მიწოდება სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის.
- საპროექტო ჯგუფმა აღნიშნა, რომ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმას (მგგ) შეუძლია შეუსაბამო ობიექტების გამოვლენა და მაკორექტირებელი ღონისძიებების განსაზღვრა რეკომენდაციის სახით.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერებით ადასტურებენ შეხვედრის მონაწილეები:

დემნა ხელაია
სააგენტოს უფროსის მოადგილე

ანა გემაზაშვილი
სურსათის უვნებლობის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ელენა დარჯანია
პროექტის ხელმძღვანელი,
მთავარი ქალაქმგეგმარებელი

გოგი აბაშიძე
კონსულტანტი

ნინო ხოსიტაშვილი
მხარეთა შორის ურთიერთობის
უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის

გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 29 ნოემბერი 16:00 საათი

ინგოროყვას N7, თბილისი

სართული III

სხდომას უძღვებოდა: კონსულტანტი - გოგი აბაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ:

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხრიდან:

გიორგი თუმანიშვილი - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან:

გოგი აბაშიძე - კონსულტანტი

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხრიდან იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხრიდან შეხვედრის მონაწილეს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

შეხვედრამდე, ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველომ“ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს მიაწოდა საპროექტო მასალები.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. **გამომდინარე იქედან, რომ გორი ცხელ წერტილს წარმოადგენს, ქ.გორის განვითარებამ შეიძლება ხელი შუწყოს საოკუპაციო პროცესებსა და მიმდებარე სოფლების დაცარიელებას. როგორია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით.**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლის პოზიცია:

- 2013 წლის მთავრობამ შექმნა ე.წ. გამყოფი ხაზების მიმდებარე დაზარალებული სოფლების კომისია, რამაც არაერთ სოციალურ საჭიროებას უპასუხა.
- მთავრობა ამჟამად მუშაობს გამყოფი ხაზების მიმდებარე რეგიონების განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ სტრატეგიაზე, რომელიც 2019 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს. მისი მიზანია რეგიონების ინფრასტრუქტურულად გაძლიერება, რათა არ მოხდეს რეგიონის დაცარიელება.
- მთავარია ოქროს შუალედის დაცვა - ქ. გორმა უნდა შეინარჩუნებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები, თუმცა ეს არ უნდა გახდეს მიმდებარე სოფლების დაცარიელების მიზეზი.
- ინფრასტრუქტურული და სოციალური განვითარების მიმართულებით სამინისტრო მაქსიმალურად ეწევა დაბრუნების პოლიტიკას, თუმცა ეს ვერ იქნება ძალდატანებითი პროცესი. გორში ბევრი იძულებით გადაადგილებული პირია არა მხოლოდ გამყოფი ხაზიდან, არამედ ოკუპირებული ტერიტორიიდანაც.
- შესაძლოა იძულებით გადაადგილებულმა ყველა ოჯახმა არ ისურვოს საკუთარ სახლებში დაბრუნება, ამ შემთხვევაში შესაძლოა მათ კუთვნილ სახლებს, არსებობის შეთხვევაში, მიეცეთ საზაფხულო აგარაკის ან დამხმარე ნაგებობის ფუნქცია.

2. **იძულებით გადაადგილებულ პირთა ცალკე ტიპის დასახლებად გამოყოფა მიუღებელია ქალაქგეგმარებითი კუთხით. როგორია თქვენი პოზიცია მათთვის საკუთრებაში გადაცემული სახლების ცალკე ტიპის დასახლებად გამოყოფასთან დაკავშირებით.**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლის პოზიცია:

- რთულია ცალსახად იმის თქმა, თუ როგორია სახელმწიფო პოლიტიკა იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრებაში გადაცემული სახლების ცალკე ტიპის დასახლებად გამოყოფასთან დაკავშირებით.
- ცხადია, რომ დროებითი დასახლებების არსებობას გარკვეული სიმბოლური დატვირთვა აქვს - ეს ყოველთვის უსვამს ხაზს დევნილების არსებობას და შესაბამის ქმედით ნაბიჯებს მოითხოვს.
- სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებაზე, სწორედ ამ მიზნით აშენდა დროებითი დასახლებები.
- საპროექტო ჯგუფმა მიიღო რჩევა, რომ აღნიშნულ საკითხებზე მოხდეს კონსულტირება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, რაზეც საპროექტო ჯგუფმა განმარტა, რომ შეხვედრა შედგა როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ასევ მუნიციპალური განვითარების ფონდთან.

3. **იძულებით გადაადგილებულ პირებმა მოითხოვეს დამოუკიდებელი სასაფლაოს გამოყოფა, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ ეზღუდებათ გორის სასაფლაოთი სარგებლობა. ასეთი ობიექტების გაჩენამ შესაძლოა კიდევ უფრო გაართულოს მათი დაბრუნების საკითხი. როგორია თქვენი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით.**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლის პოზიცია:

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლის თქმით, ამის ალტერნატივაა მათი საკუთარ სახლებში დაბრუნება, თუმცა მდგომარეობა რთულია, ტერიტორია ოკუპირებულია.
- თუმცა, სამინისტროში ასევე მოიაზრებენ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ცალკე სასაფლაოს არსებობასაც, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ ეზღუდებათ გორის სასაფლაოთი სარგებლობა.
- საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს არ გააჩნია მკაფიო პოზიცია.

4. **როგორია თქვენი მოსაზრება გორში სტრატეგიულ ობიექტებთან დაკავშირებით; ქ. გორში არის სამხედრო პოლიგონი-სასროლეთი. მის გადატანასთან დაკავშირებით თუ არის გარკვეული პოზიცია.**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლის პოზიცია:

- უწყებაში ეს საკითხი არ განხილულა, ეს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული საკითხია. თუმცა წარმომადგენლის მხრიდან აღინიშნა, რომ ქალაქში მსგავსი ობიექტების არსებობა სოციალურად პრობლემურია და თუ მათი ასეთი განლაგებისათვის არ არსებობს სტრატეგიული აუცილებლობა, მნიშვნელოვანია მათი გადატანა.

5. **2006 წელს არსებობდა სტრატეგია სასაზღვრო ტერიტორიების განვითარებასთან დაკავშირებით, რომელიც დღეს აღარ არის მოქმედი. ხომ არ არის ახალი სტრატეგია აღნიშულ საკითხებზე.**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლის პოზიცია:

- მთავრობა ამჟამად მუშაობს გამყოფი ხაზების მიმდებარე რეგიონების განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ სტრატეგიაზე, რომელიც დასრულდება 2019 წლის ბოლოს. სტრატეგია მიზნად ისახავს ინფრასტრუქტურულ განვითარებას, ბიზნესის წახალისებას და სხვადასხვა სოციალურ საკითხებს. სტრატეგიული ობიექტების განთავსების საკითხზე მასში აქცენტი არ არის გაკეთებული.
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხრიდან გამოითქვა მზაობა, საპროექტო ჯგუფს მიეწოდოს გამყოფი ხაზების მიმდებარე რეგიონების განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ სტრატეგის პირველადი მონახაზის სამუშაო ვერსია.

6. ხომ არ არის იმის მოთხოვნა, რომ ქ. გორმა უზრუნველყოს საკვები პროდუქტების გადამუშავება, როგორც ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მიმართულება.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლის პოზიცია:

- ამ ეტაპზე არ არის ასეთი მოთხოვნა, თუმცა რა თქმა უნდა მისაღებია თუ ეს იქნება დამატებითი განვითარების მიმართულება.

7. დღის წესრიგში თუ დგას ტურისტულ განვითარებასთან დაკავშირებული საფრთხეების განხილვა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლის პოზიცია:

- დღეს-დღეობით, მნიშვნელოვანი სოციალური საჭიროებების ფონზე, ეს საკითხი ჯერ არ განხილულა.

8. როგორია თქვენი მოსაზრება ხიდების საჭიროებასთან დაკავშირებით.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლის პოზიცია:

- ეს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული საკითხია.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერებით ადასტურებენ შეხვედრის მონაწილეები:

გოგი აბაშიძე
კონსულტანტი

ნინო ხოსიტაშვილი
მხარეთა შორის ურთიერთობის
უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

გიორგი თუმანიშვილი
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი,
ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 22 ოქტომბერი 16:00 საათი

მარშალ გელოვანის გამზირი N2, თბილისი

სამინისტროს ცენტრალური შენობა, სართული II, სათათბირო დარბაზი

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

სამინისტროს მხრიდან:

თეონა ცოცხალაშვილი - მიწათსარგებლობის სამმართველოს (უფროსის მოადგილე) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ალექსანდრე მინდორაშვილი - წყლის სამმართველოს (მთავარი სპეციალისტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

თემურ პაიჭაძე - ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

თამარ ხმალაძე - მიწათსარგებლობის სამმართველოს უფროსი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი

მამუკა სალუქვაძე - ორგანიზაციის დირექტორი, ექსპერტი გარემოს დაცვის საკითხებში

სოფიო თოდუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო), იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება სამინისტროს მხრიდან შეხვედრის მონაწილეებს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

სამინისტროს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ გაეცნო „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მიერ შეხვედრამდე გაგზავნილ საპროექტო მასალებს.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. **შეტბორვითი არეალები და წყალდაცვითი ზოლების, სააუზო მართვის სქემის შესახებ მწირი ინფორმაციის გამო,** საპროექტო ჯგუფი მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოადგენს საორიენტაციო ზონებს, რომლის გამოსაყენებლად გამოიყენებს შესაბამის მეთოდებს - საველე აზომვით სამუშაოებსა და ჰიდროლოგიურ გაანგარიშებას. ღონისძიების მიზანია, შეზღუდოს მდინარეების გასწვრივ არასასურველი ანთროპოგენული ზემოქმედება და ხელი შეუწყოს წყლის რესურსების დაცვასა და რაციონალურად გამოყენებას. მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმას, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, აქვს შესაძლებლობა **დააზუსტოს შეზღუდვით ზონებში საქმიანობების სახეობები,** მათ შორის შემოიღოს შესაბამისი **შეზღუდვითი ზონა** საორიენტაციო წყალდაცვითი არეალებში მიწის გამოყენების სამართავად. ასევე, საპროექტო ჯგუფი იყენებს **70 წლებში მომზადებულ საინჟინრო-გეოლოგიურ რუკას,** სადაც გამოკვეთილია სამშენებლოდ სამიში ერთი უბანი კვერნაკის ფერდობზე, რაც შეზღუდვის სახით იქნება ასახული. სხვა დამატებით გეოლოგიური კელევებს საპროექტო ჯგუფი ვერ აწარმოებს.

სამინისტროს პოზიცია:

- საპროექტო ჯგუფს გააცნო საქართველოს 2014 წლის 18 ივნისის N408 დადგენილება - საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლოს სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ. ამდენად, რაიმე ტექნიკური რეგლამენტების არ არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას 1992 წლამდე მოქმედი და შემდგომ პერიოდში მოდიფიცირებული სამშენებლო ნორმები და წესები, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტები.

- სააუზო მართვის გეგმების შესახებ - ასეთი გეგმების მომზადების მეთოდოლოგია ჯერ არ არის საბოლოოდ შემუშავებული, ამდენად, ამ მიმართულებით, შეუძლებელია საპროექტო რეკომენდაციების გაცემა „წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონპროექტის და ამ საკითხთან დაკავშირებული შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მიღებამდე.

- საპროექტო ჯგუფმა, წყალდაცვითი ზოლების დასადგენად, უნდა იხელმძღვანელოს წყლის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით. არსებობს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული "წყალდაცვითი ზოლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტი.

- ინფორმაციას არსებულ სიტუაციაზე ფლობს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

2. **სასაფლაოს ბუფერი,** როგორც წესი, მტკიცდება საკრებულოს მიერ. საქართველოში არსებული პრაქტიკით, ქ. გორის მსგავსი სასაფლაოებისათვის რიგ ქალაქებში დამტკიცებულია 100 მეტრიანი ბუფერი. გორის მუნიციპალიტეტს მსგავსი რეგულაცია არ გააჩნია. ამასთან, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესები სხვა პარამეტრებს გვთავაზობენ (300 მ.) ამასთან, იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთ-ერთი დასახლების მიმდებარედ წარმოიშვა „თვითნებური" სასაფლაო, რომელიც საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ გარემოს.

სამინისტროს პოზიცია:

- მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ქალაქს აქვს მიღებული/დადგენილი თავიანთი ნორმატიული აქტი ადგილობრივი სასაფლაოების მოწყობის შესახებ, შესაძლებელია, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომაც მიიღოს დადგენილება, რომლითაც ამ საკითხს დაარეგულირებს და რომლის საფუძველზედაც შეჩერდება იძულებით გადაადგილებულ პირთა სასაფლაოს გაფართოება.

3. **გორის მუნიციპალური ნაგავსაყრელის** სტატუსი ჯერ ისევ გაურკვეველია. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მას ეკუთვნის 500 მეტრიანი ბუფერი. თუმცა, პოლიგონი დღეს გამოიყენება არამხოლოდ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის, არამედ სხვა, მათ შორის საშიში ნარჩენებისთვისაც. დასადგენია, არსებობს თუ არა დასახელებული პარამეტრის (500 მ.) გამკაცრების აუცილებლობა.

სამინისტროს პოზიცია:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებით, საპროექტო ჯგუფმა გაიაროს კონსულტაციები ქ-ნ ნანა გაბრიაძესთან, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.
- ნაგავსაყრელის განვითარებასთან დაკავშირებით საპროექტო ჯგუფმა მიმართოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს.

4. **ყოფილი საწარმოო ტერიტორიების (ე.წ. ბრაუნფილდების) ხელახალი გამოყენების შესაძლებლობა.** საბჭოთა დროს ქ. გორის ტერიტორიაზე მდებარეობდა რამდენიმე მსხვილი ინდუსტრიული საწარმო, რომლებიც დღეს აღარ ფუნქციონირებს და ე.წ. „ბრაუნფილდს" წარმოადგენს. აღნიშნული ტერიტორიების ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ, ინფორმაცია მწირია და არ იძლევა საშუალებას სრულყოფილად შეფასდეს დაბინძურების ხარისხი. ამასთან, გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ აქამდე წარმოებული კვლევები და გაზომვები არ მიმდინარეობდა განსახილველ არეალებში. ამდენად, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტსა და განაშენიანების რეგულირების წესების ფარგლებში, ბრაუნფილდების ხელახალი გამოყენების შემთხვევაში, შემუშავებული იქნება მითითება, რომ ამ ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა უნდა გაითვალისწინოს და, აუცილებლობის შემთხვევაში, აღმოფხვრას შესაძლო მავნე ზემოქმედება, რომელიც გამოწვეულია ყოფილი საწარმოო ფუნქციით.

სამინისტროს პოზიცია:

- 1990 წლამდე საარქივო მასალაში დაცულია საწარმოების შესახებ ინფორმაცია, რომელიც, შესაძლებელია გამოყენებული იყოს დაბინძურების ხარისხის დასადგენად. ასევე, არსებობს ნიადაგური კვლევების რუკა, რომელიც გაკეთდა KFW-ს ფარგლებში და შესაძლებელია აღნიშნული კვლევების მონაცემები ხელმისაწვდომ საპროექტო არეალში. ასევე შესაძლებელია, მუნიციპალიტეტმა განახორციელოს ახალი ნიადაგის კვლევა.
- შესაძლებელია, განაშენიანების რეგულირების წესების მეშვეობით დარეგულირდეს დამატებითი კვლევების წარმოების საჭიროება ახალი მშენებლობების შემთხვევაში.

5. **სოფლის მეურნეობის განვითარება** - გორის საპროექტო საზღვარში მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. არსებობს თუ არა სახელმწიფო პოლიტიკა მცირე ქალაქების ტერიტორიების ფარგლებში სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით, მათ შორის: არსებობს თუ არა რაიმე ახალი მოთხოვნები ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე; არის თუ არა რაიმე დაგეგმილი პროექტები სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის მოსაწყობად;

სამინისტროს პოზიცია:

- ამ თვალსაზრისით, საპროექტო ჯგუფმა უნდა იხელმძღვანელოს მოქმედი სტრატეგიული დოკუმენტებით, მათ შორის: „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020" და შიდა ქართლის რეგიონული განვითარების სტრატეგია". ასევე საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020. http://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/12
- სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, საპროექტო ჯგუფმა გაიაროს კონსულტაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს უფროსთან მამუკა ლომსაძესთან.
- არსებობს ტექნიკური რეგლამენტი ცხოველთა სასაკლაოების ტიპობრივი წესის შესახებ. ეს არის რეგიონებისთვის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა. ამ და სხვა საკითხებზე, მათ შორის სამაცივრე მეურნეობისადმი არსებული მოთხოვნები შესახებ ინფორმაციის მისაღებად, საპროექტო ჯგუფმა ასევე უნდა მიმართოს სურსათის უვნებლობის ეროვნულ სააგენტოს.
- სასურველია შპს საქართველოს მელიორაციის ჩართულობა სათაო საირიგაციო ნაგებობის და საირიგაციო სისტემის საკითხებთან დაკავშირებით.

6. **გარემოს კომუნალური წყლებით დაბინძურების** შემცირების მიზნით, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის ტერიტორიის შერჩევა ქ. გორის საზღვრებში ან რეკომენდაციის შემუშავება ასეთი ნაგებობის განთავსების მხრივ. ეს საკითხი გააზრებული უნდა იყოს არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ აგლომერაციულ დონეზე წყალარინების ქსელის განვითარების შესაძლებლობების შეფასებებთან ერთად. აღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ გორის მუნიციპალიტეტში შედის ის დასახლებები, რომლებიც საოკუპაციო ხაზთან მდებარეობენ და სადაც მოსახლეობის შენარჩუნება პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს. მათი საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება და მით უფრო საბაზო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა (წყალი, კანალიზაცია) პირველი რიგის ამოცანად მიიჩნევა.

სამინისტროს პოზიცია:

- უცნობია როგორია ქალაქის განვითარების პერსპექტივა. მართალია, დღეს ქალაქის მოსახლეობა შემცირებულია, თუმცა ეს შეიძლება დროებითი მოვლენა იყოს. ამიტომ, საინჟინრო ინფრასტრუქტურამ უნდა უპასუხოს მოსახლეობის სამომავლო ზრდას. აქვე გასათვალისწინებელია ტურისტული ნაკადებით გამოწვეული შესაძლო დაბინძურება და მისი აღმოფხვრის გზები.
- გამწმენდი ნაგებობის განსათავსებლად ტერიტორიის შერჩევისას, საპროექტო ჯგუფმა უნდა იხელმძღვანელოს მოქმედი კანონმდებლობით.
- სასურველია დაგეგმარების პროცესში ჩართული იყოს წყალმომარაგებისა და ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია და ქ. გორის ტერიტორიაზე მომუშავე სერვისის მიმწოდებელი კომპანიები.
- საყურადღებოა სასმელი წყლის რესურსის სარეზერვო მარაგის შექმნის საკითხი, მოსახლეობის რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებობს წყალმომარაგების სათავე ნაგებობები, ეს გარემოება გასათვალისწინებელია წყალმომარაგების სისტემის დაგეგმვისას. არსებობს საქართველოს უშიშროების კონცეპცია და მისი სამოქმედო გეგმა, რომლის პოზიციებიც ასევე გასათვალისწინებელია საინჟინრო ინფრასტრუქტურის დაგეგმვისას.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერებით ადასტურებენ შეხვედრის მონაწილეები:

თეონა ცოცხალაშვილი
მიწათსარგებლობის სამმართველოს (უფროსის მოადგილე)
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ალექსანდრე მინდორაშვილი
წყლის სამმართველოს (მთავარი სპეციალისტი)
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

თემურ პაიჭაძე
ჰიდრომელიორაციისა და მიწის
მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

თამარ ხმალაძე
მიწათსარგებლობის სამმართველოს უფროსი

ელენა დარჯანია
პროექტის ხელმძღვანელი,
მთავარი ქალაქმგეგმარებელი

მამუკა სალუქვაძე
ორგანიზაციის დირექტორი,
ექსპერტი გარემოს დაცვის საკითხებში

სოფიო თოდუა
უმცროსი ქალაქმგეგმარებელი

ნინო ხოსიტაშვილი
მხარეთა შორის ურთიერთობის
უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის ოქმი №1

სს „ენერგო-პრო ჯორჯიასა“ და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ - ქ. გორის მიწათსარგებლობის
გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის
გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 29 ნოემბერს 11:00 საათი

ზ. ანჯაფარიძის N19 (ვაჟა-ფშაველას ბოლო), თბილისი

სხდომას უძღვებოდა: უმცროსი ქალაქმგეგმარებელი- ანდრო ქორთუა

სხდომას ესწრებოდნენ:

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მხრიდან:

ლევან ფაჩუაშვილი - ქსელის განვითარების განყოფილების უფროსი

გიორგი ზოიძე - ქსელის განვითარების განყოფილების სპეციალისტი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან:

ანდრო ქორთუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი

გიორგი ნადირაშვილი - კონსულტანტი საინჟინრო ინფრასტრუქტურის გეგმარებით საკითხებში

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მხრიდან იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მხრიდან შეხვედრის მონაწილეს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. **ქ. გორში ელექტროენერგიის განვითარებასთან დაკავშირებული დაგეგმილი პროექტები.**

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ პოზიცია:

- ამ ეტაპზე ქ. გორში მასშტაბური პროექტი არ მიმდინარეობს.
- ზოგადად, მუდმივად ხორციელდება ისეთი მცირე ზომის პროექტები, რაც დაკავშირებულია საჰაერო ან საკაბელო ხაზის და სატრანსფორმატორო პუნქტის მშენებლობასთან.

2. **თუ არსებობს სიმძლავრის შეზღუდვის სტანდარტი უბნების მიხედვით, სიმჭიდროვის ფონზე. არის თუ არა მიწის რესურსის გამოყოფის საჭიროება „ენერგო-პრო ჯორჯიისთვის“.**

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ პოზიცია:

- მთავარია განაშენიანების სწორად დაგეგმვა, რათა არ წარმოიქმნას კომპანიისთვის ხელისშემშლელი ფაქტორები ელექტრო ენერგიის უზრუნველსაყოფად.
- გასათვალისწინებელია კომპანიის 2 მნიშვნელოვანი საკითხი: 1) გზების, უბნების დაგეგმვისას აუცილებელია საკომუნიკაციო დერეფნებისთის საჭირო სივრცის გათვალისწინება. 2) საჭიროა ელექტრო ენერგიის რაოდენობის გათვლა მომხმარებლების მიხედვით. სიმძლავრის დაანგარიშების მეთოდი საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს, რომელიც განთავსებულია კომპანიის ვებ-გვერდზე.
- სიმძლავრის გაანგარიშებისთვის კომპანიის შიდა სტანდარტი მაქსიმალურად მიახლოებულია ევროპულ სტანდარტებთან, საპროექტო ჯგუფს შეუძლია იხელმძღვანელოს აღნიშნული სტანდარტით.
- ნებისმიერი განაშენიანების თუ სამეწარმეო ზონის შემთხვევაში გასათვალისწინებელია სატრანსფორმატორო თუ ქვესადგურის პუნქტის განსათავსებლად სივრცის გამოყოფა.
- ხარისხის დაცვის მიზნით, სატრანსფორმატორო პუნქტიდან აბონენტამდე მანძილი ძირითადად არ აღემატება 800მ-ს.
- გზაჯვარედინებზე გარკვეულ სიღრმეში საინჟინრო მილების განთავსების მიზნით სასურველია ადგილის გათვალისწინება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ყველანაირი საინჟინრო კაბელის მიწვდომადობას დანიშნულების ადგილამდე.
- დამატებითი ტრანსფორმატორებისთვის ადგილების გათვალისწინება სასურველია.

3. **ქ. გორში გამოვლინდა რამდენიმე სკოლა და სათამაშო მოედანი, რომლებიც მოქცეულია მაღალი ძაბვის მაგისტრალების ქვევით. როგორია კომპანიის მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.**

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ პოზიცია:

- მსგავსი მდგომარეობა რეგულირდება 366 დადგენილებით „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“: ხაზის, სატრანსფორმატორო პუნქტის გადატანა ხორციელდება დაინტერესებული პირის ხარჯით და მეპატრონის ტექნიკური პირობით. ეს არის სტანდარტული პირობა ყველა ობიექტისთვის.
- დაუშვებელია მაღალი ძაბვის მაგისტრალების ქვევით მსგავსი ობიექტების და აქტიობების სივრცის განთავსება, სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია.
- კომპანია ხელმძღვანელობს 366 დადგენილებით „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“,

[illegible]

- [illegible] ძმების საგვარეულოს გამთავრება [illegible] საგვარეულოს ტერიტორიაზე შესაბამის ორგანიზაციის შეუფერხებელი გაყვანა;
- [illegible] ერთ-ერთ ეკლესიის ეზოში [illegible] ადგილი [illegible] საჭირო [illegible]

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერებით ადასტურებენ შეხვედრის მონაწილეები:

ანდრო ქორთუა
[illegible]

გიორგი ნადირაშვილი
[illegible]
[illegible] საკითხებში

ნინო ხოსიტაშვილი
[illegible] ეროვნული [illegible]
[illegible] საკონტაქტო პირი;

ლევან ფაჩუაშვილი
[illegible] განყოფილების [illegible]

გიორგი ზოიძე
[illegible] განყოფილების [illegible]

„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა" და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 29 ნოემბერს 1:00 საათი

ვაჟა-ფშაველას N76 ბ, თბილისი

სართული 5

სხდომას უძღვებოდა: უმცროსი ქალაქმგეგმარებელი - ანდრო ქორთუა

სხდომას ესწრებოდნენ:

„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მხრიდან:

მალხაზ ყველაშვილი - საპროექტო დეპარტამენტის მოწვეული სპეციალისტი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მხრიდან:

ანდრო ქორთუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი

გიორგი ნადირაშვილი - კონსულტანტი საინჟინრო ინფრასტრუქტურის გეგმარებით საკითხებში

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მხრიდან იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მხრიდან შეხვედრის მონაწილეს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. **ქ. გორში წყალმომარაგების განვითარებასთან დაკავშირებული დაგეგმილი პროექტები.**

   „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" პოზიცია:
   - 2010-2011-2012 წლებში განხორციელდა ქ. გორის ცენტრალური ნაწილის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

- შესაცვლელია კომბინატის დასახლების წყალმომარაგების ქსელის ამორტიზებული ნაწილი და საჭიროა მოსახლეობის გამრიცხველიანება. გამრიცხველიანების შედეგად მოიმატებს ქსელში წნევა და თვითდენით მომარაგდება მაღალი სართულები.
- ამ ეტაპზე არ არის დაგეგმილი ქ. გორის წყალმომარაგების სიტემის მნიშვნელოვანი განვითარების პროექტები. პერიოდულად ტარდება ამორტიზებული კომუნიკაციების რეაბილიტაცია და ახალი მომხმარებლების ქსელზე მიერთების სამუშაოები (ქალაქის დღეისთვის არსებულ საზღვრებში)
- ქ. გორის წყალმომარაგება ხდება თვითდინებით ვარიანისა და კარალეთის სათავეებიდან (გამონაკლისია კვერნაკისა და სადგურის დასახლებების ზედა ნაწილი და შავი მთის ფერდობის ლტოლვილთა დასახლება)
- მთლიანად ქალაქის თვითდენითი წყალმომარაგების პრობლემას წარმოადგენს სათავის დაბალი ნიშნული, არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში მაღალსართულიანი სახლების თვითდენადი წყლით უზრუნველყოფა შეუძლებელია.
- წმინდაწყლის ლტოლვილთა დასახლების წყალმომარაგება ხდება ინდივიდუალური ჭაბურღილის მეშვეობით.

რეკომენდაცია: წყალმომარაგების თვითდენადობის შენარჩუნების მიზნით სასურველია საცხოვრებელი კორპუსები არ იყოს 630 ნიშნულზე მაღალი.

არსებული წყალმომარაგების სათავე ნაგებობების სანიტარული დაცვის ზონაში ყოველგვარი სამეწარმეო საქმიანობის აკრძალვა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის წყლის ხარისხსა და დებიტს.

წყალმომარაგების კომუნიკაციებისა და ინფრასტრუქტურის მიმდებარედ წიაღით სარგებლობის ლიცენზირების, მიწის ნაკვეთების გასხვისება-პრივატიზების და ა.შ. წყალმომარაგების ორგანიზაციასთან შეთანხმება

გრძელვადიან პერსპექტივაში: ქალაქის საზღვრების სოფ. ხიდისთავის მიმართულებით გაფართოების შემთხვევაში, საჭირო იქნება ატენის ხეობაში არსებული წყლის სათავეების დაცვა-დარეზერვება.

ქალაქის საზღვრების სოფ. ტინისხიდის, ორთაშენის და სოფ. ბერბუკის მიმართულებით გაფართოების შემთხვევაში, საჭირო იქნება სატუმში სადგურებისა და სადაწნეო-სამარაგო რეზერვუარების აშენება.

2. **ქ. გორში საკანალიზაციო არხის მდგომარეობა - მუნიციპალური განვითარების სააგენტოსთან შეხვედრისას გამოიკვეთა ქ. გორში ღია საკანალიზაციო არხის არსებობა, რომელიც მინდვრის ტერიტორიაზე მიედინება, როგორია კომპანიის მიდგომა აღნიშნულთან დაკავშირებით.**

„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" პოზიცია:

- ქ. გორის საკანალიზაციო სისტემა მორგებულია არსებულ ლანდშაფტს და ჩამვების წერტილამდე მიედინება თვითდინებით. არსებული გამწმენდი ნაგებობა (ს/კ 66.45.23.104), რომელიც აშენდა წინა საუკუნის 50-იან წლებში, გათვლილი იყო ქალაქის მოსახლეობის იმდროინდელ რაოდენობაზე, რაც დღევანდელ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს და უმოქმედოა. კანალიზაცია ჩაედინება მდ. მტკვარში საავარიო რეჟიმში ღია არხით. ამის გარდა, 2014-15 წლებში მოხდა სადგურის დასახლების კანალიზაციის ქსელის მშენებლობა, რომელსაც არ გააჩნია სათანადო გამწმენდი ნაგებობა. ამდენად, საჭირო იქნება გამწმენდი ნაგებობა დასახლების აღმოსავლეთ ნაწილში ანდა, კოლექტორის დაკავშირება ქალაქის გამწმენდთან, რომელიც უნდა აშენდეს შესაბამისი პარამეტრებისა და გეოდეზიური ნიშნულის გათვალისწინებით. ახალი გამწმენდის ტერიტორიად მოიაზრება არსებული გამწმენდის აღმოსავლეთით, მტკვრის მარცხენა სანაპირო.
- წმინდაწყალზე არსებული ლტოლვილთა დასახლების კანალიზაცია ჩაედინება მდ. მეჯუდაში. ამ დასახლების ქალაქის ქსელზე დაერთებისთვის საჭირო იქნება მიმდებარე კოლექტორების შეცვლა შედარებით დიდი დიამეტრის მილებით. აქვე,

გასათვალისწინებელია, რომ ლტოლვილთა დასახლების აღმოსავლეთით (დღეს არსებული სამეურნეო ბაღების ადგილზე) მოსალოდნელია ქალაქის განვითარება, რასაც, აგრეთვე დაჭირდება საკანალიზაციო ქსელი. ასევე, გასამსხვილებელი იქნება საკანალიზაციო კოლექტორების დიამეტრები შინდისის გზატკეცილზე.

- შავი მთის ფერდობზე ლტოლვილთა დასახლებას წყალი მიეწოდება მაგისტრალური წყალდენიდან ტუმბოს მეშვეობით და კანალიზაცია დაერთებულია ქალაქის ქსელზე.
- ელექტროფიკაციის დასახლებაში კანალიზაციის არ არსებობს და სადგურის დასახლების ქსელზე დაერთება ვერ ხერხდება ამ ორ უბანს შორის არსებული გზის მაღალი ქიმის გამო. წყალმომარაგება ხდება ქალაქის ქსელიდან.

3. ქ. გორში რამდენად დიდ ტერიტორიას მოიცავს ჭაბურღილზე დამოკიდებული ადგილები.
„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" პოზიცია:
    - გორის მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა სოფლები, ცხინვალის მიმართულებით, მარაგდება ჭაბურღილის საფუძველზე.
    - გორში ჭაბურღილები აქვთ კერძო პირებს და კერძო მეწარმეებს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" წყალი თვითდენადია.
    - გამოითქვა მზაობა, საპროექტო ჯგუფს მიეწოდოს წყალმომარაგება/წყალარინების არსებული ქსელის GIS ბაზები.
    - ქალაქის წყალმომარაგებისთვის საკმარისი დებიტია არსებულ თვითდენით სათავეებზე. ამდენად ჭაბურღილების საჭიროება არ დგას.

4. გამწმენდ ნაგებობასთან დაკავშირებით თუ არსებობს განვითარებითი პროექტი. მის განსათავსებლად თუ არსებობს კონკრეტული ნორმატიული აქტი.

„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" პოზიცია:
    - გამწმენდი ნაგებობა ძველია და აღარ ფუნქციონირებს. გარემოს დაცვითი ნორმები, ევროკავშირთან ასოცირების და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები გვავალდებულებს 2020-2030 წლისთვის ყველა ქალაქში და მათ შორის ქ. გორში ამოქმედდეს ან აშენდეს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა.
    - გამწმენდი ნაგებობის გარშემო 500 მეტრის რადიუსში ქალაქის განვითარება მიზანშეუწონელია.
    - ურბანული განვითარებისა და საკომუნიკაციო კონფიგურაციის ფორმირების კუთხით რეკომენდირებულია ქალაქის განვითარება ცენტრიდან ჩრდილოეთით, მაგრამ არაუმეტეს ავტომაგისტრალისა. გამოითქვა მოსაზრება სატრანსპორტო რეგულირებისა და ქალაქის თანაბარი განვითარების მიზნით მოეწყოს საავტომობილო ხიდები მდ. მტკვარზე ჭალის დასახლებიდან ატენისკენ შპალსაგლეზთან ქარხანასთან. ხიდი გამოყენებულ იქნება, ასევე საკანალიზაციო კოლექტორის გამტარად. ასევე, სასურველია მდ. ლიახვზე საავტომობილო ხიდით დაკავშირდეს ტყვიავისა (წმინდაწყალი) და ვახტან გორგასალის (კომბინატი) ქუჩები. კომუნიკაციების დარგოლვა ხელს უწყობს წყალმომარაგების სტაბილურობას და საიმედოობას.

5. როგორია წყლის სათაო ნაგებობების მდგომარეობა გორში.
გორის წყალმომარაგების სათავე ნაგებობები წარმოადგენს სადრენაჟე კოლექტორებს, რომლებიც განთავსებულია მდ. ლიახვის ფილტრატებზე. სოფ. ვარიანსა და სოფ. კარალეთში. წყალი ქალაქის ქსელამდე მოდის თვითდინებით.

„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" პოზიცია:
    - „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" 100%-იანი წილით სახელმწიფო კომპანიაა და ფლობს წიალით სარგებლობის ლიცენზიას.
    - ახალდაბა-ვარიანის ტერიტორიაზე, იქ სადაც კომპანიის მთავარი სათაო ნაგებობაა, დრენაჟის სისტემა გამართულია, ხდება წყლის დამუშავება და გაუსნებოვნება.
    - გორში 2 სათაო ნაგებობაა: ვარიანისა და კარალეთის სათაო ნაგებობები.

ერთადერთი დაზიანებული დრენაჟი მდებარეობს წმინდა წყლის ტერიტორიაზე, რომელსაც კომპანია არ იყენებს და ტერიტორია გადაეცა მუნიციპალიტეტს (ს/კ 66.45.07.011)

6. **რამდენად არის გორში ჰიდრანტების დამატების საჭიროება.**

„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" პოზიცია:

- გორში არსებული ჰიდრანტების ტიპი და რაოდენობა განისაზღვრა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ცოცხოვნისა და მოქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმების შესაბამისად. ქსელის გაფართოების შემთხვევაში, შესაბამისად დაემატება სახანძრო ჰიდრანტებიც.
- 1975 წლის შემდეგ მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლოა საჭირო გახდეს სახანძრო ობიექტების დამატება წმინდაწყლის და კომბინატის ტერიტორიაზე. წმინდაწყლის ტერიტორიაზე გრუპტის წყლების დიდი რაოდენობა იძლევა საშუალებას წყლის მუდმივი მარაგისთვის.
  კომბინატის დასახლებაში სახანძრო ობიექტის განთავსება საკმაოდ რთული საკითხია, ქსელიდან წყლის მიწოდების თვალსაზრისით და საჭირო იქნება სამსრავი ავზები.
- კვერნაკის უბანს აქვს დამატებითი სატუმბი სადგური და სადაწნეო რეზერვუარები სადაც გათვალისწინებულია სახანძრო ხარჯი, სადაც წყლის მიწოდება ელექტრო ენერგიაზეა დამოკიდებული.
- შედარებით მცირე დებიტის, მაგრამ მაღალი ნიშნულის მქონე წყალმომარაგების წყაროები არის აბენის ხეობაში. შესაბამისად დაუშვებელია აღნიშნულ ტერიტორიაზე ნაკვეთების გასხვისება წყალმომარაგების ოპერატორ ორგანიზაციებთან კონსულტირების გარეშე.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერებით ადასტურებენ შეხვედრის მონაწილეები:

მალხაზ ყველაშვილი
საპროექტო დეპარტამენტის მოწვეული სპეციალისტი

ანდრო ჭორცოლა
უმცროსი ქალაქმშენებელი

გიორგი ნადირაშვილი
კონსულტანტი სანიტარიო
ინფრასტრუქტურის გეგმარებითი საკითხებში

ნინო ხოსიტაშვილი
მხარეთა შორის ურთიერთობის
უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ აწარმოე საქართველოში და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის
გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 20 ნოემბერს 11:00 საათი

უზნაძის N18, თბილისი

სართული I

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

სამინისტროს მხრიდან:

ავთანდილ ღოღობერიძე - პროგრამის მენეჯერი, მეწარმეობის ხელშეწყობის დეპარტამენტი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი

იოსებ სალუქვაძე - კონსულტანტი ურბანული განვითარების, სოციალურ-გეოგრაფიული და სტრატეგიული დაგეგმარების საკითხებში

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო), სსიპ აწარმოე საქართველოში იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება სამინისტროს მხრიდან შეხვედრის მონაწილეებს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

სამინისტროს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ გაეცნო „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ შეხვედრამდე გაგზავნილ საპროექტო მასალებს.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. **ქ. გორის კონკურენტული უპირატესობები;**

სამინისტროს პოზიცია:

- აღინიშნა, რომ საკითხები რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას უკავშირდება ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ აწარმოე საქართველოში აღნიშნული მიმართულებით პროექტები არ განიხილება.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ აწარმოე საქართველოში უზრუნველყოფს ინდუსტრიული მიმართულების პროექტების ხელშეწყობას.
- გამოითქვა მზაობა, რომ საპროექტო ჯგუფს მიეწოდება შიდა ქართლსა და გორში დაფინანსებული პროექტების სია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ აწარმოე საქართველოს სახელზე ოფიციალური წერილობითი მიმართვის გაკეთების საფუძველზე.

2. **სახელმწიფო პოლიტიკა ქ. გორში (და გორის მუნიციპალიტეტში) ინდუსტრიული საქმიანობის მიმართულებით;**

სამინისტროს პოზიცია:

- დღეს-დღეობით, გორის მუნიციპალიტეტში ხორციელდება კონკრეტული პროექტები - არის რამდენიმე სასტუმრო და შესაძლოა იყოს საწარმოც, თუმცა კონკრეტულად ქ. გორზე სამუშაოები არ მიმდინარეობს.
- ეს არის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოიცავს სესხის სუბსიდიას, ხოლო ლოკაციის შერჩევა ხორციელდება მეწარმის მიერ.
- აწარმოე საქართველოს ინდუსტრიული მიმართულებით აქვს ასევე ქონების ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პროგრამაც, რომელიც გულისხმობს კონკრეტული პროექტისთვის ქონების გადაცემას 1 ლარად.

3. **სამინისტროს მიერ დაგეგმილი საინვესტიციო პროექტები; ხედვა ან/და მოთხოვნა ინდუსტრიულ მიწებთან დაკავშირებით.**

სამინისტროს პოზიცია:

- აღინიშნა, რომ ქონების გადაცემას ახორციელებს ქონების ეროვნული სააგენტო, როგორც აწარმოე საქართველოს ერთ--ერთი სააგენტო. მის ბალანსზე, ისევე როგორც გორის მუნიციპალიტეტის ბალანზე, შესაძლებელია იყოს გორის მუნიციპალიტეტის გარკვეული ქონება ასახული.
- რჩევის სახით გამოითქვა მოსაზრება, რომ საპროექტო ჯგუფმა შესაბამისი კონსულტაცია გაიაროს ქორების ეროვნულ სააგენტოსთანაც.
- აღინიშნა რომ აწარმოე საქართველოს ფარგლებში არის მთავრობის მიერ დამტკიცებული ბევრი სექტორის განვითარების შესაძლებლობა, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტი.
- გამოითქვა მზაობა, რომ საპროექტო ჯგუფს მიეწოდოს აღნიშნული სექტორების სია. აღინიშნა, რომ აღნიშნულ სიაში არ ფიქსირდება ბანკის მხრიდან დაუფინანსებელი პროექტების ჩამონათვალი.
- აწარმოე საქართველო მხარს უჭერს SME ტიპის წარმოებას მთელი საქართველოს მასშტაბით და არ განიხილება ცალკეული რეგიონების ჭრილში.

4. **გარემო ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ქ. გორში (და გორის მუნიციპალიტეტში) ბიზნესის განვითარებაზე; რაიმე პროგრამა სოციალური ჯგუფების ხელშეწყობის მიზნით.**

სამინისტროს პოზიცია:

- იძულებით გადაადგილებულ პირთა კუთხით კონკრეტული პროგრამა არ ხორციელდება.
- არსებობს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც თბილისის გარდა ყველა რეგიონს მოიცავს. ეს არის 20000 ლარამდე გრანტების პროგრამა, რომელიც წარმოდგენ ბილიიზნეს გეგმის საფუძველზე გაიცემა. ამ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ფიქსირდებოდნენ იძულებით გადაადგილებული პირები, თუმცა ჯერ პროგრამა მსვლელობის პროცესშია და დასრულების შემდეგ იქნება ცნობილი ზუსტი მონაცემები მონაწილეების შესახებ.

საპროექტო ჯგუფის მხრიდან აღინიშნა, რომ გორის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და შიდა ქართლის განახლებული რეგიონული განვითარების სტრატეგიის არარსებობის პირობებში, საპროექტო ჯგუფისთვის მისაღებია სახელმწიფო სტრატეგიით სარგებლობა პროექტის ფარგლებში.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერებით ადასტურებენ შეხვედრის მონაწილეები:

ავთანდილ ღოღობერიძე
პროგრამის მენეჯერი,
მეწარმეობის ხელშეწყობის დეპარტამენტი

ელენა დარჯანია
პროექტის ხელმძღვანელი,
მთავარი ქალაქმგეგმარებელი

იოსებ სალუქვაძე
კონსულტანტი ურბანული განვითარების,
სოციალურ-გეოგრაფიული და სტრატეგიული
დაგეგმარების საკითხებში

ნინო ხოსიტაშვილი
მხარეთა შორის ურთიერთობის
უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 26 ოქტომბერი 11:00 საათი

ალ. ყაზბეგის N12, თბილისი

სართული 5

სხდომას უძღვებოდა: უმცროსი ქალაქმგეგმარებელი - სოფიო თოდუა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამინისტროს მხრიდან:

თეიმურაზ კაპანაძე - საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპროექტო სამსახურის ნაპირდაცვის სამმართველოს უფროსი

თეიმურაზ მეტრეველი - საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპროექტო სამსახურის, ნაპირდაცვის პროექტების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

პავლე გამყრელიძე - ინფრასტრუქტურის განვითარებისა და განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მხრიდან:

სოფიო თოდუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

ზურაბ ბერაძე - დარგობრივი ექსპერტი სატრანსპორტო მიმართულებით

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, (შემდგომში სამინისტრო) საავტომობილო გზების დეპარტამენტის იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალური გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება საავტომობილო გზების დეპარტამენტის მხრიდან შეხვედრამი მონაწილეებს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულომი წარსადგენად.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპროექტო სამსახურის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ გაეცნენ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მიერ შეხვედრამდე გაგზავნილ საპროექტო მასალებს.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. **არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია დეპარტამენტის მიერ წარმოებული გზების მიმდინარე/დაგეგმილი პროექტების შესახებ, რომელიც ხვდება ქ. გორის საპროექტო საზღვრებში და საჭიროა გათვალისწინებული იყოს საპროექტო ჯგუფის მიერ. რეკომენდაციები მდინარეზე ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებით. ასევე, ქ.გორის და მცხეთის დამაკავშირებელი მიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზაზე დაგეგმილი სამუშაოების შესახებ.**

   საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლების პოზიცია:
   - ამჟამად, საავტომობილო გზების დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ქ. გორში პროექტს არ ახორციელებს და ამ ეტაპზე, 2019 წელსაც არ არის დაგეგმილი.
   - მდინარეზე ხიდის მშენებლობის საკითხი არ არის საავტომობილო გზების დეპარტამენტის კომპეტენცია, თუმცა დეპარტამენტის საპროექტო სამსახურის მიერ, რეკომენდაციის სახით გამოითქვა მოსაზრება, რომ ხიდის გაკეთება რეკომენდირებული იქნება მდინარე ლიახვზე და შემდეგ მდინარე მეჯუდაზე, რაზეც საპროექტო ჯგუფმა განმარტა, რომ წინასაპროექტო კვლევამი მდინარე ლიახვზე ხიდის გაკეთების თაობაზე რეკომენდაცია გაცემულია საპროექტო ჯგუფის მიერ.
   - ასევე არსებობს ხიდის საჭიროება კომბინატის დასახლებამი გადასასვლელად.
   - გამოითქვა მზაობა, რომ საპროექტო ჯგუფს მიეწოდება ინფორმაცია გორის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მიმდინარე და 2019 წელს დაგეგმილი პროექტების შესახებ.

2. **დეპარტამენტის კომპეტენციაში შესული საკითხი მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ. არსებობს თუ არა დაგეგმილი პროექტები ქ. გორში ნაპირსამაგრ სამუშაოებთან დაკავშირებით ან აწარმოებს თუ არა დეპარტამენტი მონიტორინგს ამ კონკრეტულ არეალებზე. არსებობს თუ არა კონკრეტული ხედვა ამ ტერიტორიებთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლებელია აისახოს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტში. არსებობს თუ არა ქ.გორის საპროექტო საზღვრის ფარგლებში სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონის გენერალური სქემა.**

   საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპროექტო სამსახურის წარმომადგენლების პოზიცია:
   - გორში დაგეგმილია ნაპირსამაგრი სამუშაოები.
   - გაწმენდილია მდინარე მეჯუდას მთელი კალაპოტი - თორთლას შესართავიდან ლიახვამდე.
   - საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს მდინარეების მონიტორინგს და ადგილზე ხდება ტერიტორიის ვიზუალური შეფასება, ჰიდროლოგიური,

გეოლოგიური და ა.შ. კვლევების გარეშე. ქ.გორის მიდამოებში ამის ამსახველი შესაბამისი მასალა არ არსებობს.

- სანაპირო საინჟინრო დაცვის მონიტორინგს აწარმოებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მაგრამ ამ სქემების შედგენა მათი კომპეტენცია არ არის.
- ზეპირი და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე, თუ რომელი ადგილების დატბორვა ხდება ძირითადად წყალუხვობის პერიოდში, ხდება პერიოდული მონიტორინგი და საკითხის მოგვარება, თუმცა ქ.გორის საპროექტო საზღვრის ფარგლებში ასეთი მონაცემები არ არსებობს.
- მკაცრ ზედამხედველობის ზოლში, რომელიც მოიცავს მდინარის კალაპოტს, დაუშვებელია მმენებლობის ნებართვა. სამსახური თავად ადგენს მკაცრი ზედამხედველობის და მუდმივი მონიტორინგის ზონებს.
- საინჟინრო დაცვის ზონას განეკუთვნება: მკაცრ ზედამხედველობის ზოლი, რომელსაც მიეკუთვნება მდინარის კალაპოტი და მუდმივი მეთვალყურეობის ზოლი, რაშიც შედის მდინარის ჭალა და ჭალის ზედა ტერასა რომლის დატბორვის ალბათობა ხასიათდება 100 წლიანი განმეორებადობით. აღნიშნული ტერიტორიების გამოვლენისა და სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონის სქემის შედგენის შემდეგ, ამ არეალებზე დაგეგმილი ყველა პროექტი თანხმდება საავტომობილო გზების დეპარტამენტთან.
- მუდმივი მეთვალყურეობის ზოლში არ არის დადგენილი ერთი სახის საქმიანობების აკრძალვის ან/და დაშვების სტანდარტი, ეს დგინდება ცალკეული ადგილების მიხედვით ინდივიდუალურად.
- საპროექტო ჯგუფს განემარტა, რომ რადგან მდინარის ჭალა შედის მუდმივი მეთვალყურეობის ზოლში, მიზანშეწონილია ამ არეალებზე მეზღუდვის დადება მგგ-ს პროექტში და კონსულტაციის გავლა დეპარტამენტთან დაშვებული/აკრძალული საქმიანობების დადგენის მიზნით. .
- აღინიშნა, რომ რაიმე სახის განვითარების პროექტის განსახორციელებლად მდინარის ნაპირებზე, ჭალაში აუცილებელია იქნება ნაპირდამცავი კედლების გაკეთება.
- კულტურის დასვენების პარკიდან ძველ ხიდამდე იგეგმება ნაპირსამაგრი სამუშაოები. ასევე სასურველია ნაპირსამაგრი კედლის გაკეთება ახალი ხიდის ტერიტორიაზე.
- აღინიშნა, რომ ჭალაში რეკრეაციული ზონის განსაზღვრა არ არის რეკომენდებული თუ არ განხორციელდება შესაბამისი დამცავი ღონისძიებები, რაზეც საპროექტო ჯგუფმა განმარტა, რომ დატბორვისა და წყალმოვარდნის არეალების დადგენის მიზნით, პროექტის ფარგლებში შემუშავდება რუკა შესაბამისი ექსპერტების დახმარებით, რათა გათვალისწინებული იყოს არსებული რისკები და შესაბამისად მოხდეს ამ არეალების ზონირება.

ზოგადი საკითხები:

- საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპროექტო სამსახურის წარმომადგენლების მხრიდან გაჩნდა ინტერესი, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ფარგლებში მდინარე მეჯუდაზე გაკეთდება თუ არა ნაპირსამაგრი სამუალებები, რაზეც საპროექტო ჯგუფმა განმარტა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა გულისხმობს მხოლოდ ზონირებას და არა კონკრეტული კვლევებისა და პროექტების შემუშავებას.
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპროექტო სამსახურის მხრიდან გამოითქვა მზაობა, რომ პროექტის ფარგლებში ითანამშრომლებენ საპროექტო ჯგუფთან.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერებით ადასტურებენ შეხვედრის მონაწილეები:

თეიმურაზ კაპანაძე
საავტომობილო გზების დეპარტამენტის
საპროექტო სამსახურის ნაპირდაცვის
სამმართველოს უფროსი

თეიმურაზ მეტრეველი
საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპროექტო
სამსახურის, ნაპირდაცვის პროექტების
სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

პავლე გამყრელიძე
ინფრასტრუქტურის განვითარებისა და განვითარების
პარტნიორებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი



ნინო ხოსიტაშვილი
მზარეთა შორის ურთიერთობის
უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი:

სოფიო თოდუა
უმცროსი ქალაქმგეგმარებელი

ზურაბ ბერაძე
დარგობრივი ექსპერტი
სატრანსპორტო მიმართულებით

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის - ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოსა“ და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 30 ნოემბერს 1:00 საათი

ცხინვალის გზატკეცილი, II კმ. გორი

კეთილმოწყობის სააგენტოს შენობა

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოს“ მხრიდან:

ბაჩანა გვიანიშვილი - ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოს“ ხელმძღვანელი

შალვა ტერმაკოზაშვილი - გორის სასაფლაოს განყოფილების ხელმძღვანელი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის - ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოს“ მხრიდან იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის - ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოს“ მხრიდან შეხვედრის მონაწილეებს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის - ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოს" წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ გაეცნენ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მიერ შეხვედრამდე გაგზავნილ საპროექტო მასალებს.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. **ქ. გორში რამდენად არის სასაფლაოსთვის მიწის რესურსის გამოყოფის საჭიროება, როგორია სააგენტოს ხედვა პოლიგონის ტერიტორიის სასაფლაოდ გამოყენებასთან დაკავშირებით ან თუ არის შერჩეული კონკრეტული ტერიტორია.**

   ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოს" პოზიცია:
   - საჭიროა სასაფლაოსთვის მიწის რესურსის გამოყოფა.
   - ადმინისტრირებისა და ქალაქთან სიახლოვის თვალსაზრისით, სასაფლაოსთვის პრიორიტეტულ არეალს წარმოადგენს არა პოლიგონის ტერიტორია, არამედ არსებული სასაფლაოს დასავლეთით მიმდებარე ტერიტორია.

2. **გარდაცვლილთა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით რა ფართის გაანგარიშება შეიძლება მოხდეს 10 წლის ვადაში.**

   ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოს" პოზიცია:
   - გარდაცვლილთა სტატისტიკა 2013 წლიდან არსებობს.
   - გარდაცვლილთა წლიური მაჩვენებელი აღწევს 300 ერთეულს, თუმცა თითო მიცვალებულისთვის ხდება საჭირო ფართზე მეტი ტერიტორიის - 3-4 კაციანი სასაფლაო მიწის შეძენა, რაც ჯამში შეადგენს 12-16 კვ.-ს.
   - აღნიშნული სტატისტიკის მიხედვით წელიწადში სასაფლაოსთვის სასურველია 5000კვ მიწის ფართის გათვალისწინება.

3. **სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით სასაფლაოს სანიტარული დაცვის ზონა შეადგენს 300 მ-ს. როგორია ეს მაჩვენებელი ქ. გორის შემთხვევაში.**

   ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოს" პოზიცია:
   - ადგილობრივი თვითმმართველობის წლევანდელი დადგენილების მიხედვით სასაფლაოს სანიტარული დაცვის ზონა განისაზღვრება 200 მ-ით.
   - გამოითქვა მზაობა, რომ საპროექტო ჯგუფს მიეწოდოს აღნიშნული წლევანდელი დადგენილება.
   - აღინიშნა, რომ კვერნაკის დასახლებაში სასაფლაოსა და სასმელი წყლის სათაო წაგებობას შორის მანძილი მხოლოდ 130 მ-ია. ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოს" წარმომადგენლების კეთილი ნებით ამ ეტაპზე შეჩერდა აღნიშნული სასაფლაოს განვითარება, სადაც მოიაზრებენ მწვანე ზოლის განვითარებას.

4. თუ არსებობს მიცვალებულთა გადმოყვანის და დაკრძალვის სტატისტიკა გორის მიმდებარე სოფლებიდან ქ. გორში და პირიქით.

ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოს" პოზიცია:

- გარდაცვლილთა-99% ქ. გორში რეგისტრირებულია.
- ქ. გორიდან მიმდებარე სოფლებში დაკრძალვის სტატისტიკა არ არსებობს.

5. როგორია თქვენი ხედვა იძულებით გადაადგილებულ პირთა ცალკე სასაფლაოს შესახებ და ვის ბალანსზეა აღნიშნული ტერიტორია.

ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოს" პოზიცია:

- იძულებით გადაადგილებულ პირებს ქალაქის შემოსასვლელში ვერხვების მხარეს, დაუკანონდათ ახალი სასაფლაოს ტერიტორია, რომელიც 1,2 ჰა-ს შეადგენს.
- აღნიშნული მიწა არის გორის მუნიციპალიტეტის ბალანსზე, ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოს" სააგენტოს მხრიდან არ ხდება მისი ადმინისტრირება.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერებით ადასტურებენ შეხვედრის მონაწილეები:

ელენა დარჯანია
პროექტის ხელმძღვანელი,
მთავარი ქალაქმგეგმარებელი

ნინო ხოსიტაშვილი
მხარეთა შორის ურთიერთობის
უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი:

ბაჩანა გვიანიშვილი
ა(ა)იპ „კეთილმოწყობისსააგენტოს" ხელმძღვანელი

შალვა ტერნაკოზაშვილი
გორისსასაფლაოსგანყოფილებისხელმძღვანელი

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრისა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის
გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 30 ნოემბერს 2:00 საათი

სამეფოს 50, ქ. გორი

შემოსავლების სამსახური

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის მხრიდან:

გიორგი ქობლიანიძე - შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის წამყვანი სპეციალისტი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის მხრიდან იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის მხრიდან შეხვედრის მონაწილეებს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ გაეცნო „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მიერ შეხვედრამდე გაგზავნილ საპროექტო მასალებს.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. 2017 წლის საპროექტო ჯგუფის მიერ ჩატარებული ქალაქ გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის წინასაპროექტო კვლევის ფარგლებში გამოვლინდა სახელმწიფო ბალანსზე არსებული დაურეგისტრირებელი მიწები. თუ არის სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ხედვა მიწის გასხვისების თაობაზე. მაგალითისათვის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ ქ. გორში საჭიროა დამატებითი სახანძრო ობიექტები. როგორია თქვენი ხედვა აღნიშნულთან დაკავშირებით.

შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის პოზიცია:

- წინასწარ უცნობია თუ რომელი მიწის გასხვისების საკითხი დადგება მომავალში.
- სასურველია წინასწარ მივიღოთ ინფორმაცია იმ მიწების თაობაზე, რომლისთვისაც მოხდება წინასწარი ზონალური გათვლა ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, რამეთუ აუცილებელია ჩვენს სისტემაში მოხდეს მისი შესაბამისი ასახვა.
- გასხვისების პროცესი ყოველთვის თანხმდება ადმინისტრაციულ ორგანოსთან.
- საპროექტო ჯგუფის მხრიდან განიმარტა, რომ ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დოკუმენტით გამოვლინდება შეზღუდვითი ზონირება, რის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდება სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრს.

2. **თუ არსებობს მონაცემები პროექტ „აწარმოე საქართველოს" ფარგლებში ქ. გორში გადაცემული მიწების თაობაზე.**

შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის პოზიცია:

- ქ. გორში, კომბინატის ტერიტორიაზე დარეგისტრირებულია ასეთი მიწები (664502029). აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა და განთავსებულია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე: nasp.gov.ge
- „აწარმოე საქართველოში" ჩართული ყველა ობიექტი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე: nasp.gov.ge

3. **ინდუსტრიული მიწების მიმართ თუ არის ინტერესი და რომელ ტერიტორიებზე მოდის ყველაზე დიდი მოთხოვნა.**

შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის პოზიცია:

- ინდუსტრიულ მიწებზე მოთხოვნა არის.
- ინდუსტრიული მიწების ყველაზე დიდი მოთხოვნა არის წმინდა წყლის დასახლებასა და გორის შემოსასვლელებში.
- მოთხოვნილი ნაკვეთების ფართობი ძირითადად 200 კვ-დან 500კვ-ია.

4. **გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის - ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოსთან" შეხვედრისას აღინიშნა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს გადაეცათ 1,2 ha მიწის ფართობი სასაფლაოსთვის. შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ ქ. გორში საჭიროა დამატებითი**

მიწის რესურსი სასაფლაოს ტერიტორიისთვის, რის თაობაზეც საჭირო გახდება შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრთან თანამშრომლობა.

შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის პოზიცია:

- შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის 1,2 ჰა მიწის ფართობის გადაცემის თაობაზე ინფორმაცია არ აქვს.

5. **თუ იგეგმება ინდუსტრიული მიწების ინვენტარიზაცია.**

შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის პოზიცია:

- 2015 წელს განხორციელდა ინდუსტრიული მიწების ინვენტარიზაცია.
- ძირითადი ინდუსტრიული ტერიტორიას წარმოადგენდა კომბინატის დასახლება.

6. **წმინდა წყლის დასახლებაში ბარაკების ტერიტორიაზე თუ იგეგმება რაიმე სახის განვითარება.**

შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის პოზიცია:

- ამ არეალის პრობლემას წარმოადგენს იქ არსებული უფორმო ნაკვეთები.

7. **როდის ხდება ნორმატიული ფასის ცვლილება.**

შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის პოზიცია:

- ნორმატიული ფასი დგინდება იანვარში.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერესით ადასტურებენ შეხვედრის მონაწილეები:

ელენა დარჯანია
პროექტის ხელმძღვანელი,
მთავარი ქალაქმგეგმარებელი

ნინო ხოსიტაშვილი
მხარეთა შორის ურთიერთობის
უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

გიორგი ქობლიანიძე
შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის
მომსახურების ცენტრის წამყვანი სპეციალისტი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 30 ნოემბერს 15:00 საათი

ფეიქრიძის 5, ქ.გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერია

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მხრიდან:

ნინო ზერიანიძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების განყოფილების ხელმძღვანელი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, განათლების განყოფილების მხრიდან იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, განათლების განყოფილების მხრიდან შეხვედრის მონაწილეს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. **თუ არსებობს სახელმწიფო პროგრამა ან სტრატეგია ქ. გორში ბაღების და სასკოლო მზაობის ცენტრების განსათავსებლად.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, განათლების განყოფილების წარმომადგენლის პოზიცია:

- 2013 წელს, მას შემდეგ რაც სკოლამდელი განათლების სერვისი გახდა უფასო, მუნიციპალურ საბავშვო ბაღებზე მოთხოვნა მკვეთრად გაიზარდა.
- ქ. გორის I და IX ცენტრალური საჯარო სკოლების ბაზაზე, 2015 წლიდან დღემდე, გაიხსნა და ფუნქციონირებს სასკოლო მზაობის ცენტრები, რაც წარმოადგენს ალტერნატიული სკოლამდელი განათლების მოდელს.
- კანონმდებლობაში იგეგმება ცვლილება, სკოლების ბაზაზე თავისუფალი ფართის არსებობის შემთხვევაში (განსაკუთრებით სოფლებში), საბავშვო ბაღის განთავსების თაობაზე.
- ქალაქის შემთხვევაში სკოლის ბაზაზე საბავშვო ბაღის განთავსება რთულია მოსწავლეთა გადაჭარბებული კონტიგენტის გამო.
- გორში, სადგურის დასახლებაში შენდება ახალი საბავშვო ბაღი.
- ევროკომისიის დაფინანსების ფარგლებში, ვერხვების დევნილთა დასახლებაში 2015 წელს გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღი.
- კომბინატის დასახლებაში დაგეგმილია 6-ჯგუფიანი საბავშვო ბაღის მშენებლობა.
- სოციალური ფონი გარკვეულ გავლენას ახდენს სასკოლო მზაობის ფუნქციონირებაზე, ვინაიდან ეს სერვისი არ მოიცავს კვების კომპონენტს.
- დღეს საბავშვო ბაღებს, გარადა საგანმანათლებლო ფუნქციისა, ნაწილობრივ აქვთ სოციალური დატვირთვაც, რაც აუცილებელს ხდის მათ არსებობას.
- ბაღების ნაკლებობას განაპირობებს, ასევე, 2010 წელს 4 საბავშვო ბაღის გადაცემა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – ვერხვების, კომბინატის და წმინდა წყლის დასახლებაში.
- კომბინატის დასახლებაში 6 საბავშვო ბაღია. აქედან N 3 ბაღი გამოსახლებულია და სხვა ბაღის (მე-15 ბაღის) პირველ სართულზეა განთავსებული. ასეთივე მდგომარეობაა წმინდა წყლის და ვერხვების ტერიტორიაზე. დღეისათვის ქ. გორში ალტერნატიულ შენობაში ფუნქციონირებს 4 საბავშვო ბაღი და მუნიციპალიტეტი იხდის ქირას.
- ვერხვების დასახლებაში, თოიძის ქუჩაზე N1 საბავშვო ბაღში ამჟამად შესახლებულნი არიან საზღვრისპირა მიმდებარე სოფლებიდან (ზარდიაანთკარი) ოჯახები. აღნიშნული ბაღი სრული დატვირთვის შემთხვევაში უზრუნველყოფს 12 ჯგუფის მომსახურებას.
- ამავე ტერიტორიაზე, თოიძის ქუჩაზე, განთავსებულია N2 ბაღიც ალტერნატიულ ფართში.
- დღეის მდგომარეობით, საბავშვო ბაღების არასაკმარისი რაოდენობის გამო, სტანდარტული 4-ჯგუფიანი ბაღებში ფუნქციონირებს დამატებითი სააღმზრდელო ჯგუფები.
- საბავშვო ბაღების არსებობის აუცილებლობაა ქ. გორის ცენტრალურ ნაწილში, მაგრამ არ არსებობს შესაბამისი მუნიციპალური მიწის ფართი ან შენობა. ასევე საბავშვო ბაღების საჭიროებაა ჭალის, კომბინატის, წმინდა წყალის და ვერხვების დასახლებაში, იქ სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე მაღალია.

- ამას ემატება ისიც, რომ ქალაქის ცენტრში, ერთ-ერთი ბაღის სტანდარტული შენობა უზუფრუქტით გადაეცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სადაც ამჟამად ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი ფუნქციონირებს.
- აგრეთვე ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილში (გურამიშვილის ქ.) საბავშვო ბაღის შენობა , პარკის მიმდებარედ, უზუფრუქტით გადაეცა საპატრიარქოს, სადაც ამჟამად კერძო საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს.
- ქალაქს ესაჭიროება მინიმუმ 4 საბავშვო ბაღი არანაკლებ 4 სააღმზრდელო ჯგუფით., ხოლო მეტი ჯგუფის შემთხვევაში გასათვალისწინებელია მიწის ფართი. აღნიშნული რეგულაციები დადგინდება ახალი ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ.

2. **რამდენად მისაღებია საბავშვო ბაღებისა და სარეკრეაციო სივრცის ერთმანეთისგან განცალკევებით დაგეგმარება.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, განათლების განყოფილების წარმომადგენლის პოზიცია:

- საქ-ოს კანონის თანახმად „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ", საბავშვო ბაღი უნდა აკმაყოფილებდეს ინფრასტრუქტურის ტექნიკური რეგლამენტის პირობებს, მათ შორის რეკრეაციული სივრცის მიმართ მოთხოვნებს.
- 2020 წლისთვის უნდა მოხდეს არსებული საბავშვო ბაღების ადაპტირებაც ინფრასტრუქტურის ტექნიკური რეგლამენტის სტანდარტებთან მიახლოების მიზნით.
- ინფრასტრუქტურის ტექნიკური რეგლამენტის პროექტი მზადაა დასამტკიცებლად.

3. **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლა (ISET) გორში ახორციელებს სკოლამდელი განათლების სტანდარტების და ავტორიზაციის პროცედურების განფასების კვლევას, თუ გაქვთ გარკვეული ხედვა აღნიშნულ კვლევასთან დაკავშირებით.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, განათლების განყოფილების წარმომადგენლის პოზიცია:

- აღნიშნული კვლევა ჯერ არ დასრულებულა, საბოლოოს ახით არ იცნობენ დოკუმენტს.

4. **თუ არსებობს გათვლები ან ოფიციალური მონაცემები მომდევო 5-10 წლის განმავლობაში საბავშვო ბაღებში ჯგუფების საჭირო რაოდენობის შესახებ.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, განათლების განყოფილების წარმომადგენლის პოზიცია:

- რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, წლების განმავლობაში პოპულაციური რიცხოვნობა შენარჩუნებულია ერთ დონეზე - 800-900 ბავშვი წელიწადში ქ. გორში.
- აღნიშნულ პოპულაციურ მონაცემს ემატება დევნილი მოსახლეობა. ქალაქის საბავშვო ბაღში ირიცხება, როგორც გორში რეგისტრირებული, ასევე დევნილები და

გორში ფაქტობრივად მცხოვრები, თუმცა სხვა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვები.

- კანონის თანახმად ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ 2020 წლისთვის საბავშვო ბაღებში სტანდარტი ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობის შესახებ უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის მოთხოვნებს. ჯგუფებში ბავშვების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ ბავშვს.
- არსებული ფართის მიხედვით საჭირო გახდება ჯგუფების შემცირება და შესაბამისად ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა.
- გამოითქვა მზაობა, რომ საპროექტო ჯგუფს მიეწოდება არსებული სტატისტიკური მონაცემები საბავშვო ბაღების შესახებ.

5. **თუ ფიქსირდება საბავშვო ბაღებისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთების უსისტემოდ გასხვისების შემთხვევა.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, განათლების განყოფილების წარმომადგენლის პოზიცია:

- საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის გასხვისების შემთხვევა არ არის ჩვენთვის ცნობილი. აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია ექნება ქონების მართვის სამსახურს.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერებით ადასტურებენ შეხვედრის მონაწილეები:

ელენა დარჯანია
პროექტის ხელმძღვანელი,
მთავარი ჟურნალისტი

ნინო ხოსიტაშვილი
მხარეთა შორის ურთიერთობის
უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი:

ნინო ზერიანიძე
გორის მუნიციპალიტეტის მერიის
განათლების განყოფილების ხელმძღვანელი

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შიდა ქართლის სურსათის ეროვნული სააგენტოს, შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2018 წლის 30 ნოემბერს 16:00 საათი

ფერაძის 5, ქ.გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერია

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

შიდა ქართლის სურსათის ეროვნული სააგენტოს და შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს მხრიდან:

პაატა თარაშვილი - შიდა ქართლის სურსათის ეროვნული სააგენტოს სამმართველოს უფროსის მოადგილე

მალხაზ კოშკაძე - შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს" მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარეზელი

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შიდა ქართლის სურსათის ეროვნული სააგენტოსა და შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს მხრიდან იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება შიდა ქართლის სურსათის ეროვნული სააგენტოსა და შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს მხრიდან შესვედრის მონაწილეს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. სად დგას მწვავე არეალების პრობლემა, რომელიც საჭიროებს გარკვეულ რეგულირებას. ქ. გორში თუ არის გარკვეული ობიექტის განთავსების საჭიროება ან სამაცივრე მეურნეობაზე მოთხოვნა.

   შიდა ქართვლის სურსათის ეროვნული სააგენტოსა და შიდა ქართვლის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლების პოზიცია:
   - ქ. გორში სასაკლაო არ არის.
   - გორში 2 სასაკლაოა და საკმაოდ დაშორებულია ქ. გორიდან
   - ქ. გორში ფერმერული წარმოება არ არის.
   - ქ. გორში, ბერბუკის ტერიტორიაზე არის სამაცივრე მეურნეობა.
   - ქ. გორში სამაცივრე მეურნეობაზე მოთხოვნა არ არის. ძირითადი მოთხოვნა მოდის ქალაქის გარეთ, ახლოს ხილ-ბოსტნის სავარგულებთან.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

ოქმს ხელმოწერებით ადასტურებენ შეხვედრის მონაწილეები:

ელენა დარჯანია
პროექტის ხელმძღვანელი,
მთავარი ქალაქმგეგმარებელი

ნინო ხოსიტაშვილი
მხარეთა შორის ურთიერთობის
უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

პაატა თარაშვილი
შიდა ქართვლის სურსათის ეროვნული
სააგენტოს სამმართველოს უფროსის მოადგილე

მალხაზ ჯოშკაძე
შიდა ქართვლის რეგიონული სამმართველოს
II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

სხდომის ოქმი №2

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის
გაერთიანებული სხდომის ოქმი №2

2019 წლის 11 თებერვალი 10:00 საათი

ალ. ყაზბეგის N12, თბილისი

სართული 5

სხდომას უძღვებოდა: უმცროსი ქალაქმგეგმარებელი - სოფიო თოდუა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამინისტროს მხრიდან:

თეიმურაზ კაპანაძე - საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპროექტო სამსახურის ნაპირდაცვის სამმართველოს უფროსი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან:

სოფიო თოდუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, (შემდგომში სამინისტრო) საავტომობილო გზების დეპარტამენტის იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალური გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება საავტომობილო გზების დეპარტამენტის მხრიდან შეხვედრაში მონაწილეს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. **ყველაზე კრიტიკული წყალდატბორვის არეალებში დაგეგმილია ნაპირდაცვითი ღონისძიებები, რასაც მიესალმება საპროექტო ჯგუფი.**
   საპროექტო ჯგუფს სურს საორიენტაციოდ დაადგინოს სანაპირო საინჟინრო დაცვის სქემა. ჯებირების მიღმა გამწვანებული არეალები დარჩება უცვლელი, ხოლო ის რაც მოშენდება შესაძლოა რომ სამოსახლოდ იქნას გათვალისწინებული. იქ არის მკაცრი ზედამხედველობის და მუდმივი მეთვალყურეობის ზონა, მუდმივი მეთვალყურეობის ზონად გავთვლით მდინარის ჭალებს და ჭალის ტყეებს, რომლებიც უკვე გამოვლენილია. მკაცრი ზედამხედველობის არის მდინარის კალაპოტი, თუმცა გამომდინარე იქიდან რომ მდინარის კალაპოტი მუდმივად ცვალებადია, პირობითად ვიხელმძღვანელებთ მდინარის მდგრადი კალაპოტის სიგანეებით, რომლის შესახებაც ინფორმაცია მოგვაწოდა ბაადურ უკლებამ. თუმცა ეს იქნება მხოლოდ საორიენტაციო რუკა, რამეთუ ასოცირების ხელშეკრულების ვალდებულებით, აუცილებელია 2020 წლამდე წყალდატბორვის არეალების ახალი მეთოდოლოგიის დადგენა.
   „საქართველოს ზღვის წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“ კანონის მიხედვით, მკაცრი ზედამხედველობის ზონაში აკრძალულია თუ არა ინერტული მასალების მოპოვება? რამდენადაც ცნობილია ლიახვთან და მტკვართან რამდენიმე ლიცენზირებულ ობიექტზე მაინც ხდება ამ წიაღისეულის მოპოვება.

   საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლების პოზიცია:
   - საქართველოს კანონით „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“ მე-9 მუხლის მე-5 პუნქტით აკრძალულია მკაცრი ზედამხედველობის ზოლში ინერტული მასალის მოპოვება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი ხორციელდება ნაპირფორმირების პროცესების მართვისა და მდინარეთა რეგულირების მიზნით.
     ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო ჯგუფს მიეცა რეკომენდაცია, რომ აღარ დაედოს ამ ტერიტორიას დამატებითი შეზღუდვა ინერტული მასალის მოპოვების მხრივ.

2. **სანაპირო-საინჟინრო დაცვის ზონა დგინდება მთლიანი კალაპოტის გასწვრივ თუ მხოლოდ იქ სადაც სამოსახლო არეალია, რაც შესაბამის ნაპირდაცვით სამუშაოებს მოითხოვს. რადგან მეჯუდაზე მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებია, იქნებ არ არის საჭირო ამ ტერიტორიაზე ნაპირდაცვითი სამუშაოების წარმოება მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამომდინარე.**

   საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპროექტო სამსახურის წარმომადგენლის პოზიცია:
   - მთლიანად ხდება სანაპირო-საინჟინრო დაცვის ზონის დადგენა, სადაც ექცევა როგორც დასახლებული პუნქტები, ასევე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები.
   - აღინიშნა, რომ სასურველია რეკომენდაციის სახით დოკუმენტში ჩაიწეროს შემდეგი; „იმ შემთხვევაში თუ საჭირო გახდება არასამოსახლო ტერიტორიებზე სამომავლო განაშენიანების ან ინფრასტრუქტურული ნაგებობების მოწყობა, საჭიროა დეტალური პროექტების შეთანხმება შესაბამის სამსახურებთან“.

3. ჭალისა და ჭალის ტყის ტერიტორიებს ვადებთ გარემოსდაცვით ზონა 3-ს - წყალდაცვით ზოლს, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება საინჟინრო დაცვის სქემა, რომ სანაპირო-საინჟინრო დაცვის ზონა წინააღმდეგობაში არ მოვიდეს გარემოსდაცვით ზონასთან.

   საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპროექტო სამსახურის წარმომადგენლის პოზიცია:

   - არის კალაპოტები, სადაც ტყით დაფარული ტერიტორიებია. ეს კი საშიშროებას წარმოადგენს, რადგან ძალზედ ამცირებს წყლის გამტარუნარიანობას, თუმცა დღეს-დღეობით რაიმე ქმედების განხორციელება შეუძლებელია.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

სხდომის ოქმი №2

გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის; გორის საგანმანათლებლო რესურს-ცენტის და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის გაერთიანებული სხდომის ოქმი №2

2019 წლის 15 თებერვალს 12:00 საათი

ფერაძის 5, ქ.გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერია

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან:

ერასტი ელინჯარაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე
ნინო ბერიანიძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების განყოფილების ხელმძღვანელი
გიორგი ბერიძე - სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფ, სპეციალისტი
ნანა ტერმაკოზაშვილი - გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი
გოგი აბაშიძე - კონსულტანტი
ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;
სოფიო თოდუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი
ანდრო ქორთუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის; გორის საგანმანათლებლო რესურს-ცენტის მხრიდან იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის; გორის საგანმანათლებლო რესურს-ცენტის მხრიდან შეხვედრის მონაწილეს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. **შემუშავებულია რამდენიმე კონცეპტუალური ამოცანა. თითოეული ობიექტისთვის წარმოდგენილია 4 ვარიანტი: 1) დამატებითი ფართის ათვისების შესაძლებლობა ობიექტისთვის; 2) ტევადობის განსაზღვრა ინდივიდუალურად, თითოეული ობიექტისთვის; 3)შესაძლებლობის შემთხვევაში სკოლების ჩანაცვლება ბაღებად; 4) ოპტიმიზაცია.**

   დამატებითი ფართის ათვისების შესაძლებლობა ობიექტისთვის განისაზღვრა არსებულ სკოლებში მოსწავლეების რაოდენობისა და ნორმატიული მაჩვენებლით ერთ მოსწავლე საჭირო ფართის მიკუთვნების მიხედვით. შედეგად კი მივიღეთ დიდი მოცულობის ფართები რომელიც დავიყვანეთ ოპტიმალურ ვარიანტამდე და მათი განვითარებისთვის მოინახა მუნიციპალური ფართის ტერიტორიებიც. აღინიშნა, რომ ამ გათვლას საფუძვლად უდევს ახალი სამშენებლო ნორმები და წესების (სნიპის) მიერ გაწერილი მოთხოვნები ინფრასტრუქტურის მიმართ როგორც ახალი სკოლების მშენებლობის ასევე არსებულის შემთხვევაში, თუმცა ყველა აღნიშნული სკოლა აკმაყოფილებს სააკრედიტაციო ნორმას. მგგ-ს მასშტაბიდან გამომდინარე, აქ საუბარია არა სკოლის შენობის ფართზე, არამედ მიწის რესურსის ფართზე. სამშენებლო ნორმები და წესები (სნიპი) გეგმარებითი ნორმით 1 მოსწავლეზე მოდის 17 კვ.მ-დან 40 კვ.მ-დე (ეს რეგულირდება სკოლის ტევადობის მიხედვით), რაც გაცილებით მეტია სააკრედიტაციო ნორმაზე. ამიტომ გვსურს შევჯერდეთ რეალურ მაჩვენებელზე სამომავლო პერსპექტივაში, რადგან მგგ-ს პროექტის არსიდან გამომდინარე სავალდებულო სახელმძღვანელო სტანდარტს წარმოადგენს სამშენებლო წესები და ნორმები (სნიპი).
   დამატებით ფართის ათვისების შემთხვევაში მოიძებნა 4 სკოლა: N5, N10, N11, N4

   გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის; სივრცითი მოწყობისა და

ინფრასტრუქტურის სამსახურის; გორის საგანმანათლებლო რესურს-ცენტის წარმომადგენლების პოზიცია:

- აღინიშნა, რომ სკოლა N5 ახლად რეაბილიტირებულია და დამატებითი ფართის ათვისების საჭიროება არ არის.
- სკოლა N11 არ აქვს ფართის დამატების საჭიროება ამჟამად იქ არსებული მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით. აღნიშნულ სკოლაში რეალურ პრობლემას წარმოადგენს ინფრასტრუქტურული მდგომარეობას. ჩვენი მიზანია ამ კუთხით მუშაობა, რათა თავიდან ავიცილოთ ქალაქის ცენტრალურ სკოლებში მოსწავლეების გადინება. მეტიც, ელექტროფიკაციის დასახლებიდან N11 სკოლის მოსწავლეებისთვის დაინიშნა ტრანსპორტიც, რადგან მოთხოვნა ძირითადად მოდის N6 და N3 სკოლებზე.

2. სამშენებლო წესები და ნორმების (სნიპი) მიხედვით განსაზღვრულია, რომ თუ უბანში არსებობს საერთო მოხმარების გამწვანებული სივრცე, შესაძლებელია ეს ტერიტორია გამოყენებულ იქნას სკოლის მიერ. რამდენიმე ობიექტის ერთად გამოყენება იქნებოდა კარგი შესაძლებლობა თუ გავითვალისწინებთ ქალაქის სპორტულ ხასიათს და სკოლების განლაგების სიმჭიდროვეს. საპროექტო ჯგუფის მხრიდან ასევე განიმარტა რომ თითოეული მომსახურების ობიექტს გააჩნია თვისი მომსახურების რადიუსი, რაც გულისხმობს ოპტიმალურ მანძილს თითოეული ობიექტისთვის (გორის სკოლების შემთხვევაში ეს არის 1 კმ.)
სამშენებლო ნორმები და წესების (სნიპი) მიხედვით გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ 4 სკოლას აქვს 100 მოსწავლის დატევის შესაძლებლობა მათი ტერიტორიის ფართის მიხედვით, ამ კუთხით რამდენად მართებულად მიგაჩნიათ სკოლების ჩანაცვლება ბაღებად; რამდენადაც გორს სკოლების კარგი დაფარვის რადიუსი გააჩნია.

   გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის; გორის საგანმანათლებლო რესურს-ცენტის წარმომადგენლების პოზიცია:

- აღინიშნა, რომ ცენტრალური სკოლების შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება არარეალურია.

3. ახალი სკოლების განთავსების საჭიროების მხრივ, ქალაქის ცენტრალური ნაწილი ამის შესაძლებლობას არ იძლევა, თუმცა გამოვლინდა რამდენიმე ტერიტორია სამომავლოდ მიწის რესურსის გათვლის თვალსაზრისით: წმინდა წყლის ზემოთ, დევნილების მიმდებარედ; კარალეთის კოტეჯების დასახლების ტერიტორია; ჭალის დასახლება; სასროლეთის მიმდებარედ; რამდენად მისაღებია გორისთვის 1000-1500 მოსწავლიანი სკოლის არსებობა.

   გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის; სივრცითი მოწყობისა და

ინფრასტრუქტურის სამსახურის; გორის საგანმანათლებლო რესურს-ცენტის წარმომადგენლების პოზიცია:

- აღინიშნა, რომ ერთადერთი ტერიტორია რომელიც შესაძლოა განვითარდეს, ეს არის ჭალის დასახლება. აღნიშნული ტერიტორია ამ ეტაპზეც განვითარების პროცესშია და სკოლას საჭიროებს.
- სკოლებში ვაუჩერული სისტემის შენარჩუნების პირობებში, ძალიან ცუდი იქნება არსებული სკოლებისთვის ახალი სკოლების მშენებლობა.
- სამომავლოდ შესაძლოა გახდეს არაუმეტეს 3 სკოლის დამატების საჭიროება.
- 1500 მოსწავლიანი სკოლის აუცილებლობა არ არსებობს, ჯერ-ჯერობით არ დაფიქსირებულა სკოლებში ადგილების ნაკლებობა მოსწავლეების მიღების თვალსაზრისით.
- მე-2 სკოლას აქვს მიწის რესურსის სერიოზული ნაკლებობა.

4. **თავისუფალი ტერიტორიის ათვისებას ბაღის და სკოლის შემთხვევაში განაპირობებს პრიორიტეტულობა, თუმცა სასურველია შევჯერდეთ შუალედურ რგოლზე, როდესაც სკოლასაც და ბაღსაც ექნება დამატებითი ფართის ათვისების შესაძლებლობა. მაგალითად, N13 ბაღს გააჩნია ამის შესაძლებლობა.**

გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის; გორის საგანმანათლებლო რესურს-ცენტის წარმომადგენლების პოზიცია:

- აღინიშნა, რომ N9 ბაღის შემთხვევაში არ არის დამატებით ფართის ათვისების შესაძლებლობა, რადგან აღნიშნული ბაღის მიმდებარედ განლაგებულია კერძო სახლები, პროფესიული კოლეჯი და გზები, რაზეც საპროექტო ჯგუფმა აღნიშნა რომ 2014 წლის ორთო ფოტოსა და Google Earth-ის მიხედვით არ ფიქსირდება კერძო სახლები, თუმცა მოხდება აღნიშნულის გადამოწმება.
- აღინიშნა, რომ ახალ ტექნიკურ რეგლამენტში დიფერენცირებულია ბაღის შენობის და რეკრეაციის ფართი ერთ აღსაზრდელზე - ჯგუფის სივრცეში არანაკლებ 2.5 კვ.მ ხოლო ეზოს შემთხვევაში - 5-7 კვ.მ.
- გამოითქვა მზაობა, რომ საპროექტო ჯგუფს მიეწოდება აღნიშნული ახალი რეგლამენტი, რომელიც კერ დამტკიცების პროცესშია.
- რაც შეეხება N14 ბაღს, ესეც პრობლემურია, რადგან ბაღის ნაწილი დაკავებულია უშიშროების სამსახურის მიერ.
- კომბინატში ლიახვის პირზე არსებობს სტანდარტული ბაღის შენობა საკმაოდ დიდი ფართით, რომელიც თავისუფლდება.
- სადგურის დასახლებაში უკვე შენდება ბაღი საკადასტრო ნომრით: 66.45.32.099 (მოშენების ფართობი-488.0კვ.მ; ტერიტორიის ფართობი-1611.9 კვ.მ)
- ვერხვების დევნილთა დასახლებაში არის 4 ჯგუფიანი ბაღი, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს ვერხვების დევნილთა დასახლებას.

- ვერხვების დასახლებაში პრობლემა მოიხსნება, როდესაც N1 ბაგა-ბაღი გამოთავისუფლდება დევნილებისგან, რაც მოგვცემს 12 ჯგუფის შესაძლებლობას.
- თოიძის ქუჩაზე ასევე ფუნქციონირებს 2 ბაღი.
- წმინდა წყალზე არის 2 გამოსახლებული ბაღი, რაც კრიტიკულ მდგომარეობას ქმნის.
- რჩევის სახით გამოითქვა აზრი, რომ მიწის რესურსთან დაკავშირებით უმჯობესია შეხვედრა არქიტექტურის სამსახურთანაც, რაზეც საპროექტო ჯგუფმა აღნიშნა, რომ შეხვედრა უკვე შედგა როგორც არქიტექტურის ისე ქონების მართვის სამსახურთან.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის
გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2019 წლის 14 თებერვალს 12:00 საათი

ფერაძის 5, ქ.გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერია

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან:

რამაზ შიოშვილი -გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი
გოგი აბაშიძე - კონსულტანტი
ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მხრიდან იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება გორის მუნიციპალიტეტის მერის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მხრიდან შეხვედრის მონაწილეს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

შეხვედრაზე განხილული საკითხები:

1. **რამდენად მორგებადი და რეალურია გორისთვის სპორტული ქალაქის სტატუტი, რომელიც საშუალებას მისცემდა ქალას მეტად განვითარებისთვის. გორის მიზიდულობას განაპირობებს 2 მთავარი ხაზი: ტურიზმი სტალინის მუზეუმის სახით და სპორტი. ეს ასევე ხელს შეუწყობდა ახალგაზრდების დაინტერესებას ქალაქისადმი, რამეთუ დღევანდელი მდგომარეობით გორი იცლება ახალგაზრდებისგან.**

   გორის მუნიციპალიტეტის მერის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლის პოზიცია:
   - ქ. გორში სპორტის განვითარების მაჩვენებელი ძალიან მაღალია, რამეთუ სპორტის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტულს საკითხს წარმოადგენს.
   - ახალგაზრდებისგან ქალაქის დაცლის საკითხი მწვავედ დგას არა მხოლოდ ქ. გორში, არამედ სხვა ქალაქებშიც.
   - ასევე აღინიშნა, რომ ახალგაზრდების გართობის მიზნით შეიქმნა რამდენიმე გასართობი კლუბი, თუმცა ვერცერთმა ვერ გაამართლა.

2. **სპორტის განვითარებისთვის აუცილებელია სპორტული აქტივობების გადატანა ქალაქის ქუჩებში, მაგალითისთვის ერთ-ერთ ასეთ სპორტულ აქტივობად მიგვაჩნია ქ. გორის ქუჩებში სარბენი ბილიკების შექმნა, რომელსაც მოქმედი სპორტსმენები აქტიურად გამოიყენებენ. ეს ასევე იქნება კარგი შესაძლებლობა მარათონის ჩასატარებლად. ამისათვის შემუშავდა პირველადი მონახაზი: ძველი უბნის და მოედნების ტერიტორია და ისტორიული დასახლება.**

   გორის მუნიციპალიტეტის მერის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლის პოზიცია:
   - აღინიშნა, რომ სარბენი ბილიკების მოწყობა ძალიან რეალისტური და აუცილებელია.
   - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები ძალიან აქტიურად არიან ჩართულნი სპორტის ამ სახეობაში, მიუხედავად იმისა რომ შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ არსებობს. ამრიგად, აუცილებელია შესაბამისი სარბენი ბილიკების მოწყობა არამხოლოდ სპორტსმენებისთვის, არამედ მოქალაქეებისთვის.
   - მარათონის იდეა ძლიან მისასალმებელია, რისთვისაც მაქსიმალური ხელშეწყობა იქნება გორის მუნიციპალიტეტის მერის განათლების, კულტურის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მხრიდან.
   - გამოითქვა მზაობა, რომ საპროექტო ჯგუფს მიეწოდოს არსებული სპორტული ობიექტების განახლებული სია.

3. **პროექტის პირველ ეტაპზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეხვედრისას გამოიკვეთა რამდენიმე სპორტული აქტივობა, რაც შესაძლოა განვითარდეს ქ. გორში. მათ შორის იყოს საველოსიპედო გზები, თუმცა დიდი რაოდენობით ძაღლების არსებობა ართულებს ამ მიმართულებით სპორტული აქტივობის განვითარებას, რადგან სპორტული აქტივობისას აუცილებელია უსაფრთხოება.**

   გორის მუნიციპალიტეტის მერის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლის პოზიცია:

- ძაღლების მხრივ საველოსიპედო სპორტის განვითარება არარეალურია ისევ უსაფრთხოებიდან გამომდინარე.

4. **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სურს რამდენიმე მსხვილი სპორტული ობიექტის განთავსება ქ. გორში (კომბინატის დასახლება, ჭალა). გარდა ამისა, წმინდა წყალზე ამჟამად მუშავდება განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც მოიაზრებს საბანაკო ხასიათის სპორტულ აქტივობებს.**

   გორის მუნიციპალიტეტის მერის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლის პოზიცია:

   - აღინიშნა, რომ ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერია მაქსიმალურად ცდილობს, რომ უმასპინძლოს წლევანდელ სასკოლო ოლიმპიადის ფინალს. ამისათვის მოაზრება საბანაკე ინფრასტრუქტურის დაგეგმვა ატენის ხეობაში.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

სხდომის ოქმი №2

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის - ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოსა“ და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის გაერთიანებული სხდომის ოქმი №2

2019 წლის 14 თებერვალი 11:00 საათი

ცხინვალის გზატკეცილი, II კმ. გორი

კეთილმოწყობის სააგენტოს შენობა

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოს“ მხრიდან:

ბაჩანა გვიანიშვილი - ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოს“ ხელმძღვანელი

შალვა ტერმაკოზაშვილი - გორის სასაფლაოს განყოფილების ხელმძღვანელი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი

გოგი აბაშიძე - კონსულტანტი

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის - ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოს“ მხრიდან იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის - ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოს“ მხრიდან შეხვედრის მონაწილეებს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. კონცეფციის ფარგლებში უნდა შეფასდეს განვითარების რეალური შესაძლებლობა და მოხდეს შესაბამისი ტერიტორიის შერჩევა. სახელმწიფო სტრუქტურებთან შეხვედრისას გამოიკვეთა რამდენიმე მოსაზრება თუ როგორ შეიძლება მოხდეს სასაფლაო ტერიტორიის განვითარება, მათ შორის, ხომ არ არის უმჯობესი მოიძებნოს ალტერნატიული ტერიტორიები სასაფლაოსთვის ქალაქის თანაბარი გადანაწილების მიზნით. მიწისქვეშა წყლებიდან გამომდინარე არსებული სასაფლაოს დასავლეთ ნაწილი განვითარების შესაძლებლობას არ იძლება, სამხრეთი და ჩრდილო ნაწილები პრობლემურია გეოლოგიური თვალსაზრისით და ამის გამო შესაძლოა ისევ სასაფლაოს გაფართოებაზე იყოს საუბარი. მერიის მიერ გამოგზავნილი არსებული ჩარჩოს მიხედვით მოიაზრება გარკვეული მიწის რესურსი (3.2 ჰა) სამხრეთით, ნუშის ბაღების მიმართულებით.

   ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოს“ პოზიცია:
   - აღინიშნა რომ ნუშების სანერგე ტერიტორია კეთილმოწყობის ბალანსზეა.
   - კვერნაკის დასახლების მხარეს საკრებულოს მიერ დადგენილი კონტური იძლევა განვითარების საშუალებას, თუმცა დაახლოებით 100 მეტრშია წყლის სათაო ნაგებობები და საცხოვრებელი სახლები, რაც არ იძლევა იმ მიმართულებით განვითარების საშუალებას.

2. შემუშავდა განვითარების 2 ვარიანტი. მერიის პოზიცია მდგომარეობს სასაფლაოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებით განვითარებაში. ასევე შეფასდა 2 მცირე სასაფლაოც, რომლის განვითარებაც არ მოიაზრება საპროექტო ჯგუფის მიერ. ხომ არ განიხილება დევნილების სასაფლაოების გადაცემა კეთილმოწყობის სამსახურთან.

   ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოს“ პოზიცია:
   - დევნილების სასაფლაოსთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ იქ ტერიტორიის საკმარისი რესურსი არსებობს.
   - იძულებით გადაადგილებულ პირთა სასაფლაო ტერიტორიის გადმოცემა კეთილმოწყობის სააგენტოსთვის არ იგეგმება.

3. ცენტრალური სასაფლაოს შემთხვევაში, საუბარია იმაზე, რომ სანიტარული 200 მეტრიანი დაცვის არეალი მასაც ეკუთვნის, რომლის დიდი ნაწილი მოიაზრება გამწვანებულ სივრცედ.
   სამშენებლო ნორმების და წესების (სნიპი) მოთხოვნიდან გამომდინარე, სანიტარული ზონის 60%-ს უნდა წარმოადგენდეს გამწვანებული ტერიტორია. სასაფლაოს განვითარების ორივე შეთავაზებული ვარიანტის შემთხვევაში რელიეფი მეტწილად რთულია. ამათგან, სამხრეთით განვითარება გულისხმობს ხეობაზე გადასვლას, რაც კიდევ მეტად პრობლემურია. ახალი სასაფლაო ტერიტორიის განვითარების ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ახალი სასაფლაო ტერიტორიის განვითარება შეუძლებელია, არის ის რომ 10 წელიწადზე გათვლილი 5 ჰა ტერიტორიის გამოყოფა, რომელიც დამატებით მოითხოვს 12 ჰა შეზღუდვით არეალს, რთულია. როგორც გამოვლინდა, საზღვრის მიმართულებით სასაფლაოს განვითარება დასაშვებია, მისი განვითარება შეუძლებელია სამხრეთის მიმართულებით.

   ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოს“ პოზიცია:
   - აღინიშნა, რომ არსებულ საკადასტრო ზონას არ არის გაცდენილი არსებული სასაფლაო ტერიტორია.
   - ახალი დადგენილების მიხედვით გარდაცვალების ცნოვის გარეშე წინასწარ ადგილის შესყიდვა შეუძლებელია, რაც ხელს შეუწყობს სასაფლაო ტერიტორიის სწორად გადანაწილებას.

- აღინიშნა, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთით 5 ჰა მიწის დამატება მისაღებია სასაფლაოს გაფართოებისთვის.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

სხდომის ოქმი №1

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; დეველოპერული და სამშენებლო კომპანიის; სამაკლერო ორგანიზაციის და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის
გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2019 წლის 30 იანვარი 13:00 საათი

გრიგოლ ფერაძის N5, გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერია

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; დეველოპერული და სამშენებლო კომპანიის; სამაკლერო ორგანიზაციის ***მხრიდან:***

გია პაპიტაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების განყოფილების უფროსი

გიორგი კანდელაკი - დეველოპერული და სამშენებლო კომპანიის წარმომადგენელი

ოფელია მაკრახიძე - დეველოპერული და სამშენებლო კომპანია „ემესჯი“-ს ხელმძღვანელი

გელა მაზმიშვილი - სამაკლერო ორგანიზაციის წარმომადგენელი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი

შოთა მურღულია - დარგობრივი ექსპერტი ეკონომიკის მიმართულებით

ზურაბ ბერაძე - დარგობრივი ექსპერტი სატრანსპორტო მიმართულებით

გოგი აბაშიძე - კონსულტანტი

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; გორის დეველოპერული და სამშენებლო კომპანიის; სამაკლერო ორგანიზაციის მხრიდან იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; გორის დეველოპერული და სამშენებლო კომპანიის; სამაკლერო ორგანიზაციის მხრიდან შეხვედრის მონაწილეს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. **ბოლო წლებში დაფიქსირდა უძრავი ქონებით ოპერაციების (ეკონომიკური კლასიფიკაცია) მაჩვენებლის ძალიან მაღალი ზრდა, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი.**

   გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; გორის დეველოპერული და სამშენებლო კომპანიის; სამაკლერო ორგანიზაციის წარმომადგენლების პოზიცია:
   - ძირითად მიზეზს წარმოადგენს ლტოლვილებისთვის დაახლოებით 484 ბინის დარეგისტრირება. ასეთი ფაქტები აღინიშნება ასევე კომბინატის დასახლებაში.
   - ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიამ 6 თვეში 54 ბინა დაარეგისტრირა.
   - ზოგადად კი, მესაკუთრეებმა დაიწყეს თავიანთი ქონების დარეგისტრირება, რაშიც დიდი როლი ითამაშა სახელმწიფო დაფინანსების ხელშეწყობის პროგრამამ, უცხოელების მიერ მიწების შესყიდვამ და იმის შიშმა რომ ამ მომხდარიყო სახელმწიფოს მიერ დაურეგისტრირებელი ქონების გაყიდვა.
   - აღინიშნა, ასევე რომ გორიდან საზღვარგარეთ წასული მოქალაქეების მიერ ხდება ქონების შეძენა და დარეგისტრირება. თუმცა ბინების შეძენა ხდება არა დაბანდების თვალსაზრისით, არამედ საკუთარი გამოყენების მიზნით, როგორც პირველადი ბინა. გორიდან წასული ადამიანი ბინას ყიდულობს ისევ გორში, დაბრუნების მიზნით და არა თბილისში.
   - ბოლო სამი წლის განმავლობაში გორში დეველოპერული და სამშენებლო კომპანიების განვითარებამ განაპირობა ბინების შეძენა.
   - ასევე, ბინების შეძენაზე იმოქმედა ბინების გაქირავების ფასმა, რაც არ ჩამოუვარდება თბილისში ქირის ღირებულებას.
   - არის შემთხვევა, როდესაც საზღვარგარეთ მცხოვრებმა პირმა თბილისში გაყიდული ბინის ფასად გორში იყიდა 2 ერთ ოთახიანი ბინა გაქირავების მიზნით, რომელსაც ნათესავი ხელმძღვანელობს.

2. **გათვლების და კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ ეკონომიკური კუთხით შიდა ქართლში მშენებლობა არ წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან მიმართულებას (ავტობანის მშენებლობის გამოკლებით). თუმცა ფაქტია რომ მშენებლობა მიმდინარეობს. რამდენად რეალურია ჩვენს მიერ**

„სიტყვა და საქმე“, “my home” და სხვა ვებ. გვერდებიდან მოპოვებული ინფორმაცია უძრავი ქონების ღირებულების ჭრილში. სტალინის ქუჩაზე 1 კვ.მ ბინის ღირებულება შეადგენს 1207 ლარს, ასევე 1000 და 915 ლარს და ა.შ., ასევე, როგორია ფასის დაკლების რეალური მაჩვენებელი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; გორის დეველოპერული და სამშენებლო კომპანიის; სამაკლერო ორგანიზაციის წარმომადგენლების პოზიცია:

- სტალინის ქუჩა ყველაზე ძვირადღირებული ქუჩაა ქ. გორში.
- ცენტრში 1 ოთახიანი (სტანდარტული პროექტი 58 კვ.მ) ბინის ღირებულება მერყეობს 20000 ამერიკული დოლარის ფარგლებში.
- სტალინის ქუჩაზე 2 ოთახიანი (48 კვ.მ) გაიყიდა 25500 ამერიკულ დოლარად, შეთავაზებული ფასის დაკლების მარჯა კი ძალიანი დაბალი იყო.
- გარემონტებული ახალაშენებული 1 კვ.მ ბინის ღირებულება შეადგენს 430 ამერიკულ დოლარს.
- სამეფოს ქუჩაზე აშენებულ კორპუსში გარემონტებული ბინის 1 კვ.მ-ის ღირებულებაა 430 ამერიკული დოლარი.
- ძველი მერიის მოედნის ტერიტორიაზე 1 კვ.მ ბინის ღირებულება შეადგენს 500 ამერიკულ დოლარს.
- ჭალაში ბინები ძალიან იაფია.
- ცენტრის გარდა იმდენად ნაკლებია ბინებზე მოთხოვნა, რომ ერთ-ერთი ახალ აშენებულ კორპუსში, სადაც 1 კვ.მ 320 ამერიკული დოლარი ღირს, მხოლოდ 7 ბინაა გაყიდული.
- მოედანთან, საკრებულოს გვერდით 1 კვ.მ გარემონტებული ბინის მაქსიმალური ღირებულება შეადგენს 500 ამერიკულ დოლარს. თეთრი კარკასი კი - 400-420 ამერიკულ დოლარს. კორპუსის სიმაღლე შეადგენს 8 სართულს რომელიც განთავსებულია 1200-1300 კვ.მ ფართზე. კოეფიციენტებით გამოდის K2-3. ეზოს წილი შეადგენს 50% დან 60%-მდე. 8 სართულიანი კორპუსის აშენების ღირებულება მიწის ღირებულების ჩათვლით მერყეობს კვადრატულ მეტრზე 350 ამერიკული დოლარის ფარგლებში, მშენებლობის ძველი სტანდარტის მიხედვით. 8 სართულიანი კორპუსზე დაბალი სახლის საბაზრო ღირებულება იქნება 500 ამერიკული დოლარი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ გორში სამშენებლო მასალები შემოდის თბილისიდან, რაც ზრდის მშენებლობის ღირებულებას. 5000 კვ.მ აშენება დასრულდა 18 თვეში. 1117 კვ.მ მიწის ფართის ღირებულება შეადგენდა 140000 ამერიკულ დოლარს, თუმცა მიწის ღირებულება გაიზარდა - 1 კვ.მ მიწა ღირს 350 ამერიკული დოლარი, 200 ამერიკულ დოლარად ფიზიკურად არ ყიდიან. წმინდა სამშენებლო ფართის ღირებულება (1 კვ.მ) არის 220-250 ამერიკული დოლარი.

3. **რამდენად ხშირად იყიდება ახალი აშენებული ბინები. რამდენი დეველოპერია სულ გორში. ამხანაგობის ტიპის მშენებლობა თუ ფიქსირდება.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; გორის დეველოპერული და სამშენებლო კომპანიის; სამაკლერო ორგანიზაციის წარმომადგენლების პოზიცია:

- აღინიშნა, რომ ძალიან ძნელად იყიდება ახალაშენებული ბინები, რის გამოც 3-5 წლიან უპროცენტო განვადებასაც (როგორც დასრულებულ ბინაზე, ასევე მშენებლობის პროცესის დროს) კი სთავაზობენ კლიენტებს. ამის ერთ-ერთი მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ნდობის ფაქტორი. თუმცა ითქვა, რომ მშენებლობის დაწყების პირველ წელს 50 % გაყიდვა დაფიქსირდა.

- ერთ-ერთი ახალაშენებულ კორპუსში 83 ბინიდან მხოლოდ რამდენიმე ბინაა გაყიდული.
- დეველოპერების რაოდენობა დაახლოებით შეადგენს 5 ერთეულს, ამხანაგობის ტიპის მშენებლობები არ ფიქსირდება.
- 2018 წლის მშენებლობის ნებართვების ზუსტი რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ. წმინდა წყალში დაწყებული მშენებლობა გაჩერებულია.
- ბინის მაქსიმალური ფართი რაც, გაყიდულა არის 90 კვ.მ. ძირითადი მოთხოვნა მოდის 48-60 კვ.მ ფართის ბინებზე.

4. თუ შენდება კერძო სახლები. როგორია მწვანე უბნის ტენდეცია. როგორც ცნობილია გრუნტის წყლების პრობლემა არსებობს.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; გორის დეველოპერული და სამშენებლო კომპანიის; სამაკლერო ორგანიზაციის წარმომადგენლების პოზიცია:

- კერძო სახლები იშვიათად შენდება, სულ მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 10, და ყველა თვითონ აშენებს.
- ქ. გორსა და გორის რაიონს შორის არ არის ზღვარი, ეს კი არ იძლევა მწვანე უბნის შეთავაზების საშუალებას.
- გრუნტის წყლების პრობლემაა წმინდა წყალზე, მხოლოდ პერიფერიაში. თუმცა დღეს-დღეობით პრობლემას აღარ წარმოადგენს წყლების და სხვა სახის წინააღმდეგობების გამკლავება შესაბამისი თანამედროვე კონსტრუქციებით.
- აღინიშნა, რომ ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელია არანაკლებ 15-16 სართულიანი კორპუსების მშენებლობა. რეგიონში ბიზნესის განვითარება კი უზრუნველყოფს ხალხის რეგიონში დამაგრებას.

5. უცხო ქვეყნის მოქალაქის რამდენი პროცენტი ყიდულობს ბინებს გორში. როგორია გორში ცარიელი ბინების მაჩვენებელი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; გორის დეველოპერული და სამშენებლო კომპანიის; სამაკლერო ორგანიზაციის წარმომადგენლების პოზიცია:

- აღნიშნა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ ახალაშენებული ბინის შეძენის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.
- ძალიან ცოტაა დაკეტილი ბინების რაოდენობა, შეიძლება ამის მაქსიმალური მაჩვენებელი იყოს 100 ერთეული, რადგან ძირითადად ბინები გაქირავებულია.

6. გორი დაყოფილია რამდენიმე ზონად და ქვე ზონად, რამდენად რეალურია ასეთი ტიპის დაყოფა.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; გორის დეველოპერული და სამშენებლო კომპანიის; სამაკლერო ორგანიზაციის წარმომადგენლების პოზიცია:

- აღინიშნა, რომ გორის ასეთი დაყოფა შეუძლებელია, უნდა ფიქსირდებოდეს მხოლოდ კულტურული ცენტრალური უბანი სტალინის სახლ-მუზეუმის და გორის ციხის მიდანო, ადმინისტრაციული ცენტრი და დანარჩენი ქალაქი ერთიან ზონად.

- ამ ორი ცენტრის გარეთ შესაძლებელი უნდა იყოს 15-16 სართულიანი კორპუსების მშენებლობა, რომ მოხდეს ქალაქის განვითარება.
- დეველოპერების მხრიდან გამოითქვა სურვილი, რომ თბილისი არ გახდეს გორისთვის მისაბაძი ზონების და შეზღუდვების ჭრილში, როგორც ორი სრულიად განსხვავებული ქალაქი, რაზეც საპროექტო ჯგუფმა აღნიშნა, რომ დიდი ქალაქების მაგალითი ზონირების დაყოფის მხრივ შეუსაბამოა გორისთვის.
- საპროექტო ჯგუფის მხრიდან ასვე აღინიშნა, რომ ზონირების დადგენის შემთხვევაში ამოქმედდება ნორმატიული აქტი- 59-ე დადგენილება, სადაც მითითებულია დადგენილი კოეფიციენტები ზონების შესახებ. ამ კანონით ხელმძღვანელობს საპროექტო ჯგუფი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამუშავების პროცესში.

7. **როგორია ბინის ქირა ახალ აშენებულ კორპუსში.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; გორის დეველოპერული და სამშენებლო კომპანიის; სამაკლერო ორგანიზაციის წარმომადგენლების პოზიცია:

- დაახლოებით 50 კვ.მ ბინის (ახალაშენებეულ კორპუსში) ქირა შეადგენს 250 ამერიკულ დოლარს.
- ცენტრის გარეთ, კარგად გაკეთებული ბინის ქირა შეადგენს 200-დან 300 ლარს, როგორც 45-48კვ.მ ისე 28 კვ.მ ფართის მქონე.
- ძირითადად ქირავდება მცირე ფართის ბინები.
- მქირავებლები არიან ეუთოს თანამშრომლები (10 ასეთი ბინა ფიქსირდება) და ახალგაზრდა წყვილები.
- სტუდენტები და რაიონიდან ჩამოსული გორში მომუშავე პირები ბინებს ქირაობენ შედარებით დაბალ ფასად.
- 2009 წელს საკუთარი სახლის ქირის ღირებულება შეადგენდა 1000 ლარს.

8. **სასტუმროს მშენებლობა თუ არის მომგებიანი.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; გორის დეველოპერული და სამშენებლო კომპანიის; სამაკლერო ორგანიზაციის წარმომადგენლების პოზიცია:

- თბილისთან სიახლოვის გამო სასტუმროს მშენებლობა არ არის მომგებიანი, თუმცა შენდება ერთი ახალი სასტუმრო.
- აღინიშნა, რომ ატენის ხეობისკენ შესაძლოა ჩამოყალიბდეს ე.წ. „კემპინგის“ სივრცე.

9. **მდინარე მეჯუდას მიღმა ტერიტორიის განვითარება რამდენად რეალურია, როგორც მწვანე სივრცე. თუ იქნებოდა ამ ტერიტორიაზე განვითარების ინტერესი.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; გორის დეველოპერული და სამშენებლო კომპანიის; სამაკლერო ორგანიზაციის წარმომადგენლების პოზიცია:

- შესაბამისი კომუნიკაციებისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის პირობებში, შესაძლოა ამ მიწაზე იყოს დაინტერესება 15-20 წლიან პერსპექტივაში, თუმცა ამ ადგილის

ჭარბტენიანობიდან გამომდინარე, რთული იქნება საძირკველის მოწყობა, სადაც ბუნებრივი ნალექების დამატების შედეგად ისედაც ჭაობი წარმოიქმნება.

- დღეს იქ ინვესტიცია წამგებიანია.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

სხდომის ოქმი №1

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის

გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2019 წლის 30 იანვარი 11:00 საათი

გრიგოლ ფერაძის N5, გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერია

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

გორის მერიის მუნიციპალიტეტის *მხრიდან:*

გია სამნიაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი

გია პაპიტაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების განყოფილების უფროსი

არჩილ განჯელაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

მარიტა ბიბილაშვილი - ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს დირექტორი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი

შოთა მურღულია - დარგობრივი ექსპერტი ეკონომიკის მიმართულებით

ზურაბ ბერაძე - დარგობრივი ექსპერტი სატრანსპორტო მიმართულებით

გოგი აბაშიძე - კონსულტანტი

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- **გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს** მხრიდან იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება **გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს** მხრიდან შეხვედრის მონაწილეებს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. **მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებამდე მნიშვნელოვანია დროებითი შეზღუდვების დაწესება მიწების გასხვისების შეჩერების მიზნით. შესაბამისად, საპროექტო ჯგუფის დიდ ინტერესს წარმოადგენს თუ სად ფიქსირდება ძირითადი მოთხოვნები ნებართვების გაცემის მხრივ.**

   გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლების პოზიცია:
   - ძირითადი მოთხოვნა ფიქსირდება სუხიშვილის და წმინდა წყლის მიმართულებით; ჭალის დასახლებაში, რაგბის მოედნის მიმდებარედ.
   - გამოითქვა სურვილი, რომ მერიის ქონების სამსახურს მიეწოდოს ინფორმაცია იმ სავარაუდო ტერიტორიების შესახებ, რომლებზეც მოხდება დროებითი შეზღუდვების დაწესება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დასრულებამდე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპისთვის მერიის ქონების სამსახურმა თითქმის ყველგან შეზღუდა გასხვისების პროცესი.

- საპროექტო ჯგუფმა რჩევის სახით მიიღო მოსაზრება, რომ წერილობითი სახით ოფიციალურად აცნობონ შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებს მაღალი მოთხოვნების მქონე ტერიტორიებზე მიწის გასხვისების დროებით შეჩერების შესახებ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამუშავების დასრულებამდე.

2. **გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის - ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სააგენტოსთან" შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სასაფლაოსთვის ჭირდებათ დამატებითი ტერიტორია. მათთვის სასურველი ტერიტორიის ფარგლებში ხომ არ ფიქსირდება სხვა ტერიტორიული მოთხოვნა.**
გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლების პოზიცია:
    - აღინიშნა, რომ სასაფლაოსთვის დამატებითი ტერიტორიის გამოყოფა შესაძლებელია მხოლოდ მის უკანა ფერდობზე. სხვა შემთხვევაში ეს იქნება უსამართლო ქმედება, რამეთუ არსებული სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიის ნაწილი იჯარით არის დატვირთული. ასევე, 30 ჰა კერძო ტერიტორიაზე ნუშის ბაღებია გაშენებული. დაახლოებით 100 ჰა კი ასევე კერძო საკუთრებაში. ყოველი ეს შეუძლებელს ხდის აქ სასაფლაოს განვითარებას.
    - აღინიშნა, რომ სასაფლაოს შევსების შემთხვევაში უნდა დაწესდეს გარკვეული სახის შეზღუდვა, რაც არ გამოიწვევს მის გაზრდას. აუცილებელი არ არის სასაფლაო ტერიტორიების ერთმანეთთან ბმა, უნდა მოხდეს სასაფლაოს ახალ ტერიტორიაზე განთავსება.

3. **ბოლო სამი წლის მანძილზე, რომელ დიდ ობიექტებზე გაიცა ნებართვები, სულ რამდენი ნებართვაა გაცემული. როგორია კოეფიციენტები ან თუ არის მაღალი კოეფიციენტის მოთხოვნა. თუ იზღუდება მაღალსართულიანი (მაგ. 16 სართული) კორპუსის მშენებლობა.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლების პოზიცია:
    - გამომდინარე იქიდან რომ გორის მუნიციპალიტეტისთვის არ არსებობს ისეთი სამართლებრივი აქტები, როგორიცაა ზონალური შეთანხმება და დადგენილი კოეფიციენტი, ხელმძღვანელობენ დროებითი დებულებებით. თუმცა არის გარკვეული შეზღუდვები სისქეების, მეზობელი მიწის ნაკვეთის, მიმდებარე კვარტლის პირობების დადგენის და ა.შ. სახით, რომელიც ზღუდავს 16 სართულიანი სახლების მშენებლობას.
    - მერიის არქიტექტურის სამსახურის მხრიდან გამოითქვა მზაობა, რომ საპროექტო ჯგუფს მიეწოდება 2017 და 2018 წლის მონაცემები გაცემულ ნებართვებთან დაკავშირებით საკადასტრო კოდების და სართულიანობის მითითებით. გაცილებით ადრეული მონაცემების მიღება შესაძლებელია ძველი მერიის არქივიდან.
    - ასევე, საპროექტო ჯგუფს მიეწოდება მრავალსართულიანი შენობების სია თავისი დანიშნულებისა და კოდის მითითებით.

4. **ძირითადად სად ფიქსირდება დიდი კომერციული ობიექტების ერთობლიობა.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლების პოზიცია:

- კომერციული ობიექტების ძირითადი ადგილია ცხინვალის გზატკეცილი.
- აღინიშნა, რომ კომერციული ობიექტების გაჩენამ ააღორძინა წმინდა წყლის ტერიტორია, იქ სადაც გაცილებით მეტია მიწის ნაკვეთების რაოდენობა.

5. **ნორმატიული ფასისთვის ქალაქი დაყოფილია 3 ზონად და შემდეგ ქვე-ზონებად. ხომ არ განაპირობა ეს არქიტექტურამ. რამდენად გამოყენებადია ნორმატიული ფასი.**
გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლების პოზიცია:

- ეს არ არის არქიტექტურის შედეგი.
- მოწვეული აუდიტი ადგენს თითოეული კვარტალის ქონების ნორმატიულ ფასს, თუმცა ნორმატიული ფასით არ ხდება ქონების რეალიზება.
- დღევანდელი ზონების და ქვეზონების პრინციპი განაპირობა ქალაქის განვითარებამ, მისმა იერსახემ და სამეწარმეო სტატუსმა, რომელიც წარმოადგენდა კომბინატის ხიდიდან მარჯვენა ნაპირის მთელ გაგრძელებას. თუმცა რაიონის სამომავლო განვითარებაზე უარყოფითად აისახება მისი ზონებად დაყოფა.
- განვითარებიდან გამომდინარე სასურველია ქალაქში არსებობდეს მხოლოდ ერთი ზონა ნორმატიული ფასისთვის, და იყოს რაიონული ზონა, გზის პირა ზოლის განსაზღვრის მიზნით.

6. **შეიცვალა თა არა ნორმატიული ფასები ბოლო 3 წლის განმავლობაში. ხომ არ შეიცვლება ნორმატიული ფასი ახლო მომავალში და მოიმატა თუ არა მიწის ღირებულებამ. ქონების გაყიდვის შემთხვევაში, ქონების ღირებულება ყოფილა თუ არა ნორმატიულ ფასზე დაბალი.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლების პოზიცია:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში ბაზარზე ნორმატიული ფასი არ შეცვლილა.
- ნორმატიულ ფასზე დაბალი მიწის ღირებულების შემთხვევა დაფიქსირდა მხოლოდ ერთადერთხელ, უფლისციხეში.
- გამოითქვა მზაობა, რომ საპროექტო ჯგუფს მიეწოდოს 2017 და 2018 წლების ქონების პრივატიზების ნუსხა და გეგმა, სადაც დაფიქსირებული ფასი ექსპერტის მიერაა დადგენილი.

7. **უძრავი ქონებით ოპერაციებისთვის შექმნილი საიტების მიხედვით დადგინდა რომ ცენტრალურ ნაწილში 1 კვ.მ ბინის ფართის ღირებულება საშუალოდ შეადგენს 1200 ლარს. რამდენად შეესაბამება რეალობას ეს მონაცემი.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლების პოზიცია:

- ცენტრალურ ნაწილში, 1 კვ.მ ბინის ღირებულება არ აღემატება 450 ამერიკულ დოლარს,
- ცენტრალურ ნაწილში, 1 კვ.მ მიწის ღირებულება შეადგენს 220 ლარს.
- ცენტრალურ ნაწილში, ახალაშენებული 1 კვ.მ ბინის (თეთრი კარკასი) საშუალო ღირებულება 350 დან 400 ამერიკულ დოლარამდე მერყეობს.
- წმინდა წყლის ტერიტორიაზე, სადაც 1 კვ.მ ბინის ღირებულება 250 ამერიკულ დოლარს არ აღემატება, მოთხოვნა არ არის.

8. **საწარმოო ფუნქციით თუ იყიდება ტერიტორიები.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლების პოზიცია:

- სუფთა საწარმოს ტერიტორიას წარმოადგენს შინდისის გზატკეცილი.
- ერთადერთი დიდი წარმოება, რომელიც დატვირთულად შეიძლება ჩაითვალოს, არის წისქვილკომბინატი.

9. **ეკონომიკური კვლევის საფუძველზე დადგინდება რამდენად მიზანშეწონილია დამატებითი კორპუსების მშენებლობა. შეზღუდვა რომელიც დაწესდება უნდა იყოს დასაბუთებული.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლების პოზიცია:

- ცენტრალურ ნაწილში აუცილებელია საჭირო შეზღუდვები არასათანადო მშენებლობების მიმართ.

10. **მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით ლიდერობს სოფლის მეურნეობა, არ ჩანს გადამამუშავებელი წარმოების მაჩვენებლის პროპორციული ზრდა, რა არის ამის მიზეზი.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლების პოზიცია:

- ამ მხრივ სოფლის მეურნეობა ლიდერობს, თუმცა გორს წარმოებით უსწრებს კასპი.
- ტურისტის რაოდენობით გორი მდიდარია, თუმცა ეს არ გულისხმობს ტურიზმის მაღალ ეკონომიკურ დონეს არასათანადო ტურისტული ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე.
- გორში გაიხსნა 2 ახალი სასტუმრო, თუმცა ტურისტის დარჩენის მაჩვენებელი ნაკლებია.
- 2018 წელს გადამამუშავებელი ქარხნებიდან მხოლოდ ერთი ფუნქციონირებდა, სადაც მიღებული გადასამუშავებელი პროდუქცია განახევრებული იყო 2016 წელთან შედარებით.
- 2 წარმოების გაჩერება განაპირობა ეკონომიკურმა კრიზისმა და საბოლოოდ გაკოტრებამ.
- აღინიშნა, რომ 2019 წელს გორში იქნება 7-8 გადამამუშავებელი ქარხანა რომელიც სრული დატვირთვის იფუნქციონირებს.
- წარმოების ფუნქციონირებაზე პირდაპირ კავშირშია ჩასაბარებელი პროდუქტის ღირებულება, რომელიც იმდენად დაბალია, რომ პროდუქციის შემქმნელს არ უღირს მისი მოყვანა, ხოლო ისინი, ვინც კარგად აწარმოებს ამ პროდუქციას უზრუნველყოფილნი არიან თავიანთი სამაცივრე მეურნეობებით.
- პროდუქციის შემცირება ასევე განაპირობა ძველი ჯიშების ახალით ჩანაცვლებამ, რომელსაც გარკვეული დრო ჭირდება მოსავლის მისაღებად.
- გორის იდეალური მდებარეობა იძლევა საშუალებას რომ მეტად განვითარდეს სოფლის მეურნეობა, ისეთ ჭრილში როგორიცაა, მებოსტნეობა და კურკოვანი ხილის მოყვანა.

11. რატომ წარმოადგენს უპირატესობას გადამამუშავებელი ქარხნების არსებობა ქალაქ გორში და არა მის გარეთ.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლების პოზიცია:

- დღეს არსებული გადამამუშავებელი ქარხანა, რაც კი ფუნქციონირებს, მათ შორის კულაც, არსებული ინფრასტრუქტურის საფუძველზე განვითარდა. არცერთი ქარხანა არ აშენებულა თავიდან.
- ტყვიავში არსებული გადამამუშავებელი ქარხნის გაუმჯობესებამ შესაძლოა გამოიწვიოს მთელი პროდუქციის მიზიდვა. შესაბამისად, საჭირო აღარ იქნება პროდუქციის ქალაქში ჩამოტანა.
- შესაძლებელია, რომ კულა კონცენტრანტის გასატანად იყენებდეს რკინიგზას, თუმცა ეს დასაზუსტებელია.
- აღინიშნა, რომ კულას წარმოებამდე ამ ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა გერმანელების მიერ გახსნილი ჩირის საშრობი ქარხანა, რომელიც სპეციალურად გორის ხილით მარაგდებოდა, როგორც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. მთელი საკონსერვოს ტერიტორიაზე გაშლილი იყო ბუნებრივი საშრობი დანადგარები. გამზადებული ჩირი კი პირდაპირ გადიოდა გერმანიაში.

12. ხომ არ არის რაიმე ცვლილება მუნიციპალურ ტრანსპორტთან და ოპერატორებთან დაკავშირებით. თუ არის მონაცემები ხელმისაწვდომი საზოგადოებრივ მარშრუტთან დაკავშირებით რუკის ან ნახაზის სახით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლების პოზიცია:

- ამ ეტაპზე, მუნიციპალური ტრანსპორტის და ოპერატორების მხრივ ცვლილება არ არის.
- ოფიციალური მონაცემები საზოგადოებრივ მარშრუტთან დაკავშირებით, რომელიც არ აღემეტება 28 ერთეულს, აღარ არსებობს, ინფორმაცია წაიშალა.
- აღნიშნული მარშრუტის შესახებ მოთხოვნა წარდგენილი იყო საკრებულოში დასამტკიცებლად თვითმმართველი ქალაქის ყოფნის პერიოდში, თუმცა ვერ დამტკიცდა თვითმმართველობის კოდექსის და საავტომობილო ტრანსპორტის, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონის ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებების საფუძველზე.
- დამტკიცებული მარშრუტების რეგულაცია არ არსებობს.
- სამარშრუტო ფასიც კანონის გარეშე დგინდება - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრობის ღირებულებაა 1 ლარი და 50 თეთრი, ქალაქში - 50 თეთრი.
- გორის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის განყოფილების წარმომადგენლის მხრიდან გამოითქვა მზაობა, რომ საჭიროების შემთხვევაში საპროექტო ჯგუფს გაეწევა დახმარება ტრანსპორტის ოპერატორებთან შეხვედრის მიზნით.

13. **ისეთ დიდ ქარხანას, როგორიც „კულაა“, ხომ არ ყავს საკუთარი ავტობუსი.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლების პოზიცია:

- აღნიშნული ქარხანა არ არის უზრუნველყოფილი საკუთარი ავტობუსით.

14. **ხომ არ გატარებულა ახალი ღონისძიებები მუნიციპალურ ტრანსპორტთან დაკავშირებით.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლების პოზიცია:

- ამ ეტაპზე მუშაობა მიმდინარეობს დოკუმენტზე, რომელიც ასევე მიეწოდება საპროექტო ჯგუფს.

15. **სასროლეთის გადატანასთან დაკავშირებით მოთხოვნა უნდა დაფიქსირდეს შიდა ქართლის გუბერნატორის მხრიდან. თავდაცვის სამინისტრო თანახმაა, გარემოს დაცვის სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში, სასროლეთისთვის ალტერნატიულ ტერიტორიად მოიაზროს ატენის ხეობა, ან სხვა ალტერნატიული ტერიტორია გორის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების საფუძველზე. საუბარია მხოლოდ სასროლეთის და არა ბაზის გადატანაზე, რომლის საფუძველი სოციალური ფაქტორებია.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებების; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლების პოზიცია:

- სასროლეთის გადატანის სურვილი 2008 წლიდან აქტუალურია, რაზეც თავდაცვის სამინისტროც აცხადებდა თანხმობას, თუმცა უშედეგოდ.
- ატენის ხეობა მოიაზრება ერთ-ერთ ტურისტულ არეალად.
- სასროლეთის გადატანასთან ერთად სასურველი იქნება მთლიანი ბაზის გადატანა.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

სხდომის ოქმი №1

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების; შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის

გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2019 წლის 15 თებერვალი 14:00 საათი

გრიგოლ ფერაძის N5, გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერია

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

გორის მერიის მუნიციპალიტეტის ***მხრიდან:***

გია სამნიაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი

შალვა გიგაური - შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს კოორდინაციის განყოფილების უფროსი ინსპექტორი

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი

გოგი აბაშიძე - კონსულტანტი

სოფიო თოდუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი

ანდრო ქორთუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი

ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი;

სხდომის დღის წესრიგი:

- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების; შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოსა მხრიდან იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

სხდომის დაწყებისას აღინიშნა, რომ პროტოკოლი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს ნინო ხოსიტაშვილი, გადაეგზავნება გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების; შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოსა მხრიდან შეხვედრის მონაწილეებს ხელმოსაწერად, როგორც დოკუმენტის/პროექტის განუყოფელი ნაწილი საკრებულოში წარსადგენად.

შეხვედრაზე განხილული საკითხები

1. **პროექტის პირველ ეტაპზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეხვედრისას გამოვლინდა გორში დამატებითი სახანძრო-სამაშველო ობიექტის საჭიროება, კერძოდ კი კომბინატის დასახლებაში. შეხვედრაზე საუბრისას აღინიშნა, რომ ერთ-ერთი პრობლემა ამ მხრივ ფიქსირდება წმინდა წყალზე. რამდენად სწორად მიგაჩნიათ სამომავლოდ წმინდა წყალზე მიწის რესურსის გამოყოფა მასზე დამატებითი ხიდების განთავსებით უსაფრთხოების მიზნით. რამდენად მისაღები და დამაკმაყოფილებელია 6 სახანძრო-სამაშველო მანქანის გათვლა 1.2 ჰა-ზე.**

   გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების; შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს წარმომადგენლების პოზიცია:
   - აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე არსებული სახანძრო-სამაშველო ობიექტი საკმარისია, თუმცა ეს დამოკიდებულია თუ როგორ განვითარდება ტერიტორიის განაშენიანება.
   - წმინდა წყლის ტერიტორიაზე გამავლობა რთულია გადატვირთული სამანქანო მოძრაობის გამო, რაზეც საპროექტო ჯგუფმა განმარტა, რომ სატრანსპორტო სპეციალისტი მუშაობს გადატვირთული ქუჩების გამოთავისუფლების საკითხზე.
   - აღინიშნა, რომ ქალაქის მომავალი განვითარებისთვის აუცილებელია დამატებითი ხიდების განთავსება.
   - დღეს-დღეობით არის 4 გარაჟი 7 სახანძრო-სამაშველო მანქანით.
   - აღინიშნა, რომ სასურველია ქვეგანყოფილებების სახით დაიგეგმოს სამაშველო ჯგუფების ან/და სახანძრო-სამაშველო ობიექტების განთავსება ქ. გორის მიმდებარე ტერიტორიებზე.
   - 1.2 ჰა-ს სახანძრო სამაშველო მომსახურება არ გულისხმობს ცალსახად მანქანების განთავსებას. ამასთანავე აუცილებელია შენობა-ნაგებობის, კაზარმების, მოსასვენებელი ოთახების, სავარჯიშო კოშკის, ავტოფარეხებისა და შესაკეთებელი სახელოსნოს მოწყობა. აღინიშნა, რომ 6 მანქანიანი სახანძრო-სამაშველო ობიექტი შესალოა საკმარისი იყოს რაიონულ მასშტაბზე.

2. **რამდენად მოხერხებულია გორის მიმდებარე სოფლებიდან ქალაქ გორში მისვლადობა.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების; შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს წარმომადგენლების პოზიცია:

- არის რამდენიმე ჩიხი სოფელი, მაგრამ ამათ გარდა სხვა სოფლებს არ უძნელდებათ ქალათან მისვლადობა.
- გამტარიანობის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა უმჯობესი იქნებოდა დამატები ხიდების არსებობა როგორც მდინარე ლიახვზე, ასევე მდინარე მტკვარზე.

ოქმზე პასუხისმგებელი პირი - ნინო ხოსიტაშვილი

სხდომის ოქმი №1

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიისა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის

გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2019 წლის 19 თებერვალს 11:00 საათი

სტალინის გამზირი N16, ქ.გორი

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის წარმომადგენლები

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი
შოთა მურღულია - დარგობრივი ექსპერტი ეკონომიკის მიმართულებით
სოფიო თოდუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი
ანდრო ქორთუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიისა მხრიდან იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

შეხვედრაზე განხილული საკითხები:

1. შემოგთავაზებთ ჩვენს მიერ განხილულ ვარიანტებს სკოლისა და ბაღების განვითარების კუთხით. შემუშავებულია რამდენიმე კონცეპტუალური ამოცანა. თითოეული ობიექტისთვის წარმოდგენილია 4 ვარიანტი: 1) დამატებითი ფართის ათვისების შესაძლებლობა ობიექტისთვის; 2) ტევადობის განსაზღვრა ინდივიდუალურად, თითოეული ობიექტისთვის; 3)შესაძლებლობის შემთხვევაში სხვა დატვირთვის ჩანაცვლება საგანმანათლებლო ობიექტებით; 4) შეთავსება გამოუყენებელი საგანმანათლებლო ობიექტების გამოყენება ისევ საგანმანათლებლო ობიექტებით.

   გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის წარმომადგენლების პოზიცია:
   - N1 საბავშვო ბაღი თავისუფლად დაიტევს მეორე საბავშვო ბაღს, მაგრამ ამჟამად ეს შეუძლებელია იქ შესახლებული დევნილების გამო.

2. ბაღებისთვის ტერიტორიის დამატებითი ფართის ათვისების შესაძლებლობის, „სამშენებლო ნორმებითა და წესებით“ განსაზღვრული ნორმატიული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია თითოეული ობიექტისთვის, რაც გულისხმობს 1 აღსაზრდელზე 35-40 კვ.მ. თუმცა სააკრედიტაციო მაჩვენებელი დაბალია - 4 კვ.მ გორის შემთხვევაში. გორს საშუალო მაჩვენებელი აქვს 10 კვ.მ. დამატებითი ფართის ათვისების შესაძლებლობით გამოვლინდა 4 ბაღი.

3. გამოვლინდა სკოლები, რომლებიც ნორმატიული მაჩვენებლის მიხედვით ვერ დაიტევენ 100 მოსწავლეზე მეტს. ასევე ერთ ვარიანტად განიხილება შესაძლებლობის შემთხვევაში სკოლების ჩანაცვლება ბაღებად, რადგან საბავშვო ბაღებისთვის ფართი უფრო ნაკლებია ვიდრე სოლისთვის.

   გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის წარმომადგენლების პოზიცია:
   - აღინიშნა, რომ N2 სკოლა უმჯობესია გადაკეთდეს ბაღად და N2 სკოლისთვის მოიძებნოს ალტერნატიული დიდი ზომის ტერიტორია.

4. წმინდა წყალში და კომბინატშიც პრობლემას წარმოადგენს საბავშვო ბაღებში მოსახლეობის განთავსების საკითხი.

5. ახალი ბაღების აშენების თვალსაზრისით გამოიყო რამდენიმე ტერიტორია: წმინდა წყლის ნაწილი, სადაც ამჟამად მუშავდება განაშენიანების რეგულირების გეგმა. ვერხვების დასახლება; ჭალა; ყოფილი ბამბის კომბინატის ტერიტორია; არსებული სკოლა-ლიცეუმის ტერიტორიაზე, რომელიც ახლო მომავალში აპირებს ობიექტის გამოთავისფლებას. სადგურის უბანში ბაღი უკვე შენდება, თუმცა შესაძლოა გაჩნდეს დამატებითი ბაღის საჭიროებაც უშუალოდ ელექტროფიკაციის უბანში. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელი იქნება რკინიგზასთან სიახლოვე რამდენად დასაშვებია. ასევე გასათვალისწინებელია ახალი ნორმატიული აქტი ახალი სკოლისა და ბაღის მშენებლობისას, რომლის მიხედვით სკოლისთვის აუცილებელია 2ჰა-დან 3ჰე-მდე მიწის ფართის გათვალისწინება

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის წარმომადგენლების პოზიცია:

- სასურველია ელექტროფიკაციის დასახლებაში ბაღისა და სკოლის არსებობა.
- ელექტროფიკაციის დასახლებასა და სადგურის სკოლას შორის მანძილი 5 კმ-ია, რაც ართულებს ბავშვების სკოლასთან მიწვდომადობას.
- სოფლები დაიცალა სკოლების და ბაღების არ არსებობის გამო.

3. არის ცენტრალური სკოლები, სადაც მოსწავლეების რაოდენობა გაცილებით მეტია სკოლის მიმდებარედ მცხოვრები სასკოლო ასაკის ბავშვების რაოდენობაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ გარე უბნებიდან დადიან მოსწავლეები ცენტრალურ სკოლებში, მაშინ როდესაც გარე უბნის სკოლებში მოსწავლეთა მცირე რაოდენობა ფიქსირდება. მოწოდებული მონაცემებით გორში არსებული სკოლები აკმაყოფილებენ სააკრედიტაციო ნორმებს.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის წარმომადგენლების პოზიცია:

- აღინიშნა, რომ სკოლების უმეტესობა: N2, N3, N4, N5, N7, N8, N9 ორ ცვლიანია. ამიტომ უმჯობესია რომ სკოლებში ბავშვების მიღება ფუნქციონირებდეს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

4. საინტერესოა როგორია თქვენი მოსაზრება ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით, მაგალითად N2 სკოლა ვერ იტევს მოსწავლეებს და რამდენად რეალურია აღნიშნული სკოლის გაფართოება სხვა ტერიტორიაზე გადატანით სამომავლო პერსპექტივაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის წარმომადგენლების პოზიცია:

- პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობს კანონი, რომლითაც მოხდება სკოლაში ბავშვების რაოდენობის დარეგულირება და აკრძალავს გათვალისწინებულზე მეტი რაოდენობის ბავშვების მიღებას. არ კონტროლდება რამდენ ცვლიანია სკოლა და როგორი განრიგით და პირობებით ხდება გაკვეთილების ჩატარება.

6. **თუ სკოლას არ აქვს საკუთარი გამწვანებული სივრცე, „სამშენებლო ნორმებისა და წესების“ მიხედვით სკოლას შეუძლია ისარგებლოს მის მომსახურების არეალში არსებული ღია სარეკრეაციო სივრცეებითა და საერთო მოხმარების სპორტული შენობა-ნაგებობებით. რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ამ ტიპის საუბნო გამწვანებული სივრცის გამოყენება სკოლის მიერ.**

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის წარმომადგენლების პოზიცია:

- N10 სკოლას აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს საუბნო რეკრეაციით, რაც სრულიად შეუძლებელია N12 სკოლის შემთხვევაში.
- აღინიშნა, რომ გორს აქვს სივრცეები, რაც გვაძლევს 3-4 უმაღლესი სტანდარტის მქონე ახალი 1500 მოსწავლიანი სკოლის აშენების საშუალებას. ამიტომ ზემოთაღნიშნული პრობლემები არ უნდა ფიქსირდებოდეს ქ. გორში.
- ასევე აღინიშნა, რომ სკოლის მართვის და სწავლების ხარისხის თვალსაზრისით, ყველაზე მეტად მოსახერხებელია 600 მოსწავლიანი სკოლა.
- სკოლაში ბავშვების ჭარბ რაოდენობას განაპირობებს სოციალური სტატუსი, მეტად შეძლებული ფენები იზიდავენ სკოლაში მოსწავლეების დიდ ნაკადს.

7. **ახალი 1500 მოსწავლიანი სკოლისთვის გამოვყავით 4 მუნიციპალური ტერიტორია - წმინდა წყლის დასახლება, ყოფილი ბამბის კომბინატის ტერიტორია, ჭალა, , რომლის დარეზერვებაც შესაძლებელია სამომავლო განვითარებით. როგორია თქვენი დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. უნდა აღინიშნოს რომ ახალი სკოლის აშენებისთვის აუცილებელია ნორმატიული პირობაა 3ჰა მიწის ტერიტორიის არსებობა.**

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის წარმომადგენლების პოზიცია:

- აუცილებელია სკოლისთვის მიწის რესურსის სამომავლო გათვლა 1500 მოსწავლეზე.
- ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით სასურველია ალტერნატიული შენობის შეთავაზება ასევე N4 სკოლისთვის.
- ასევე, N6 სკოლა, რომელსაც არასათანადო ინფრასტრუქტურა გააჩნია, სასურველია გადავიდეს სადგურზე, სადაც ახალი ფართის ასაშენებლად მიწის რესურსიც არსებობს.

8. **სპორტული ობიექტების განლაგების თვალსაზრისით იგივე მდგომარეობაა ქალაქის ცენტრში, რისთვისაც ქალაქგარეთ მოხდა ტერიტორიების გამოყოფა მათ განსათავსებლად. ეს ტერიტორიები ჭალის, წმინდა წყლის და კომბინატის ტერიტორია. ქალაქის ცენტრში განთავსებულია საქალაქო მცირე სპორტული ობიექტები, ხოლო შემოთავაზებ მიწის ტერიტორიაზე მოიაზრება მსხვილი სპორტული ობიექტების განთავსება.**

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის წარმომადგენლების პოზიცია:

- აღინიშნა, რომ ჭალას აქვს განვითარების ყველანაირი რესურსი.

- სასურველია ქალაქის ცენტრში არამხოლოდ სპორტული მოედნების, არამედ სკვერების განთავსება, რაც რეალურად გამოყენებადია.
- ახალი პარკის დაგეგმარება ერთმანეთთან დააკავშირებს ჭალას და კომბინატს.
- ძალიან კარგია კომბინატის ტერიტორიის გათვალისწინება სპორტულ სარეკრეაციო სივრცედ.
- კულტურისა და დასვენების პარკის გარშემოწერილობა შეადგენს დაახლოებით 2 კმ.-ს. მისი ნაწილი შედარებით მოწესრიგებული და გამოყენებადია, ხოლო ნაწილი მოწესრიგებას საჭიროებს, რის შემდეგაც 2 კმ-ს ათვისება მოხდება სარბენ ბილიკად, რომელიც დაუკავშირდება ჭალის დასახლებას.

სხდომის ოქმი №1

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის

გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2019 წლის 19 თებერვალს 11:00 საათი

სტალინის გამზირი N16, ქ.გორი

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

გორის მუნიციპალიტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წარმომადგენლები

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი
შოთა მურღულია - დარგობრივი ექსპერტი ეკონომიკის მიმართულებით
სოფიო თოდუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი
ანდრო ქორთუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მხრიდან იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

შეხვედრაზე განხილული საკითხები:

1. საპროექტო სამუშაოების მიმდინარე ეტაპი ეთმობა კონცეფციის შემუშავებას. ზონირების საბოლოო დოკუმენტამდე გარკვეული საკანონმდებლო საკითხები საფუძვლიანად უნდა იქნას ასახული ზონირების დოკუმენტში. დღევანდელი საკითხი ეხება შეზღუდვით ნაწილს და იმ კონცეპტუალურ მოდგომებს, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს ქ. გორის ხასიათს.

   პირველ რიგში გარემოსდაცვითი შეზღუდვების განხილვისას აღსანიშნია თუ რა შეზღუდვა მოქმედებს მდინარეების გასწვრივ. შეჯერდა მისი დადგენის პრინციპები. გარემოსდამცავი შეზღუდვების გარდა, საპროექტო ჯგუფმა წარადგინა მდინარეების საინჟინრო დაცვის ზონების გამოვლენის პრინციპები, რომელიც შეჯერდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან. სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონები ეფუძნება ჯგუფის მიერ შემუშავებულ ჰიდროლოგიური გამოთვლებს, რომლის მიხდვითაც დადგინდა წყალდატბორვისა და წყალმოვარდნის არეალები. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, გამოიკვეთა რამდენიმე კრიტიკული ტერიტორია, სადაც უკვე დაგეგმილია ნაპირდამცავი კონსტრუქციების მოწყობა, რაც ასახული იქნება შესაბამის დოკუმენტაციაში.

   პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მდინარეებს მოყვება დიდი რაოდენობით ნალექი, რაც ამაღლებს მდინარის კალაპოტის ფსკერის ნიშნულს და საბოლოოდ სწორედ ეს იწვევს წყლის გადმოსვლას ნაპირებიდან. შესაბამისად, ნაპირდამცავი ჯებირების მიუხედავად, ეს პრობლემა არ აღმოიფხვრება თუ არ იქნა გამოყენებული დამატებითი მიდგომა (მათ შორის მდინარეთა კალაპოტების წმენდა, არსებული ნაპირდამცავების განახლება/მოვლა, ან ინერტული მასალების მომპოვებელი კომპანიების საქმიანობის ხელშეწყობა, რათა ჩამოყოლილი ნალექის რაოდენობა შემცირდეს).

   ერთია რომ ნაპირდაცვა საჭიროა წყლის დაჯახების ძალის შესამცირებლად, თუმცა მეორე საკითხია გადმოსული დაგუბებული წყლის დრენაჟი, რათა არ მოხდეს არსებული პრობლემის გამძაფრება. ამისთვის, საჭიროა შენარჩუნდეს ის მოუშენებელი მიწის ფართი, რომელიც არსებობს მდინარის გასწვრივ, რომელიც უზრუნველყოფს წყლის მაქსიმალურ აბსორბციას კრიტიკულ სიტუაციაში.

   დამატებით არგუმენტად მოყვანილია, 1964 წლის გენერალური გეგმა, რომლის მიხედვითაც, იმის მიუხედავად, რომ ყველა მდინარე კალაპოტში იყო ჩასმული, მის გასწვრივ მაინც იყო სარეკრეაციო მოუშენებელი ტერიტორიები საფრთხის თავიდან აცილების მიზნით.

   მეორე საკითხს წარმოადგენდა მდინარის ირგვლივ არსებული მოუშენებელი მიწის ფართის ჩართვა საქალაქო სტრუქტურაში და მათი განვითარების ხედვის წარდგენა. ქ.გორის ჰომოგენურ უბნების დოკუმენტზე დაყრდნობით გამოიკვეთა ის მჭიდრო და არამჭიდრო დასახლებები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა მოუშენებელი მიწის - სარეკრეაციო ზონების აქტივობები. თუ ტერიტორია ესაზღვრება დაბალი ინტენსივობის სამოსახლო არეალს, ამ შემთხვევაში მისაღებია ე.წ. სამეზობლო ტიპის გამწვანება, რომელიც დიდ ინფრასტრუქტურულ ჩარევებს არ მოითხოვს და მიჩნეულია მოსასვენებელ სივრცედ. მაღალი ტიპის განაშენიანებასთან მიმდებარედ შესაძლოა

გააჩნდეს სპორტული მოედნები და დამატებით სარეკრეაციო ობიექტები. ხოლო ადმინისტრაციული უბანსა და კულტურული უბნის მიმდებარედ, შესაძლოა ჩამოყალიბდეს აქტიური სარეკრეაციო სივრცე.

საკითხი მდგომარეობს იმაში თუ როგორ შეიძლება საქალაქო აღნიშნული აქტივობები დაუკავშირდეს მდინარეს.

2. ურბანული ზრდის კონტურის დადგენა მნიშვნელოვანია აქტივობების შესანარჩუნებლად ქალაქში, ვინაიდან ქ.გორის შემთხვევაში არსებობს არეალები, რომლის გამჭიდროვებაც მიზანშეწონილია. ასევე აღსანიშნავია, რომ ქ.გორს აქვს განახლების პრობლემა და თუ თავისუფალი არეალები არ შეიზღუდა განვითარებისთვის, ინვესტორები მუდმივად ამჯობინებენ მოუშენებელი არეალების ათვისებას, ხოლო ქალაქის არსებული განაშენიანება დაიწყებს კვდომას. ურბანული ზრდის კონტულის გარეთ უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო მიწები, გარემოსდაცვითი ზონები, ლანდშაფტური და წყალდატბორვის შეზღუდვითი ზონირებები. დანარჩენი სხვა შედის საცხოვრებელი ზრდის კონტურში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წარმომადგენლების პოზიცია:

- აღინიშნა, რომ აუცილებლობას წარმოადგენს ურბანული ზრდის კოტურის დადგენა, რის შემდეგაც აღარ მოხდება თვითნებური განაშენიანება საფრთხის შემცველ ტერიტროიაზე.

3. 1964 წლის გენერალური გეგმის მიხედვით გამოვლინდა მწვანე ხაზობრივი ნარგავების სისტემა, როგორც გორისთვის მნიშვნელოვანი ქარსაფარი ზოლი. ამის მოწყობის 2 სისტემა ფიქსირდება: გაბატონებული ქარის წინააღმდეგ და სანიტარულ-გამაჯანსაღებელი მწვანე ზოლი, რომელიც სამოსახლო არეალებს იცავს სამრეწველოსგან, სასაფლაოსა და ნაგავსაყრელის მავნე ზემოქმედებისგან.
4. პრობლემას წარმოადგენს კვერნაკის სასაფლაოს ტერიტორია, სადაც შესაძლოა იყოს გრუნტის წყლები და წყლის სათავე ნაგებობა, რაც დაუშვებელია. ერთ-ერთი გამოსავალია სნიპით გათვალისწინებული ნორმა, რომლითან სანიტარული დაცვის ტერიტორიის 60% უნდა იყო გამწვანებული ტერიტორია, რომ მოხდეს გარემოს გაჯანსაღება.
5. პრობლემატურია ასევე ნაგავსაყრელი, სადაც ბუფერული ზონის მიუხედავად მასთან მდინარის სიახლოვე საფრთხეს ქმნის მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშNულების არეალებისთვის.
6. ავტოსადგურის ტერიტორიასთან დაკავშირებით საპროექტო ჯგუქმა აღნიშნა, რომ შესაბამისი სატრანსპორტო გათვლებისას გათვალისწინდება შემდეგი საკითხები: 1) თბილისიდან წამოსული ნაკადის არსებობა; 2)გორში ჩამოსული ნაკადი, რომელიც მუნიციპალიტეტეს ემსახურება. სატრანსპორტო სქემის შემუშავებისას გათვალისწინდება ამ ნაკადების შესაძლო გადანაწილება, რათა მოხდეს არსებული ქსელის ოპტიმიზაცია.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წარმომადგენლების პოზიცია:

- ავტოსადგურის განტვირთვის მცდელობის მიუხედავად, დღეს მდგომარეობა იგივეა. ამის მთავარ მიზეზს წარმოადგენს ბაზარი, სადაც ხალხს პროდუქტი მიაქვს მეტწილად საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ამიტომ სასურველია მიმართულებები სწორად განაწილედს ავტოვაგზლებზე.

7. **განაშენიანების სიმაღლის მიზედვით, ქალაქის ცენტრალურ უბნებში მაღალსართულიანი განაშენიანების რა მაქსიმალური სიმაღლეა დასაშვებია ქალაქისთვის ?**

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წარმომადგენლების პოზიცია:

- ქალაქის ცენტალური, ისტორიულ ნაწილში სართულიანობის მაქსიმალური ნიშნული არ უნდა აღემატებოდეს 5-6 სართულს.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წარმომადგენლების პოზიციები:

- 1990 წლებში გორი დაყოფილი იყო მუნიციპალიტეტებად. ერთ-ერთი მუნიციპალიტეტი - წმინდა წყალი შეიძლება დაიყოს 2 ნაწილად: ტყვიავის ქუჩის ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარედ. სამხრეთ მხარე ქალაქის ნაწილს ეკუთვნის და იქ არსებული პრობლემები თითქმის მოგვარებულია. ჩრდილოეთ მხარეს კი მდგომარეობა პრებლემურია. ინფრასტრუქტურა მოუწესრიგებელია.
- საკრებულოს წარმომადგენლის მხრიდან გამოითქვა მზაობა წმინდა წყლის და დანარჩენი უბნების დაგეგმარების პროცესში მიიღონ აქტიური მონაწილეობა, აღნიშნული უბნებზე არსებული პრობლემების უკეთ გამოვლენის მიზნით.
- ტყვიავის ქუჩის ჩრდილოეთი მხარეს, ყველა ბარაკული ტიპი დაბალი შენობა უკანონოა. იქ მშენებლობები დღემდე გრძელდება, რაც პრობლემას შექმნის მომავალში. გარდა ამისა, იქ არ არის კანალიზაცია.
- სამხედრო გვარდიის ტერიტორიაზე კანალიზაციის არ არსებობის გამო, ფეკალური მასებით დაბინძურებული თავისუფალი ტერიტორია კიდევ უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენდა წყალუხვობის დროს. ტერიტორიის ძალიან დიდი ნაწილი დაბინძურებულია ფეკალური მასებით, რაც წარმოუდგენელს ხდის აღნიშნულ ტერიტორიაზე რაიმე სახის განვითარებას.
- აღინიშნა, რომ მიწის ქვეშ გამავალი წყალსადენი, რომელიც წმინდა წყალს ამარაგებს, დაუცველ და არასათანადო პირობებშია.
- აღინიშნა, რომ გასათავალისწინებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კომბინატიდან წმინდა წყალზე გადასასვლელი ხიდის დაგეგმარება. რაც ხელს შეუწყობს ცხინვალის გზატკეცილის განტვირთვას.

სხდომის ოქმი №1

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიისა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის

გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2019 წლის 19 თებერვალს 11:00 საათი

სტალინის გამზირი N16, ქ.გორი

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის წარმომადგენლები

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი
შოთა მურღულია - დარგობრივი ექსპერტი ეკონომიკის მიმართულებით
სოფიო თოდუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი
ანდრო ქორთუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის მხრიდან იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

შეხვედრაზე განხილული საკითხები:

1. **აუცილებელია ალტერნატიული ქუჩების დამუშვება სახანძრო-სამაშველო მანქანების გადასაადგილებლად.**

2. **ჭავჭავაძის და ცხინვალის გზატკეცილზე გადატვირთული მოძრაობის შემცირება პროექტის ერთ-ერთი ამოცანაა.**

   გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის წარმომადგენლების პოზიცია:
   - აღინიშნა რომ ქალაქის არ არქვს ტრანსპორტის რეგულაცია.
   - ავტოსადურის გადატანის შემთხვევაში მეტად გადაიტვირთება ცხინვალის გზატკეცილი.
   - ძალიან აუცილებელია, რომ კომბინატის ხიდს დაემატოს ახალი ხიდი.

3. **მსხვილი სპორტული ობიექტებისთვის გამოვლინდა 3 ტერიტორია: კომბინატის, ჭალის და წმინდა წყლის დასახლების ზემო ტერიტორია. საინტერესოა ისიც, რომ მსხვილი სპორტული ობიექტების ინტეგრაცია შესაძლებელია სკოლებთან.**

   გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის წარმომადგენლების პოზიცია:
   - მისაღებია აღნიშნულ ტერიტორიაზე სპორტული ობიექტების განთავსება.
   - გამოითქვა მეორე მოსაზრებაც, რომ თუ წმინდა წყალზე განთავსდება სპორტული მოედნები, ამით მიმდებარე სოფლების მოსახლეობას მიეცემა მათი გამოყენების შესაძლებლობა. მათთვის ჭალის ტერიტორია დიდ სურთულეს წარმოადგენს მიწვდომადოს თვალსაზრისით.
   - საუბარი შეეხო ქალაქის ცენტრში არსებული სპორტული სკოლის გადატანას ჭალაში, რადგან მისი ამჟამინდელი ინფრასტრუქტურული მდგომარეობა ძალიან პრობლემურია. სუსტი საძირკველის გამო საფრთხეს წარმოადგენს იქ მყოფთათვის.

4. **რამდენად რეალურია გორში თვისუფალი ინდუსტრიული ზონის არსებობა.**

   გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის წარმომადგენლების პოზიცია:
   - საკითხი თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ განხილულია შიდა ქართლის გუბერნატორთან, ამასთანავე, არსებობს ამისთვის შესაბამისი ტერიტორიული სივრცე - ყოფილი საწარმო ტერიტორია, მის სიახლოვეს მდებარეობს სარკინიგზო კვანძი, ქალაქში შეუსვლელად შესაძლებელია ავტობანთან მიწვდომადობა, და საომარი

მოქმედებების ფონზე არცთუ ისე უსაფრთო ქალაქის ჭრლიში შესაძლებელია თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნა.

- 2008 წლის შემდეგ ხელშეკრულება დაიდო შვეიცარიასთან რამდენიმე ქალაქის, მათ შორის გორის, გამშვები პუნქტების მოწობასთან დაკავშირებით. რაც უფრო მეტი ინვესტიცია ჩაიდება საზღვრის პირას, მით მეტი დაცულობის დაუსაფრთხოების შეგრძნება ექნება ქალაქს.
- გამოითქვა მოსაზრება რომ კომბინატში განთავსდეს ინდუსტრიული ზონა.

5. **ეკონომიკურ ჭრილში, რისი საშუალებით არის გორის კონკურენტუნარიანი. გამოთვლებმა ვერ აჩვენა წარმოება როგორც წამყვანი ეკონომიკური აქტივობა.**

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის წარმომადგენლების პოზიცია:

- არსებობდა გოში საკონსერვო წარმოება, ამ საკონსერვო ქარხნის ნაწარმი კი ევროპაში ავტორიტეტის სარგებლობდა.
- ასევე კარგად იყო განვითარებული სამშენებლო ინდუსტრია.
- გორის აქვს შემკრები ფუნქცია. იგი წარმოადგენს სატრანსპორტო ჰაბს, მათ შორის სოფლის მეურნეობის პროდუქტებისთვისაც.

6. **რამდენად გამოყენებადია რკინიგზა პროდუქტების გადაზიდვის პროცესში.**

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის წარმომადგენლების პოზიცია:

- რკინიგზა არ მონაწილეობს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადაზიდვაში.
- სოფლის მეურნეობის კუთხით, ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ახალი კულტურების და ჯიშების ათვისება, მხოლოდ ვაშლის მოყვანაზეა ორიენტირებული ისევ სოფლის მეურნეობა.
- სასურველია ცალკეული ტერიტორიის გამოყოფა, სადაც განთავსდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნები ინვესტორთა მხარდაჭერით. შესაძლოა ასევე მოეწყოს ლოჯისტიკური ცენტრი.
- გადამამუშავებელი ქარხნები გორიდან გარეთ გავიდა, სადაც დაახლოებით 50000 ტონა, მესამე ხარისხის ხილი მუშავდებოდა. ეს საწარმოებია: კულა, ტყვიავის და კარალეთის საწარმოები, შავშვები და კიდევ რამდენიმე, რომლებსაც აქვთ საშუალება გადაამუშონ 60000 ტონა ხილი მხავალი მიმართლებით, თუმცა ამ რაოდენობის ხილი გორს აქ აქვს.
- ამ ეტაპზე იგეგმაბე სამაცივრე მეურნეობის ხელშეწყობა, რაც მოგვცემს არათუ ვაშლის, არამედ კენკროვანი ხილის წარმოების საშუალებას.

7. **ქონების თვალსაზრისით, კომბინატის დასახლებაში უძრავი ქონებაზე დაფიქსირდა შედარებით მაღალი ფასი. რა არის ამის მიზეზი.**

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის წარმომადგენლების პოზიცია:

- ფასები მერყეობს 300$-დან 500$-მდე.
- გაჩნდა ინტერესეი თუ სად მოიზრება განაშენიანების ტერიტორიები, რაზეც საპროექტო ჯგუფმა განმარტა: საცხოვრისზე მაღალი მოთხოვნა არ არის. თუმცა არის რამდენიმე სახის მოთხოვნა, მათ შორის კორპუსებზეც. მათ შორის ცენტრში, სადაც საჭიროა განახლება. ასევე მოიაზერბა კომბინატის დასახლება, თუმცა საცხოვრებელი ზონების მინიჭება დამოკიდებულია იმაზე თუ რომელი ფუნქცია მეტად პრიორიტეტულია ქალაქისთვის (ეკონომიკური ზონა, ინდუსტრიული ზოდა და დეველოპმენტი). ასევე მოიაზრება კერძო სახლების გასავითარებლად ტერიტორიების გამონახვა. თუმცა ეს გადაწყვეტის ეტაპზე და არ არის საბოლოო სახით.
- ქ. გორის ცენტრში მდებარეობს რამდენიმე კულტურული ცენტრი - ინსტიტუტი, უნივერმაგი, ფოსტა და ა.შ. შესაბამისად, ცენტრში მაღალსართულიანი ბინების მშენებლობა არღვევს ქალაქის ისტორიულ იერსახეს.
- სასურველია დეველოპერული საქმანობის განვითარება კომბინატის დასახლებაში.
- გამოითქვა რჩევა, რომ შედგეს საკრებულოს ყველა კომისიის ერთდროული შეხვედრა საკითხების დეტალურად განხილვის მიზნით. რაზეც საპროექტო ჯგუფმა განმარტა, რომ პროექტის შემდეგ ეტაპზე - აპრილის თვეში შედგემა უფრო გაფართოებული შეხვედრები ფართო ჯგუფებთან და დაინტერესებულ მხარეებთან.
- დაისვა საკითხი თუ როგორი განვითარება ექნება გორს სამომავლოდ იურისდიქციის აღდგნის შემთხვევაში, რაზეც საპროექტო ჯგუფმა განმართა, რომ მთავარ საკითხს წარმოადგენს კონკურენტული მიმართულებების გამოვლენა, მათი გაძლიერება და შესაბამისი მიწის რესურსის გამოყოფა.
- დაისვა შეკითხვა რა ღონისძიებები იგეგმება მდინარის სანაპირო ზოლის დაცვასთან დაკავშრებით, რაზეც საპროექტო ჯგუფმა წარმოადგინა სრული პრეზენტაცია - „მდინარე და ქალაქი“, სადაც განიმართა თუ რა მნიშნველოვან რესურს წარმოადგენს მდინარე ქალაქისთვის, რა საფრთხეები ვლინდება და რა პრევენციული ღონისძიებებია საჭირო საფრთხეების და რისკების შესამცირებლად გარემოსდაცვით კუთხით.

სხდომის ოქმი №1

გორის მუნიციპალიტეტის მერიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ტელეკომპანიების, სამოქალაქო სექტორისა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის

გაერთიანებული სხდომის ოქმი №1

2019 წლის 1 მაისი 12:00 საათი

სტალინის გამზირი N16, ქ.გორი

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

გორის საზოგადოებრივი ორგანიზაციები:

,,დამოუკიდებელ ექპერტთა კავშირი"
,,საქართველოს ქალაქთა კავშირი"
,,ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება"
,,გორის საინფორმაციო ცენტრი"
,,სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი CSI"
საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“
არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ბეთლემი"
EECMD გორის დემოკრატიის სკოლა
მეგობრობის ხიდი ,,ქართლოსი"
,,გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო"
გორელ ფოტოგრაფთა კლუბი
,,ნაბიჯი მომავლისკენ"

ტელეკომპანიები:

,,დია"
,,თრიალეთი"

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი
გოგი აბაშიძე - კონსულტანტი

სოფიო თოდუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი
ანდრო ქორთუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი
ანი ქართველიშვილი - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი
ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის კონცეფციის (სამუშაო ვერსიის) განხილვა;
- გორის არასამთავრობო სექტორის მხრიდან იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

შეხვედრაზე განხილული საკითხები:

1. **საპროექტო სამუშაოების მიმდინარე ეტაპი ეთმობა კონცეფციის შემუშავებას (სამუშაო ვერსიის განხილვა), როგორც პროექტის განუყოფელი ნაწილი. კონცეფცია წარმოადგენს ერთგვარ საყრდენ დოკუმენტს, რომელიც შემდგომში აისახება ერთის მხრივ როგორც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმებში, ასევე, სხვა კონკრეტულ გეგმარებით პროექტებში.**

   გორის უნიკალურობისა და კულტურულ-სოციალური ვითარების უკეთ წარმოსაჩენად კონცეფციაში დეტალურად იქნა განხილული შემდეგი მახასიათებლები:
   ადამიანი, საზოგადოება, მმართველობა, მიწა, წყალი და ჰაერი.

   ადამიანი არის ამოსავალი წერტილი, რომელიც ფართოვდება საზოგადოებაში, და შემდგომ მმართველობაში. მიწა წყალი და ჰაერი კი არის ის სტიქიები, რომლებიც უშუალოდ განსაზღვრავენ ქ. გორის ფიზიკურ გარემოს.

   პირველი მასშტაბი - ადამიანი არის ძირეული განზომილება, რომელშიც მოიაზრება ის სივრცეები, სადაც რეგულირდება ადამიანის ყოველდღიური ურთიერთქმედება და უპირატესია ინდივიდის პირადი ინტერესები. ამ ნაწილში განხილულია სახლი და საცხოვრისი, როგორც საქალაქო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი სკოლებსა და ბაღებთან ერთად. ამ მასშტაბში გეგმარება მთლიანად ეფუძნება სტატისტიკურ გათვლით მეთოდებს და საბაზრო პრინციპებს.

   გორის არასამთავრობო სექტორის მხრიდან დასმული შეკითხვა:
   - რა იგულისხმება პირდაპირ დამატებით რეგულაციებში?

   საპროექტო ჯგუფის პასუხი:

უშუალოდ საცხოვრებელ გარემოს შემთხვევაში, სახლი თავისუფალია სხვა რეგულაციებისგან, აქცენტი კეთდება პირადი ქონების უპირატესობაზე. პირველ ეტაპზე გამოვლინდა 30 ჰომოგენური უბანი, სადაც, ერთის მხრივ, მორფოლოგია ერთნაირია და მეორეს მხრივ უბანში ჩამოყალიბებული ცხოვრების სტილი მიზეზ-შედეგობრივი. ქალაქში ეს უდიდეს ტერიტორიას წარმოადგენს და განსაზღვრავს იმ მრავალფეროვნებას, რომელიც დამახასიათებელია გორისთვის. რეგულაცია ამ შემთხვევაში გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ დაცული იქნას თითოეული ადამიანის ინტერესი, იცხოვროს იმ უბანში რომელშიც მან აირჩია ცხოვრება. რაც გულისხმობს რომ არსებულ ჩამოყალიბებულ უბნებს განვითარების ფონზე შეუნარჩუნდეს მისი სტილი და იერსახე. ხოლო იმ უბნებისთვის, სადაც არ მომხდარა ჩამოყალიბების პროცესი, მათზე სხვა სახის რეგულაციები ვრცელდება. ცენტრალური ნაწილი, სადაც მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ინტერესები, ის შემდეგი მასშტაბის სივრცედ მოიაზრება. არსებული უბნებიდან, განვითარება მოიაზრება 4 დამატებით უბანში: 1) ქალაქის ჩრდილოეთი ნაწილი - პოპიაშვილის ქუჩის ქვედა მხარე, 2) სასროლეთის ჩრდილოეთი მიმართულება, 3) კომბინატი, ყოფილი საწარმო ტერიტორია; 4) ჩრდილოეთით მდ. მეჯუდას ნაპირას ქაოტურად გაცემული მიწის ნაკვეთების ტერიტორია, რომლისთვისაც მუშავდება დეტალური ზონირების დოკუმენტი.

კომბინატის ტერიტორიაზე ნაწილობრივ მოიაზრება საცხოვრებელი ფუნქციით განაშენიანება, თუმცა ასევე განიხილება სხვა სოციალური დანიშნულების ობიექტების არსებობა. თუმცა, ჩვენს მიერ ჩატარებული ეკონომიკური გათვლების საფუძველზე, უპირატესობა მიენიჭება საცხოვრებელი და შერეული ტიპის ზონას.

პოლონურ კომპანიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, ჩრდილოეთით მდ. მეჯუდას ნაპირას ნაწილობრივ ნარჩუნდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობა სპორტულ-სარეკრეაციო სივრცეს, გზის გასწვრივ ნარჩუნდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა და ასევე მოიაზრებენ საცხოვრებელი უბნის განვითარებას, რათა ხელი შეეწყოს ქონების ბაზარს.

თუკი იქნება მშენებლობის ნებართვის საჭიროება, ეს გააზრებული უნდა იქნას თითოეული ჰომოგენური უბნის სტრუქტურის მიმართ.

2. სკოლების და საბავშვო ბაღების განთავსების თვალსაზრისით, აღსანიშნია ის ფაქტი, რომ ქ. გორი აკმაყოფილებს არსებულ სააკრედიტაციო მოთხოვნებს, როგორც სკოლების, ისე საბავშვო ბაღების შემთხვევაში. თუმცა, როდესაც ფასდება სამომავლო ცვლილებები, ამ თვალსაზრისით მოთხოვნა არსებობს ახალ ტერიტორიებზე და ნაწილობრივ შენობა-ნაგებობებზე. სამინისტროს მიერ შემუშავებული ახალი ინფრასტრუქტურული სტანდარტი, რომელიც უახლოეს მომავალში დამტკიცდება, საბავშვო ბაღების შემთხვევაში მოითხოვს 12 კვ.მ ერთ აღსაზრდელზე. სკოლების შემთხვევაში ქართული სტანდარტი არ არსებობს და საპროექტო ჯგუფის მიერ სნიპის მიხედვით საშუალო გაანგარიშებებით განისაზღვრა 15 კვ.მ ერთ მოსწავლეზე. საპროექტო ჯგუფის სამომავლო გათვლები კი ეფუძნება სწორედ ამ ახალ ინფრასტრუქტურულ სტანდარტს, რაც მინიმუმ უნდა დააკმაყოფილოს აღნიშნულმა დაწესებულებებმა.

3. შესაბამისად კონცეფცია განიხილავს ამ ობიექტების განვითარებას შემდეგი მიმართულებით: 1) სკოლების და საბავშვო ბაღებისთვის მიწის ნაკვეთების მოძიება მათი გაფართოებისთვის. ამის რამდენიმე შემთხვევა უკვე არსებოს, საპროექტო ჯგუფის რეკომენდაცია იქნება, რომ ის მუნიციპალური ტერიტორიები, რომლებიც თავისუფალია რაიმე საქმიანობისგან, სამომავლოდ დარეზერვდეს სკოლის და საბავშვო ბაღის ეზოს და შენობის გასაფართოებლად. სამომავლო გათვლებით მოიაზრება დამატებითი 4 სკოლის მშენებლობა რომლისთვისაც გამოიყოფა 12 ჰა მიწის ფართობი.

   გამოვლინდა 4 საბავშვო ბაღი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტს. 2 ბაღი ერთ შენობაშია განთავსებული, აღნიშნული საკითხის მოგვარებაზეც უკვე მუშაობს გორის მუნიციპალიტეტის მერია. პროექტში გათვალისწინებულია მსგავსი გარემოებაც, რის საფუძველზეც მოხდა სამომავლო გაანგარიშებები. სკოლები და ბაღები მოიაზრება კომპლექსურად, რამეთუ ერთი ოჯახიდან მოიაზრება როგორც სკოლის ასევე საბავშვო ბაღის წარმომადგენლები.

4. შემდეგი მასშტაბი - საზოგადოება არის ის მოცემულობა, რომელიც კულტურული ურთიერთობების საფუძველზე რეგულირდება. ეს არის ქ. გორში ჩამოყალიბებული ქცევითი ნორმების შესაბამისად განვითარებული სივრცეები. აქ პირველ რიგში იგულისხმება საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები. მიწათსარგებლობითი კონცეფცია კი ამას არეგულირებს შემდეგი თანმიმდევრობით: 1) კულტურული მემკვიდრეობა და კულტურული უბანი; 2) სპორტული უბნის ჩამოყალიბება, როგორც ქ. გორის სავიზიტო ბარათი და 3) ტრანსპორტი და შეკავშირებულობა.

   1) დღეს-დღეობით ქ. გორს არ აქვს დამტკიცებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონები, თუმცა ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმას და ადგილობრივ თვითმმართველობას არ აქვს უფლებამოსილება მიიღოს ეს გადაწყვეტილება. ძეგლთა დაცვის სააგენტოში შეხვედრის ფარგლებში გამოვლინდა მათი სურვილი, რომ აქტიურად ჩაერთონ აღნიშნულ საკითხში, თუმცა ინიციატორი ამ შემთხვევაში უნდ აიყოს ადგილობრივი თვითმმართველობა. ამ მხრივ ზონების თვალსაზრისით საპროექტო ჯგუფს აქვს შემდეგი შეთავაზება რეკომენდაციის სახით: ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის გაფართოება, როგორც ერთიანი კულტურული უბანი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არსებული ბულვარი ორგანულად გააერთიანებს კულტურულ ძეგლებსა და განაშენიანებას. კულტურული უბანი მოიაზრება კულტურული, საზოგადოებრივი და ტურისტული ობიექტებისთვის ჭრილში, რომელიც ერთმანეთთან აზრობრივად კარგად არის შეკავშირებული გეგმარებითი რეგულაციების ფონზე - ეს არის სარბენი და საველოსიპედო ბილიკები, ტურისტული მარშრუტები და კულტურული ობიექტების ირგვლივ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

   2) სპორტს, აქვს განვითარების დიდი პოტენციალი. სპორტული უბანი არ მოიაზრება მხოლოდ სპორტისთვის, მას აქვს ერთგვარი კატალიზატორის ფუნქცია, რომელიც ქმნის სხვადასხვა ტიპის მოძრაობას და აქტივობას ქ. გორის ქუჩებში. კულტურული უბნის შემთხვევაში ასევე უნდა გამყარდეს გეგმარებითი გადაწყვეტილებები. პირველ რიგში გვაქვს 3 მსხვილი სპორტული კლასტერი: 1) აქ საუბარია რეგიონული დონის ობიექტებზე ჭალაში, კომბინატის

ნაწილში და ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც უკვე მუშაობენ პოლონელი პარტნიორები ამ მიმართულებით. 2) ყოველდღიური სასპორტო დარბაზები და სტადიონები, რომელიც ძალიან ახლოს არის სამოსახლო ტერიტორიებთან. 3) არსებულ ქუჩებზე სარბენი და საველოსიპედო ბილიკები, რომელიც მოიაზრება აღნიშნული 2 კლასტერის შემაკავშირებელ მექანიზმად. ეს ყოველივე ინტეგრირებულად არის გააზრებული კულტურული, კომერციული ობიექტების, სასპორტო ინფრასტრუქტურისა და სკოლების ჭრილში.

გორის არასამთავრობო სექტორის მხრიდან დასმული შეკითხვა:

- ქ. გორში ახლად აშენებული სპორტის სასახლის შენობა რამდენად არის დაკავშირებული სხვა სპორტულ ობიექტებთან?

საპროექტო ჯგუფის პასუხი:

- ყველა სპორტული ობიექტი ერთმანეთთან შეკავშირებულია სარბენი ან/და საველოსიპედო ბილიკით, მათ შორის სტადიონები და სკოლები. იმისათვის რომ ქ. გორში მოხდეს ინვესტორთა დაინტერესება, მან მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს მისთვის დამახასიათებელი რესურსი, რაც მოიცავს სპორტს და ტურიზმს. შესაბამისად, საპროექტო ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ სპორტი გადავიტანოთ ქალაქის ქუჩებში, რაც გავლენას მოახდენს ტურიზმის განვითარებაზე.

3) ერთ-ერთ საინტერესო ნაწილის წარმოადგენს შეკავშირებულობა. ქ. გორისთვის დამახასიათებელი რადიალური სისტემა არ არის ერთმანეთთან კარგად შეკავშირებული, რაც ქმნის დაბრკოლებას ჩქარი გადაადგილებების შემთხვევაში. ამის საპასუხოდ საპროექტო ჯგუფი რეკომენდაციას უწევს 2 ხიდის განთავსებას - კომბინატისა და წმინდა წყლის დასახლებას შორის და მტკვრისა და მდინარე ლიახვის შესართავზე, რომელიც აკავშირებს ახალ ბაღსა და კომბინატს.

მეორეხარისხოვანი გზების დამატებას ქალაქი არ საჭიროებს. თუმცა თუკი იქნება საერთო ხედვა კომბინატის დასახლების განვითარების თაობაზე, ამ შემთხვევაში მეორადი გზა სარკისებურად გაჩნდება. ქალაქის ზომიდან გამომდინარე, გორი მოიაზრება მონოცენტრულ ქალაქად, თუმცა, საპროექტო ჯგუფმა გამოყო რამდენიმე ცენტრი ქალაქის სხვადასხვა უბანში, რომელიც ასევე მიწვდომადი უნდა იყოს სხვა უბნებისთვის. ამისათვის შემუშავებულია სამდონიანი სატრანსპორტო სისტემა, სადაც საყრდენ ღერძს წარმოადგენს ავტობუსი.

5. შემდეგ მასშტაბს წარმოადგენს მმართველობა, სადაც ურთიერთობა გვარდება შუამავლის საშუალებით. აქ მოიაზრება ასევე ის ობიექტებიც, რომელიც იმართება სახელმწიფო სტრატეგიის დონებზე და გააზრებული უნდა იყოს უფრო დიდ მასშტაბში - რეგიონულ დონეზე. მმართველობა მოიცავს შემდეგ თემებს: თავდაცვა, ლოჯისტიკა და საინჟინრო ქსელები. ავტობანის საბოლოოდ დასრულების შემთხვევაში მოსალოდნელია რიგითი სივრცითი ცვლილებები. კერძოდ, ხაშურის გზის ავლით მოძრაობა გამოიწვევს შესაძლებლობას, რომ

სატვირთო მანქანებისთვის ავტოსადგური დაიგეგმოს ქ. გორის ტერიტორიაზე, რისთვისაც ძალზედ მცირე ინფრასტრუქტურული ცვლილებები იქნება საჭირო. ასეთი კვანძის მოსაწყობად მანძილი ცენტრალური მაგისტრალიდან უნდა შეადგენდეს არანაკლენ 150 მეტრს, ასევე არ უნდა მოხდეს თავდაცვისთვის სარგებლობაში მყოფი გზის გამოყენება და საკმაოდ მოშორებული უნდა იყოს დასახლებული პუნქტიდან.

საინჟინრო მომარაგების კუთხით, ყველაზე კარგი მდგომარეობაა ელექტრომომარაგებაში. ყველაზე მძიმე კი არის წყლის და კანალიზაციის საკითხი. დასაშვებია საკანალიზაციო ჭების მოწყობა, ნაგრამ აუცილებელი მათი მოვლა-რეგულირება.
გაზის მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ ქალაქის რამდენიმე უბანი საჭიროებს დამატებით დაქსელვას.
საპროექტო ჯგუფი მიიჩნევს, რომ მაქსიმალურად უნდა შეჩერდეს ქალაქის ჩრდილოეთი ნაწილში ტერიტორიების განვითარება და განვითარების საშუალება უნდა მიეცეს სამხრეთ ტერიტორიებს. რამეთუ, ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, ჩრდილოეთ ნაწილში საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოწყობა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რაც თავისთავად დიდ ფინანსურ რესურსს მოითხოვს.

6. შემდეგი მასშტაბი - მიწა არის ის მსხვილი მასივები, რომლებიც ტრადიციულად ჩამოყალიბდა ქ. გორში. აქ მოიაზრება სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები, საწარმოო და სასაფლაო ტერიტორიები, ასევე ის ქაოტურად გაცემული ტერიტორიები, რომლებიც დამატებით რეგულირებას საჭიროებენ.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიების შესახებ არის საპირისპირო მოსაზრებები: ერთი მოსაზრებით სოფლის მეურნეობა მთლიანად უნდა გავიდეს ქალაქის ტერიტორიიდან და მოხდეს ამ ნაწილის სხვა ფუნქციით დატვირთვა ან/და გამოყენებულ იქნას ლანდშაფტურ ზონად. აქ არ არის საუბარი კერძო საკუთრებაზე - კერძო საკუთრებაში მყოფი ნაკვეთები გააგრძელებენ იმავე საქმიანობას. ხოლო მეორე მოსაზრებით საუბარია აღნიშნული ტერიტორიების შენარჩუნებაზე ქალაქის ტერიტორიაზე. საპროექტო ჯგუფის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ქალაქის ტერიტორიაზე შენარჩუნდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიები. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის სოციალური ფონი - ტრადიციულად ჩამოყალიბებული მეურნეობები, სადაც მოიაზრება არა ფერმერული მეურნეობა არამედ პირადი მოხმარების საქმიანობა. ამ ტერიტორიებზე დაუშვებელია დეველოპერეული საქმიანობა. ეს ტერიტორიები წარმოადგენენ ერთგვარ საზღვარს - ბუფერულ ტერიტორიას სოფელსა და ქალაქს შორის, რომელიც თავის მხრივ იცავს ქალაქს სოფლების შემოჭრისგან.

გორის არასამთავრობო სექტორის მხრიდან დასმული შეკითხვა:

- აღნიშნულ შემთხვევაში კერძო საკუთრებაში მყოფ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს შეეცვლებათ გადასახადი. როგორ განიხილავთ აღნიშნულ საკითხს?

საპროექტო ჯგუფის მოსაზრება:

- გადასახადის რეგულირების საკითხს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არ არეგულირებს. რაც შეეხება საკუთრებას - აქ საკუთრების ფორმის ცვლილება არ იგულისხმება. დღეს-დღეობით ამ მიწების უმეტესი წილი ისედაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა. აქ საუბარია იმაზე, შეეცვალოს თუ არა აღნიშნულ მიწებს ფუნქცია, რაზეც, საპროექტო ჯგუფის რეკომენდაციით, ცვლილების აუცილებლობა არ არსებობს. ამას ამყარებს ტურიზმის ფაქტორიც, რამეთუ ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი კომპონენტი სოფლის მეურნეობაა, როგორც აგრო ტურიზმი სახეობა.

ქალაქში რჩება ყველა ის საწარმოო ტერიტორია რაც იყო ძველად, მიუხედავად იმისა ქ. გორი ამას სრულად აითვისებს თუ არა აღნიშნული გენერალური გეგმის პერიოდში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საპროექტო ჯგუფის მიერ ჩატარებულ ეკონომიკური კვლევა, სადაც გამოვლინდა რომ სხვადასხვა საქმიანობას შორის წამყვანია სოფლის მეურნეობა. საპროექტო ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ ქალაქის ფარგლებში დაინერგოს გადამუშავების ინდუსტრია.
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ნაგავსაყრელი და სასაფლაო ტერიტორია. ცნობილია რომ შიდა ქართლის რეგიონული ნაგავსაყრელი ჯერ კიდევ ღიაა და არაა ცნობილი თუ სად იგეგმება მისი სამომავლოდ მოწყობა. სავარაუდოდ ეს ნაგავსაყრელი დაიხურება, თუმცა დახურვის შემთხვევაშიც კი მას ეკუთვნის სანიტარული დაცვის ზონა, რომელიც მოქმედი იქნება 30 წლის განმავლობაში. შესაბამისად, მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს მის მიმდებარედ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიების განვითარება. თუმცა ეს შეიძლება არ შეეხოს ფერდობებზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მწის ნაკვეთებს, სადაც ვერ მოხდება ჩამდინარე მიწისქვეშა წყლების შედეგად მათი დაბინძურება.

სასაფლაოს გაანგარიშებით, შემდეგი 10-15 წლის განმავლობაში საჭირო იქნება დამატებითი 5 ჰა მიწის ტერიტორია. დღეს დამტკიცებული მიწის ტერიტორია ფართობის თვალსაზრისით ამჟამად საკმარისია, თუმცა არის რელიეფური პრობლემა, არსებული ხევი აუთვისებელია და რთულია სამომავლოდაც მისი ათვისება. ასევე პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ გარკვეულ ნაწილში სასაფლაოს ტერიტორია ხვდება ნაგავსაყრელის ბუფერულ ზონაში, რაც დაუშვებელია.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ურბანული ზრდის კონტური. აღნიშნული კონტურის მიღმა არის ის ტერიტორიები, სადაც ინფრასტრუქტურა არ არსებობს, მათ შორის გაცემული მიწის ნაკვეთები. საპროექტო ჯგუფის ხედვაა, რომ მაქსიმალურად შეიზღუდოს ჯერ აუთვისებელი ტერიტორიების სამომავლო განვითარება.

7. შემდეგი მასშტაბი - წყალი რეგულირდება კანონმდებლობით, მათ შორის საერთაშორისო ნორმებით. ქ. გორი, რომელიც მდებარეობს 3 მდინარის შესართავთან, ეს ერთის მხრივ ძალიან დიდი რესურსია განვითარების თვალსაზრისით, თუმცა მეორეს მხრივ ეს არის ძალიან მაღალი რისკი. შესაბამისად ფრთხილად უნდა მოხდეს მდინარეების გასწვრივ განვითარების დაგეგმარება. ამ თვალსაზრისით საპროექტო ჯგუფის მიერ ჩატარდა პირველადი ზოგადი კვლევა, ეს არის შესაძლო დატბორვის - წყალმოვარდნის არეალები, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს მოსახლეობის და კერძო საკუთრების დაცვა. შესაბამისად, საპროექტო ჯგუფის

რეკომენდაციაა დარეზერვდეს შესაძლო დატბორვის რისკის მქონე ტერიტორიები რომ არ გაიცეს რაიმე სახის შეუსაბამო ნებართვები, რითიც სამომავლოდ თავიდან აირიდებს მოსალოდნელ საფრთხეს. ამის გამო მდინარეების გასწვრივ, რამდენიმე ადგილას რეკომენდაციას ვუწევთ თავისუფალ ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონებს, რომელიც წყლის მოვარდნის შემთხვევაში დაიცავს განაშენიანებას.

8. ბოლო მასშტაბი არის ჰაერი, სადაც იგულისხმება კოეფიციენტები. როგორც უკვე აღინიშნა, ცენტრალურ ნაწილში არის ამის ყველაზე მაღალი მოთხოვნა და არსებული მდგომარეობითაც იქ ყველაზე მაღალია სიმჭიდროვის მაჩვენებელი. როგორც ანალიზმა აჩვენა 2,8 K2 კოეფიციენტი არის მინიმალური, რომელიც აძლევს დეველოპმენტს საშუალებას აწარმოოს თავისი ბიზნესი. კომბინატის დასახლებაც შეიძლება მოიაზრებოდეს ახალი მაღალი სიმჭიდროვის დასახლებად.

აღნიშნულ მასშტაბში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს დაცული ხედვითი დერეფნები. ეს გულისხმობს შემდეგს: ქ. გორის იერსახე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. საკვანძო ობიექტები - გორის ციხე და გორის ჯვარი არის ის ხედვით წერტილები, რომლებიც განსაზღვრავს ქალაქის იდენტობას. შესაბამისად მნიშვნელოვანია მათი ხედვითი დერეფნების დაცვა. აქ საუბარი 2 სახის შეზღუდვაზე - სიმაღლის შეზღუდვაზე, რომ არ გაჩნდეს მაღალსართულიანი კორპუსი ხედვით დერეფანში და კომპოზიციური შეუსაბამობა, რო არ გაჩნდეს შეუსაბამო სარეკლამო ბანერები გორის ციხის ძირში და ა.შ.

საპროექტო ჯგუფმა წარმოადგინა ზონირების მოდელის სამუშაო ვერსია. საბოლოოდ გამოვლინდა 16 დასახელების ზონა. როდესაც საუბარია 30 ჰომოგენურ უბანზე, ეს გულისხმობს მრავალფეროვნებას და მათ ერთმანეთთან შეკავშირებულობას. ყოველი ეს საკითხი კი, რა სახის რეგულაცია ეკუთვნის თითოეულს საბოლოო ჯამში აისახა ზონირებაში.

მონიშნულია თითქმის ყველა ტიპის საცხოვრებელია ზონა - დაბალი სიმჭიდროვის დაბალსართულიანი განაშენიანება, მაღალი სიმჭიდროვის დაბალსართულიანი განაშენიანება, დაბალი სიმჭიდროვის მაღალსართულიანი განაშენიანება და ა.შ.
გამოყენებულია სამივე ტიპის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა, მათ შორის შერეული ზონა, რომელიც იძლევა კომერციული ობიექტების, საცხოვრებელი და სხვა ტიპის ერთობლიობის შესაძლებლობას.
მოცემულია ლანდშაფტურ და სარეკრეაციო ზონების მრავალფეროვნება.
საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს 1:10 000 მასშტაბში, რაც გამორიცხავს შიდა საუბნო გამწვანებების ასახვას ზონირებაში. ზოგადად ზონირება ასახავს 3 საკითხს: სიმჭიდროვეს, სიმაღლეს და ობიექტების ჩამონათვალს.
ზოგადად მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის დამტკიცებული გარანტი იმისა, რომ საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურისთვის დარეზერვებული მიწის ნაკვეთები დარჩეს იმავე ფუნქციით და არ განვითარდეს სხვა მიმართულებით. გორს აქვს ძალიან დიდი რაოდენობით დაურეგისტრირებელი ტერიტორიები, შესაბამისად ძალიან მნიშვნელოვანია რომ დროულად მოხდეს აღნიშნულის დარეგისტრირება სამომავლოდ შესაბამისი ფუნქციით გამოყენების მიზნით.

საპროექტო ჯგუფმა წამოაყენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა: მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დასრულებასთან ერთად ქ. გორში ჩატარდეს მარათონი, რომელიც იქნებოდა ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის სიმბოლური ფინალი და ამასთანავე ერთგვარი საწყისი ქ. გორის ტურისტული-სპორტული ინტერესისადმი.

გორის არასამთავრობო სექტორის მხრიდან დასმული შეკითხვა:

- ქ. გორის ავტოსადგური და იქვე მდებარე ბაზარი როგორ არის განხილული პროექტში?
- ქალაქს სატრანსპორტო კუთხით ტვირთავს ქალაქის ცენტრში მდებარე ავტოსადგური. თუ იგეგმება ამ ავტოსადგურის გადატანა ან რაიმე სახის შეზღუდვები?

საპროექტო ჯგუფის მოსაზრება:

- ამ შემთხვევაში განიხილება რამდენიმე ვარიანტი. საუბარია იმაზე, რომ შესაძლოა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ტურისტული და რეგიონალური ტრანსპორტი. ტურისტის ჩამოყვანის მთავარი მიზანია არა სატრანსპორტო საშუალებით ტურისტულ სანახაობამდე მისვლა და უკან დაბრუნება, არამედ ტურისტულ სანახაობებამდე ტურისტისთვის ადაპტირებული კომერციული დანიშნულების საფეხმავლო ქუჩების ფეხით გადაადგილება, რაც გამოიწვევს მათ ფინანსურ დანახარჯს ქალაქის ეკონომიკური მოგების მიზნით. აქედან გამომდინარე, ტურისტული სადგურის გადატანა მოიაზრება სადგურის (სტალინის) ხიდის მიმდებარედ. აღნიშნული სადგურიდან ტურისტულ სანახაობებამდე არის ის მანძილი, რასაც ტურისტი სატრანსპორტო საშუალებით არ გაივლის. თუმცა ეს ასევე არ ზღუდავს სურვილის მიხედვით სატრანსპორტო საშუალების გამოყენებას.

გორის არასამთავრობო სექტორის მხრიდან გამოთქმული მოსაზრება:

- ლომჭაბუკის პროექტის ფარგლებში ტურისტების პარკირების ადგილი უკვე გადაწყვეტილია ლომჭაბუკის ტერიტორიაზე. ასევე იგეგმება ტურისტული ცენტრის აშენება, საიდანაც ასაკიანი ტურისტებისთვის სურვილის შემთხვევაში მოხდება მათი ტრანსპორტირება სტალინის მუზეუმში. გორის ციხის სამხრეთის მიმართულებით კეთდება ბილიკები, ჩრდილოეთის მიმართულებით ასევე კეთდება ბილიკები, რომელიც მოიცავს ასევე გორის ციხის ტერიტორიას., საიდანაც ასევე მოხვდებიან მუზეუმში. ეს ყოველივე იქნება საფუძველი, რომ ტურისტის ჩამოსვლამ განაპირობოს ქალაქის ეკონომიკური ზრდა.

გორის არასამთავრობო სექტორის მხრიდან დასმული შეკითხვა:

- საბავშვო ბაღების აკრედიტაციის საკითხი დღეს-დღეობით არის დიდი პრობლემა. საბავშვო-ბაღების ნაწილში შესახლებულები არიან იძულებით გადაადგილებული პირები, შესაბამისად მუნიციპალიტეტი ქირაობს კერძო ბინებს საბავშვო ბაღებისთვის.

ის მიწის ნაკვეთები, რაც პროექტის ფარგლებში გამოვლინდა, შესაძლოა რომ მხოლოდ 2-3 საბავშვო ბაღისთვის იყოს საკმარისი.

- კომბინატის დასახლების განვითარება და წმინდა წყლის დასახლების განტვირთვა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

საპროექტო ჯგუფის მოსაზრება:

- საბავშვო ბაღების მოკვლევისას, საპროექტო ჯგუფის მიერ მოხდა თითოეული ბაღის შესწავლა, მათ შორის მიწის ნაკვეთებზეც. საპროექტო ჯგუფისთვის ცნობილი გახდა, რომ 4 ბაღი უნდა დაიკეტოს და გადავიდეს, რადგან ეს ფართობი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას. ამასვე იზიარებს ჩვენი გაანგარიშებაც, რომ მოხდეს გარკვეული ბაღების დახურვა და ალტერნატიულ სივრცეში გადატანა. ზოგიერთ საბავშვო ბაღს აქვს ადგილზე გაფართოების შესაძლებლობა, შესაბამისად რეკომენდაციას ვუწევთ ამ ტერიტორიების დარეზერვებას საბავშვო ბაღების გაფართოების მიზნით. ასეთი ტერიტორიები მცირე გამონაკლისებით არის კერძო საკუთრებაში, თუმცა არის ასევე თავისუფალი კერძო საკუთრება, რომლის გამოსყიდვა მეტად აქტუალური შეიძლება იყოს.

  რაც შეეხევა ახალი ბაღების აშენებას, ოთხივე საბავშვო ბაღის ერთდროულად მშენებლობის საჭიროება დღეს არ დგას. პროექტი ითვალისწინებს აღნიშნული ფუნქციით სამომავლო საჭიროებას და ახდენს მათ დარეზერვებას სამომავლო განვითარებისთვის.

  იძულებით გადაადგილებულ პირთა ბაღებიდან დარჩენა-გამოსახლების საკითხი არის პოლიტიკური გადაწყვეტილება.

გორის არასამთავრობო სექტორის მხრიდან დასმული შეკითხვა:

- როდისთვის იგეგმება ლიახვის ხიდის მშენებლობა?

საპროექტო ჯგუფის მოსაზრება:

- მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არ არეგულირებს ვადებს, თუ როდის უნდა მოხდეს ხიდის მშენებლობა. თუმცა პირველ ეტაპზე, ფინანსებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საფეხმავლო ხიდის აგება, რომ ადამიანების ცნობიერებაში გაჩნდეს მყარი აზრი აღნიშნულ ტერიტორიებზე ხიდის აუცილებლობის თაობაზე.

გორის არასამთავრობო სექტორის მხრიდან დასმული შეკითხვა:

- რა ბედი ეწევა მდინარის ნაპირებზე გასხვისებულ მიწის ნაკვეთებს?

საპროექტო ჯგუფის მოსაზრება:

- ჭალის ტყეები რომელიც ხელუხლებელია, პირდაპირ გადადის ლანდშაფტის დაცვის ზონაში, ხოლო ის ტერიტორიები, რომელიც უკვე ქალაქის შიგნით გვხვდება და ზონას ეწინააღმდეგება, გახდება შეუსაბამო ობიექტი. უნდა აღინიშნოს, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არ განიხილავს ცალკეულ მიწის ნაკვეთებს.

გორის არასამთავრობო სექტორის მხრიდან დასმული შეკითხვა:

- არსებობს 2017 წლის ინიციატივა, რომ წმინდა წყლის დასახლებაში მოწყობილიყო ტყე-პარკი. თუმცა, შეჩერდა ეს იდეა, რომლის მიზეზადაც სახელდებოდა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის არ არსებობა. რა იგეგმება ამ მხრივ პროექტში?

საპროექტო ჯგუფის მოსაზრება:

- ზოგადად წმინდა წყლის დასახლებაში გათვალისწინებულია ჭალის ტყეები, თუმცა კანონმდებლობით ეს არ გულისხმობს ხეების აუცილებლობას ამ ტერიტორიაზე.

გორის არასამთავრობო სექტორის მხრიდან დასმული შეკითხვა:

- ტრანსპორტის კუთხით ერთ-ერთი გადატვირთულ ტერიტორიას წარმოადგენს წმინდა წყალი და ცხინვალის გზატკეცილი. ხომ არ განიხილება ამ მხრივ დამატებითი ქუჩის გაჩენა მდ. მეჯუდას ნაპირას?

საპროექტო ჯგუფის მოსაზრება:

- ტრანსპორტი არის ძალიან კომპლექსური საკითხი. ის ხასიათდება 2 სხვადასხვა კომპონენტით: 1) მობილობა, რომელიც გულისხმობს გზებზე მოძრაობის მოწესრიგებას. 2) შეკავშირებულობა, რომელიც არის გეგმარებითი ხელსაწყო თუ სად უნდა დაიგეგმოს გზები. შეკავშირებულობის მხრივ, გორს გზების ნაკლებობა არ აქვს, მისი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ქ. გორში ძალიან ბევრჯერ მოხდა ცენტრალური უბნის გადაადგილება. მდ. მეჯუდას სანაპიროზე დამატებითი გზის მოწყობა გამოიწვევს კიდევ უფრო მეტ საცობს ქალაში.

  გზების განტვირთვის ერთადერთი მექანიზმია ისეთი ქმედებები, როგორიცაა სკოლების გადათამაშება და ადგილმონაცვლეობა, სადგურის გადატანა, სპორტული უბნების განვითარება, საფეხმავლო და საველოსიპედო ბილიკების განვითარება და ა.შ.

გორის არასამთავრობო სექტორის მხრიდან დასმული შეკითხვა:

- როგორია მოსაზრება პროექტში რკინიგზასთან დაკავშირებით? რამ უნდა განაპირობოს ქ. გორში მოსახლეობის მატება, მხოლოდ ტურიზმი ამას ვერ შეუწყობს ხელს.

საპროექტო ჯგუფის მოსაზრება:

- ზოგადად, საქართველოში რკინიგზა თავის თავს არ მოიაზრებს ახლო მანძილებზე მგზავრების გადაყვანის საშუალებად. რადგან საპროექტო ჯგუფის ხედვა გულისხმობს ქ. გორის მოსახლეობის ადგილზე დაკავებას, ამ ჭრილში რკინიგზა არ განიხილება.

გორის არასამთავრობო სექტორის მხრიდან დასმული შეკითხვა:

- თუ არის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უცხოელების თავშესაფრის - ჩაბარების ცენტრი

საპროექტო ჯგუფის მოსაზრება:

- უცხოელების თავშესაფრის-ჩაბარების ცენტრის საკითხს არ არეგულირებს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმა. ეს ცენტრალური ხელისუფლების გადასაწყვეტია.

გორის არასამთავრობო სექტორის მხრიდან დასმული შეკითხვა:

- მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა თუ განიხილავს გარემოსდაცვით შეფასების საკითხებს?

საპროექტო ჯგუფის მოსაზრება:

- ქალაქის მერიამ საპროექტო სამუშაოები უნდა წარუდგინოს სამინისტროებს, რომ გადაწყვიტონ რამდენად საჭიროებს მასში წარმოდგენილი რეკომენდაციები გარემოსდაცვის შეფასებით ქმედებებს. სამინისტროებთან პროექტი წარდგენა ძირითადად უნდა მოხდეს კონცეფციის დასრულების ეტაპზე. შემდგომ ეტაპზე, საჭიროების შემთხვევაში მერია ან თვითონ განახორციელებს აღნიშნულ გარემოსდაცვის შეფასებით სამუშაოებს ან შესყიდვის საფუძველზე დაუკვეთავს პროექტს.

გორის არასამთავრობო სექტორის მხრიდან დასმული შეკითხვა:

- სად იგეგმება პარკინგის ზონის მოწყობა?

საპროექტო ჯგუფის მოსაზრება:

- არ არსებობს პარკინგის შენობის სპეციალური ზონა. შესაძლებელია მისი განთავსება რამდენიმე სხვადასხვა უბანში. ამ საკითხს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არ განსაზღვრავს.

სხდომის ოქმი №2

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომიტეტებისა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ - ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის

გაერთიანებული სხდომის ოქმი №2

2019 წლის 17 აპრილი 12:00 საათი

სტალინის გამზირი N16, ქ.გორი

სხდომას უძღვებოდა: პროექტის ხელმძღვანელი - ელენა დარჯანია

სხდომას ესწრებოდნენ:

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომიტეტების წარმომადგენლები

ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მხრიდან:

ელენა დარჯანია - პროექტის ხელმძღვანელი, მთავარი ქალაქმგეგმარებელი
მამუკა სალუქვაძე - ორგანიზაციის დირექტორი, ექსპერტი გარემოს დაცვის საკითხებში
იოსებ სალუქვაძე - კონსულტანტი ურბანული განვითარების, სოციალურ-გეოგრაფიული და სტრატეგიული დაგეგმარების საკითხებში
გოგი აბაშიძე - კონსულტანტი
სოფიო თოდუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი
ანდრო ქორთუა - უმცროსი ქალაქმგეგმარებელი
ზურა ბერაძე - დარგობრივი ექსპერტი სატრანსპორტო მიმართულებით
ნინო ხოსიტაშვილი - მხარეთა შორის ურთიერთობის უზრუნველყოფის საკონტაქტო პირი

სხდომის დღის წესრიგი:

- საპროექტო ჯგუფის გაცნობა;
- ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (შემდგომში გენერალური გეგმა) პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის კონცეფციის (სამუშაო ვერსიის) განხილვა;

- გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომიტეტების მხრიდან იმ პოზიციების დაფიქსირება და შეჯერება, რომლებიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სრულყოფილი და წარმატებული პროექტის უზრუნველსაყოფად.

შეხვედრაზე განხილული საკითხები:

1. **საპროექტო სამუშაოების მიმდინარე ეტაპი ეთმობა კონცეფციის შემუშავებას (სამუშაო ვერსიის განხილვა), როგორც პროექტის განუყოფელი ნაწილი. კონცეფცია წარმოადგენს ერთგვარ საყრდენ დოკუმენტს, რომელიც შემდგომში აისახება ერთის მხრივ როგორც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმებში, ასევე, სხვა კონკრეტულ გეგმარებით პროექტებში.**

   გორის უნიკალურობისა და კულტურულ-სოციალური ვითარების უკეთ წარმოსაჩენად კონცეფციაში დეტალურად იქნა განხილული შემდეგი მახასიათებლები:
   ადამიანი, საზოგადოება, მმართველობა, მიწა, წყალი და ჰაერი.

   ადამიანი არის ამოსავალი წერტილი, რომელიც ფართოვდება საზოგადოებაში, და შემდგომ მმართველობაში. მიწა წყალი და ჰაერი კი არის ის სტიქიები, რომლებიც უშუალოდ განსაზღვრავენ ქ. გორის ფიზიკურ გარემოს.

   ადამიანი არის ძირეული განზომილება, რომელშიც მოიაზრება ის სივრცეები, სადაც რეგულირდება ადამიანის ყოველდღიური ურთიერთქმედება და უპირატესია ინდივიდის პირადი ინტერესები. ამ ნაწილში განხილულია სახლი და საცხოვრისი, როგორც საქალაქო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი სკოლებსა და ბაღებთან ერთად. ამ მასშტაბში გეგმარება მთლიანად ეფუძნება სტატისტიკურ გათვლით მეთოდებს და საბაზრო პრინციპებს.

   გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომიტეტების მხრიდან დასმული შეკითხვა:
   - რა იგულისხმება პირდაპირ დამატებით რეგულაციებში, როგორ არის გათვლილი?

   საპროექტო ჯგუფის პასუხი:

   უშუალოდ საცხოვრებელ გარემოს შემთხვევაში, სახლი თავისუფალია სხვა რეგულაციებისგან, აქცენტი კეთდება პირადი ქონების უპირატესობაზე. პირველ ეტაპზე გამოვლინდა 30 ჰომოგენური უბანი, სადაც, ერთის მხრივ, მორფოლოგია ერთნაირია და მეორეს მხრივ უბანში ჩამოყალიბებული ცხოვრების სტილი მიზეზ-შედეგობრივი. ქალაქში ეს უდიდეს ტერიტორიას წარმოადგენს და განსაზღვრავს იმ მრავალფეროვნებას, რომელიც დამახასიათებელია გორისთვის. რეგულაცია ამ შემთხვევაში გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ დაცული იქნას თითოეული ადამიანის ინტერესი, იცხოვროს იმ უბანში რომელშიც მან აირჩია ცხოვრება. რაც გულისხმობს რომ არსებულ ჩამოყალიბებულ უბნებს განვითარების ფონზე შეუნარჩუნდეს მისი სტილი და იერსახე, ხოლო იმ უბნებისთვის, სადაც არ მომხდარა ჩამოყალიბების პროცესი, მათზე მოქმედებს სხვა სახის რეგულაციები. ცენტრალური ნაწილი, სადაც მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ინტერესები, ის შემდეგი მასშტაბის სივრცედ მოიაზრება. არსებული უბნებიდან, განვითარება მოიაზრება 4 დამატებით უბანში: 1) ქალაქის ჩრდილოეთი ნაწილი - პოპიაშვილის ქუჩის ქვედა მხარე, 2) სასროლეთის ჩრდილოეთი მიმართულება, 3) კომბინატი,

ყოფილი საწარმო ტერიტორია; 4) ჩრდილოეთით მდ. მეჯუდას ნაპირას ქაოტურად გაცემული მიწის ნაკვეთების ტერიტორია, რომლისთვისაც მუშავდება დეტალური ზონირების დოკუმენტი.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომიტეტების მხრიდან დასმული შეკითხვა:

- კომბინატის ტერიტორიაზე მოიაზრება თუ არა საცხოვრებელი განაშენიანება? როგორ განვითარდება ქალაქის ცენტრალურ ნაწილში დეველოპერული საქმიანობა? წინა პროექტის მიხედვით მდ. მეჯუდას მიმდებარედ იგეგმება სპორტული სივრცის განვითარება, რამდენად ემთხვევა ეს თქვენს პროექტს.

საპროექტო ჯგუფის პასუხი:

- კომბინატის ტერიტორიაზე ნაწილობრივ მოიაზრება საცხოვრებელი ფუნქციით განაშენიანება, თუმცა ასევე განიხილება სხვა სოციალური დანიშნულების ობიექტების არსებობა, თუმცა ჩვენს მიერ ჩატარებული ეკონომიკური გათვლების საფუძველზე, უპირატესობა მიენიჭება საცხოვრებელი და შერეული ტიპის ზონას.
  პოლონურ კომპანიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, იქ ნაწილობრივ ნარჩუნდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობა სპორტულ-სარეკრეაციო სივრცეს, გზის გასწვრივ ნარჩუნდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა და ასევე მოიაზრებენ საცხოვრებელი უბნის განვითარებას, რათა ხელი შეეწყოს ქონების ბაზარს.
  თუ კი იქნება მშენებლობის ნებართვის საჭიროება, ეს გააზრებული უნდა იქნას თითოეული ჰომოგენური უბნის სტრუქტურის მიმართ.

2. **სკოლების და საბავშვო ბაღების განთავსების თვალსაზრისით, აღსანიშნია ის ფაქტი, რომ ქ. გარო აკმაყოფილებს არსებულ სააკრედიტაციო მოთხოვნებს, როგორც სკოლების, ისე საბავშვო ბაღების შემთხვევაში. თუმცა, როდესაც ფასდება სამომავლო ცვლილებები, ამ თვალსაზრისით ახალ ტერიტორიებზე და ნაწილობრივ შენობა-ნაგებობებზეც მოთხოვნა არსებობს. სამინისტროს მიერ შემუშავებული ახალი ინფრასტრუქტურული სტანდარტი, რომელიც უახლოეს მომავალში დამტკიცდება, საბავშვო ბაღების შემთხვევაში მოითხოვს 12 კვ.მ ერთ აღსაზრდელზე. სკოლების შემთხვევაში ქართული სტანდარტი არ არსებობს და საპროექტო ჯგუფის მიერ სნიპის მიხედვით საშუალო გაანგარიშებებით განისაზღვრა 15 კვ.მ-ს ერთ მოსწავლეზე. საპროექტო ჯგუფის სამომავლო გათვლები კი ეფუძნება სწორედ ამ ახალ ინფრასტრუქტურულ სტანდარტს, რაც მინიმუმ უნდა დააკმაყოფილოს აღნიშნულმა დაწესებულებებმა.**

3. **შესაბამისად კონცეფცია განიხილავს ამ ობიექტების განვითარებას შემდეგი მიმართულებით: 1) სკოლების და ბაღებისთვის მიწის ნაკვეთების მოძიება მათი გაფართოებისთვის. ამის რამდენიმე შემთხვევა უკვე არსებოს, საპროექტო ჯგუფის რეკომენდაცია იქნება, რომ ის მუნიციპალური ტერიტორიები, რომლებიც თავისუფალია რაიმე საქმიანობისგან, სამომავლოდ დარეზერვდეს სკოლის და საბავშვო ბაღის ეზოს და შენობის გასაფართოებლად. სამომავლო გათვლებით მოიაზრება დამატებითი 4 სკოლის მშენებლობა რომლისთვისაც გამოიყოფა 12 ჰა მიწის ფართობი. გამოვლინდა 4 საბავშვო ბაღი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტს. 2 ბაღი ერთ შენობაშია განთავსებული, რომელზეც უკვე მუშაობს გორის მუნიციპალიტეტის მერია. პროექტში**

გათვალისწინებულია მსგავსი გარემოებაც, რის საფუძველზეც მოხდა სამომავლო გაანგარიშებები. სკოლები და საბავშვო ბაღები მოიაზრება კომპლექსურად, რამეთუ ერთი ოჯახიდან დიდი შანსია რომ იყვნენ სკოლის და საბავშო ბაღის წარმომადგენლები.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომიტეტების მხრიდან დასმული შეკითხვა:

- როგორია საპროექტო ჯგუფის ხედვა იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებთან დაკავშირებით და რომელი უბნების ხარჯზე იგეგმება მათი ადგილმონაცვლეობა.

საპროექტო ჯგუფის პასუხი:

- სამინისტროებთან მჭიდრო ურთიერთობის ფონზე, დადგინდა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა უბნები შენარჩუნებული უნდა იქნას არსებული სახით. ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რათა არ მოხდეს მათი სრული ასიმილირება, იმ აზრიდან გამომდინარე, რომ ადრე თუ გვიან მათი დაბრუნება თავიანთ საცხოვრებელ ტერიტორიებზე.

4. შემდეგი მასშტაბი - საზოგადოება არის ის მოცემულობა, რომელიც კულტურული ურთიერთობების საფუძველზე რეგულირდება. ეს არის ქ. გორში ჩამოყალიბებული ქცევითი ნორმების შესაბამისად განვითარებული სივრცეები. აქ პირველ რიგში იგულისხმება საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები. მიწათსარგებლობითი კონცეფცია კი ამას არეგულირებს შემდეგი თანმიმდევრობით: 1) კულტურული მემკვიდრეობა და კულტურული უბანი; 2) სპორტული უბნის ჩამოყალიბება, როგორც ქ. გორის სავიზიტო ბარათი და 3) ტრანსპორტი და შეკავშირებულობა.

1) დღეს-დღეობით ქ. გორს არ აქვს დამტკიცებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონები, თუმცა ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმას და ადგილობრივ თვითმმართველობას არ აქვს უფლებამოსილება მიიღოს ეს გადაწყვეტილება. ძეგლთა დაცვის სააგენტოში შეხვედრის ფარგლებში გამოვლინდა მათი სურვილი, რომ აქტიურად ჩაერთონ აღნიშნულ საკითხში, თუმცა ინიციატორი ამ შემთხვევაში უნდ აიყოს ადგილობრივი თვითმმართველობა. ამ მხრივ ზონების თვალსაზრისით საპროექტო ჯგუფს აქვს შემდეგი შეთავაზება რეკომენდაციის სახით: ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის გაფართოება, როგორც ერთიანი კულტურული უბანი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არსებული ბულვარი ორგანულად გააერთიანებს კულტურულ ძეგლებსა და განაშენიანებას. კულტურული უბანი მოიაზრება კულტურული, საზოგადოებრივი და ტურისტული ობიექტებისთვის ჭრილში, რომელიც ერთმანეთთან აზრობრივად კარგად არის შეკავშირებული გეგმარებითი რეგულაციების ფონზე - ეს არის სარბენი და საველოსიპედო ბილიკები, ტურისტული მარშრუტები და კულტურული ობიექტების ირგვლივ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

2) სპორტს, აქვს განვითარების დიდი პოტენციალი. სპორტული უბანი არ მოიაზრება მხოლოდ სპორტისთვის, ეს არის ერთგვარი კატალიზატორის ფუნქცია, რომელიც ქმნის სხვადასხვა

ტიპის მოძრაობას და აქტივობას ქ. გორის ქუჩებში. კულტურული უბნის შემთხვევაში ასევე უნდა გამყარდეს გეგმარებითი გადაწყვეტილებები. პირველ რიგში გვაქვს 3 მსხვილი სპორტული კლასტერი: 1) აქ საუბარია რეგიონული დონის ობიექტებზე ჭალაში, კომბინატის ნაწილში და ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც უკვე მუშაობენ პოლონელი პარტნიორები ამ მიმართულებით. 2) ყოველდღიური სასპორტო დარბაზები და სტადიონები, რომელიც ძალიან ახლოს არის სამოსახლო ტერიტორიებთან. 3) არსებულ ქუჩებზე სარბენი და საველოსიპედო ბილიკები, რომელიც მოიაზრება აღნიშნული 2 კლასტერის შემაკავშირებელ მექანიზმად. ეს ყოველივე ინტეგრირებულად არის გააზრებული კულტურული, კომერციული ობიექტების, სასპორტო ინფრასტრუქტურისა და სკოლების ჭრილში.

3) ერთ-ერთ საინტერესო ნაწილის წარმოადგენს შეკავშირებულობა. ქ. გორისთვის დამახასიათებელი რადიალური სისტემა არ არის ერთმანეთთან კარგად შეკავშირებული, რაც ქმნის დაბრკოლებას ჩქარი გადაადგილებების შემთხვევაში. ამის საპასუხოდ საპროექტო ჯგუფი რეკომენდაციას უწევს 2 ხიდის განთავსებას - კომბინატისა და წმინდა წყლის დასახლებას შორის და მტკვრისა და მდინარე ლიახვის შესართავზე, რომელიც აკავშირებს ახალ ბაღსა და კომბინატს.
მეორეხარისხოვანი გზების დამატებას ქალაქი არ საჭიროებს. თუმცა თუკი იქნება საერთო ხედვა კომბინატის დასახლების განვითარების თაობაზე, ამ შემთხვევაში მეორადი გზა სარკისებურად გაჩნდება. ქალაქის ზომიდან გამომდინარე, გორი მოიაზრება მონოცენტრულ ქალაქად, თუმცა, საპროექტო ჯგუფმა გამოყო რამდენიმე ცენტრი ქალაქის სხვადასხვა უბანში, რომელიც ასევე მიწვდომადი უნდა იყოს სხვა უბნებისთვის. ამისათვის შემუშავებულია სამდონიანი სატრანსპორტო სისტემა, სადაც საყრდენ ღერძს წარმოადგენს ავტობუსი.

5. შემდეგ მასშტაბს წარმოადგენს მმართველობა, სადაც ურთიერთობა გვარდება შუამავლის საშუალებით. აქ მოიაზრება ასევე ის ობიექტებიც, რომელიც იმართება სახელმწიფო სტრატეგიის დონეზე და გააზრებული უნდა იყოს უფრო დიდ მასშტაბში - რეგიონულ დონეზე. მმართველობა მოიცავს შემდეგ თემებს: თავდაცვა, ლოჯისტიკა და საინჟინრო ქსელები. ავტობანის საბოლოოდ დასრულების შემთხვევაში მოსალოდნელია რიგითი სივრცითი ცვლილებები. კერძოდ, ხაშურის გზის ავლით მოძრაობა გამოიწვევს შესაძლებლობას, რომ სატვირთო მანქანებისთვის ავტოსადგური დაიგეგმოს ქ. გორის ტერიტორიაზე, რისთვისაც ძალზედ მცირე ინფრასტრუქტურული ცვლილებები იქნება საჭირო. ასეთი კვანძის მოსაწყობად მანძილი ცენტრალური მაგისტრალიდან უნდა შეადგენდეს არანაკლენ 150 მეტრს, ასევე არ უნდა მოხდეს თავდაცვისთვის სარგებლობაში მყოფი გზის გამოყენება და საკმაოდ მოშორებული უნდა იყოს დასახლებული პუნქტიდან.

საინჟინრო მომარაგების კუთხით, ყველაზე კარგი მდგომარეობაა ელექტრომომარაგებაში. ყველა მძიმე მდგომარეობა კი არის წყლის და კანალიზაციის საკითხი. დასაშვებია საკანალიზაციო ჭების მოწყობა, ნაგრამ აუცილებელი მათი მოვლა და რეგულირება.
გაზის მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ ქალაქის რამდენიმე უბანი საჭიროებს დამატებით დაქსელვას.

საპროექტო ჯგუფი მიიჩნევს, რომ მაქსიმალურად უნდა შეჩერდეს ქალაქის ჩრდილოეთი ნაწილში ტერიტორიების განვითარება და განვითარების საშუალება უნდა მიეცეს სამხრეთ ტერიტორიებს. რამეთუ, ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, ჩრდილოეთ ნაწილში საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოწყობა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რაც თავისთავად დიდ ფინანსურ რესურსს მოითხოვს.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომიტეტების მხრიდან დასმული შეკითხვა:

- რამდენად საკმარისია ქვედა დინებები საკანალიზაციო ჭების მოსაწყობად.

საპროექტო ჯგუფმა აღნიშნა:

- გორი ძალიან მდიდარია შიდა დინებებით და ამის პრობლემა არ დგას, თუმცა აღნიშნული საკითხი დამატებით კვლევებს საჭიროებს.

6. შემდეგი მასშტაბი - მიწა არის ის მსხვილი მასივები, რომლებიც ტრადიციულად ჩამოყალიბდა ქ. გორში. აქ მოიაზრება სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები, საწარმოო და სასაფლაო ტერიტორიები, ასევე ის ქაოტურად გაცემული ტერიტორიები, რომლებიც დამატებით რეგულირებას საჭიროებენ.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიების შესახებ არის საპირისპირო მოსაზრებები: ერთი მოსაზრებით სოფლის მეურნეობა მთლიანად უნდა გავიდეს ქალაქის ტერიტორიიდან და მოხდეს ამ ნაწილის სხვა ფუნქციით დატვირთვა ან გამოყენებულ იქნას ლანდშაფტურ ზონად. აქ არ არის საუბარი კერძო საკუთრებაზე - კერძო საკუთრებაში მყოფი ნაკვეთები გააგრძელებენ იმავე საქმიანობას. ხოლო მეორე მოსაზრებით საუბარია აღნიშნული ტერიტორიების დატოვება ქალაქის ტერიტორიაზე. საპროექტო ჯგუფის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ქალაქის ტერიტორიაზე შენარჩუნდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიები. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის სოციალური ფონი - ტრადიციულად ჩამოყალიბებული მეურნეობები, სადაც მოიაზრება არა ფერმერული მეურნეობა არამედ პირადი მოხმარების საქმიანობა. ამ ტერიტორიებზე დაუშვებელია დეველოპერული საქმიანობა. ეს ტერიტორიები წამოადგენენ ერთგვარ საზღვარს - ბუფერულ ტერიტორიას სოფელსა და ქალაქს შორის, რომელიც თავის მხრივ იცავს ქალაქს სოფლების შემოჭრისგან.

ქალაქში რჩება ყველა ის საწარმოო ტერიტორია რაც იყო ძველად, მიუხედავად იმისა სავარაუდოდ ქ. გორი ამას აითვისებს აღნიშნული გენერალური გეგმის პერიოდში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საპროექტო ჯგუფის მიერ ჩატარებულ ეკონომიკური კვლევა, სადაც გამოვლინდა რომ სხვადასხვა საქმიანობას შორის წამყვანია სოფლის მეურნეობა, და საპროექტო ჯგუფის რეკომენდაციაა ქალაქის შემთხვევაში დაინერგოს გადამუშავების ინდუსტრია.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ნაგავსაყრელი და სასაფლაო ტერიტორია. ცნობილია რომ შიდა ქართლის რეგიონული ნაგავსაყრელი ჯერ კიდევ ღიაა და არაა ცნობილი თუ სად იგეგმება მისი სამომავლოდ მოწყობა. სავარაუდოდ ეს ნაგავსაყრელი დაიხურება, თუმცა დახურვის

შემთხვევაშიც კი მას ეკუთვნის სანიტარული დაცვის ზონა, რომელიც მოქმედი იქნება 30 წლის განმავლობაში. შესაბამისად მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს მის მიმდებარედ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიების განვითარება. თუმცა ეს შეიშლება არ შეეხოს ფერდობებზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მწის ნაკვეთებს, სადაც ვერ მოხდება ჩამდინარე მიწისქვეშა წყლების შედეგად მათი დაბინძურება.

სასაფლაოს გაანგარიშებით, შემდეგი 10-15 წლის განმავლობაში საჭირო იქნება დამატებითი 5 ფა მიწის ტერიტორია. დღეს დამტკიცებული მიწის ტერიტორია ფართობის თვალსაზრისით ამჟამად საკმარისია, თუმცა არის რელიეფური პრობლემა, არსებული ხევი აუთვისებელია და რთულია სამომავლოდაც მისი ათვისება. ასევე პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ გარკვეულ ნაწილში სასაფლაოს ტერიტორია ხვდება ნაგავსაყრელის ბუფერულ ზონაში, რაც დაუშვებელია.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ურბანული ზრდის კონტური. აღნიშნული კონტურის მიღმა არის ის ტერიტორიები, სადაც ინფრასტრუქტურა არ არსებობს, მათ შორის გაცემული მიწის ნაკვეთები. საპროექტო ჯგუფის ხედვაა, რომ მაქსიმალურად შეიზღუდოს ჯერ აუთვისებელი ტერიტორიების სამომავლო განვითარება.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომიტეტების მხრიდან დასმული შეკითხვა:

- როგორ არის წარმოდგენილი ქ. გორი გენერალური გეგმის მიხედვით: როგორც ტურისტული, ინდუსტრიული და ა.შ.?

საპროექტო ჯგუფის პასუხი:

- ამ მხრივ ძირითადი აქცენტი კეთდება კულტურული, ტურისტული, სპორტული და სოფლის მეურნეობის მიმართულებით. ქ. გორს ამის დიდი პოტენციალი გააჩნია.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომიტეტების მხრიდან დასმული შეკითხვა:

- კომბინატის ტერიტორია გათვლილი იყო საწარმოო საქმიანობისთვის, მაშინ რიდესაც ახალი გენერალური გეგმის მიხედვით აქ მოიაზრება სამშენებლო საქმიანობა. რა არის ამის მიზეზი?

საპროექტო ჯგუფის პასუხი:

- ქალაქის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორია მშენებლობა. ქ. გორში არსებული ძირითადი საცხოვრებელი შენობები არის მოძველებული და განახლებას საჭიროებს, ქ. გორს კი ამისათვის საჭირო ფინანსური რესურსი არ აქვს ამ ეტაპზე. ამდენად ძალიან მნიშვნელოვანია, ამ ყველაფერში ჩაერთოს ინვესტორი და კერძო ბაზარმა იტვირთოს ამ რესურსების გადანაწილება. კომბინატის ტერიტორია დღეს არსებული ფასების და მოთხოვნის მიხედვით თითქმის უტოლდება სტალინის გამზირს, რის საფუძველზეც შეირჩა აღნიშნული ტერიტორია სამშენებლო საქმიანობისთვის. კომბინატის ტერიტორიის ასეთი ვითარება გამოიწვევს ინვესტორის დაინტერესებას.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომიტეტების მხრიდან დასმული შეკითხვა:

- რამდენ წელზეა გათვლილი აღნიშნული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა

საპროექტო ჯგუფის პასუხი:

- კანონმდებლობის გათვალისწინებით აღნიშნული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმაც ვრცელდება 10 წელზე.

7. **შემდეგი მასშტაბი - წყალი რეგულირდება კანონმდებლობით, მათ შორის საერთაშორისო ნორმებით. ქ. გორი, რომელიც მდებარეობს 3 მდინარის შესართავთან, ეს ერთის მხრივ ძალიან დიდი რესურსია განვითარების თვალსაზრისით, თუმცა მეორეს მხრივ ეს არის ძალიან მაღალი რისკი. შესაბამისად ფრთხილად უნდა მოხდეს მდინარეების გასწვრივ განვითარების დაგეგმარება. ამ თვალსაზრისით საპროექტო ჯგუფის მიერ ჩატარდა პირველადი ზოგადი კვლევა, ეს არის შესაძლო დატბორვის - წყალმოვარდნის არეალები, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს მოსახლეობის და კერძო საკუთრების დაცვა. შესაბამისად, საპროექტო ჯგუფის რეკომენდაციაა დარეზერვდეს შესაძლო დატბორვის რისკის მქონე ტერიტორიები რომ არ გაიცეს რაიმე სახის შეუსაბამო ნებართვები, რითიც სამომავლოდ თავიდან აირიდებს მოსალოდნელ საფრთხეს. ამის გამო მდინარეების გასწვრივ, რამდენიმე ადგილას რეკომენდაციას ვუწევთ თავისუფალ ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონებს, რომელიც წყლის მოვარდნის შემთხვევაში დაიცავს განაშენიანებას.**

8. **ბოლო მასშტაბი არის ჰაერი, სადაც იგულისხმება კოეფიციენტები. როგორც უკვე აღინიშნა, ცენტრალურ ნაწილში არის ამის ყველაზე მაღალი მოთხოვნა და არსებული მდგომარეობითაც იქ ყველაზე მაღალია სიმჭიდროვის მაჩვენებელი. როგორც ანალიზმა აჩვენა 2,8 K2 კოეფიციენტი არის მინიმალური, რომელიც აძლევს დეველოპმენტს საშუალებას აწარმოოს თავისი ბიზნესი. კომბინატის დასახლებაც შეიძლება მოიაზრებოდეს ახალი მაღალი სიმჭიდროვის დასახლებად.**

   აღნიშნულ მასშტაბში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს დაცული ხედვითი დერეფნები. ეს გულისხმობს შემდეგს: ქ. გორის იერსახე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. საკვანძო ობიექტები - გორის ციხე და გორის ჯვარი არის ის ხედვით წერტილები, რომლებიც განსაზღვრავს ქალაქის იდენტობას. შესაბამისად მნიშვნელოვანია მათი ხედვითი დერეფნების დაცვა. აქ საუბარი 2 სახის შეზღუდვაზე - სიმაღლის შეზღუდვაზე, რომ არ გაჩნდეს მაღალსართულიანი კორპუსი ხედვით დერეფანში და კომპოზიციური შეუსაბამობა, რო არ გაჩნდეს შეუსაბამო სარეკლამო ბანერები გორის ციხის ძირში და ა.შ.

   საპროექტო ჯგუფმა წარმოადგინა ზონირების მოდელის სამუშაო ვერსია. საბოლოოდ გამოვლინდა 16 დასახელების ზონა. როდესაც საუბარია 30 ჰომოგენურ უბანზე, ეს გულისხმობს მრავალფეროვნებას და მათ ერთმანეთთან შეკავშირებულობას. ყოველი ეს საკითხი კი, რა სახის რეგულაცია ეკუთვნის თითოეულს საბოლოო ჯამში აისახა ზონირებაში.

   მონიშნულია თითქმის ყველა ტიპის საცხოვრებელია ზონა - დაბალი სიმჭიდროვის დაბალსართულიანი განაშენიანება, მაღალი სიმჭიდროვის დაბალსართულიანი განაშენიანება, დაბალი სიმჭიდროვის მაღალსართულიანი განაშენიანება და ა.შ.

გამოყენებულია სამივე ტიპის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა, მათ შორის შერეული ზონა, რომელიც იძლევა კომერციული ობიექტების, საცხოვრებელი და სხვა ტიპის ერთობლიობის შესაძლებლობას.

მოცემულია ლანდშაფტურ და სარეკრეაციო ზონების მრავალფეროვნება.

საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს 1:10 000 მასშტაბში, რაც გამორიცხავს შიდა საუბნო გამწვანებების ასახვას ზონირებაში. ზოგადად ზონირება ასახავს 3 საკითხს: სიმჭიდროვეს, სიმაღლეს და ობიექტების ჩამონათვალს.

ზოგადად მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის დამტკიცებული გარანტი იმისა, რომ საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურისთვის დარეზერვებული მიწის ნაკვეთები დარჩეს იმავე ფუნქციით და არ განვითარდეს სხვა მიმართულებით. გორს აქვს ძალიან დიდი რაოდენობით დაურეგისტრირებელი ტერიტორიები, შესაბამისად ძალიან მნიშვნელოვანია რომ დროულად მოხდეს აღნიშნულის დარეგისტრირება სამომავლოდ შესაბამისი ფუნქციით გამოყენების მიზნით.

საპროექტო ჯგუფმა წამოაყენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა: მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დასრულებასთან ერთად ქ. გორში ჩატარდეს მარათონი, რომელიც იქნებოდა ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის სიმბოლური ფინალი და ამასთანავე ერთგვარი საწყისი ქ. გორის ტურისტული-სპორტული ინტერესისადმი.

ქ. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა.

დოკუმენტი შემუშავებულია გორის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით 2019 წელს ა(ა)იპ სითი ინსტიტუტი საქართველოს მიერ.

info@cig.ge

ფოტო ყდაზე: © სითი ინსტიტუტიტი საქართველო